

ჩემი ადვოკატი





CONCOURS MONDIAL BRUXELLES 2020



ჩვენი ადვოკატი

გამომცემელი
© სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
ძმ. მუბალაშვილების ქ. 8-8ა
თბილისი 0108
საქართველო
ტელ: +995 32 2 98 78 78
ელ. ფოსტა info@gba.ge
www.gba.ge

რედაქტორი
ეკა ხიმშიაშვილი
დაკაბადონება და დიზაინი
თორნიკე ლორთქიფანიძე
მხატვარ-ილუსტრატორი
მარგო ცინცაძე
ჟურნალის ყდა
მარგო ცინცაძე

ადვოკატთა ასოციაციის სარედაქციო გუნდი

თავმჯდომარე
დავით ასათიანი

აღმასრულებელი მდივანი
გიორგი ჭეხანი

ადმინისტრაციის უფროსი
სალომე ტყემულაშვილი

საკომიტეტო საქმიანობის,
კომუნიკაციისა და ანალიტიკურ საქმეთა
დეპარტამენტის უფროსი
თამთა დევდარიანი

სარედაქციო კოლეგია
თორნიკე ბაქრაძე
ციცინო ცხვედიანი
ვახტანგ მჭედლიშვილი
ირაკლი ბურდული
ირაკლი ყანდაშვილი
მარინე ნიჭაბაძე
კონსტანტინე კორკელია
ანა ხურციძე
სესილი ქადარია
თამთა მურადაშვილი

ბეჭდვა
სტამბა „კოლორი“

კვირა

ISSN-1987-5479

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების
ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენება
კომერციული მიზნით, ს.ს.ი.პ.
საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
ნებართვის გარეშე აკრძალულია



08

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და
დემოკრატია



14

კანონის უზენაესობა ძველბერძ-
ნულ მითოლოგიაში



22

კომერციული იურიდიული პირე-
ბის ღირებულების პასუხისმგებ-
ლობა



58

შრომის ხელშეკრულების არსე-
ბითი პირობები

04

ადვოკატთა დამოუკიდებელი
და ერთიანი კორპორაცია –
პილასტრი სამართლის სის-
თამის არქიტექტურაში

66

ბიზნესი და ადამიანის უფლე-
ბები: ახალი მარეგულირებადი
ჩარჩო საქართველოში?

32

დამფუძვლის უხეში გაუფრ-
თხილგებლობის შესახებ სა-
კანონმდებლო დანაწესის და
პრინციპის „ან ყველაფერი ან
არაფერი“ რეფორმის საჭი-
როება

72

ადამიანის უფლებათა დაცვის
ეროვნული ინსტიტუტებისა და
ადვოკატთა როლი ადამიანის
უფლებათა ევროპული სასა-
მართლოს გადაწყვეტილება-
თა აღსრულების პროცესში

42

სახელმწიფოს როლი ქართუ-
ლი ღვინის ხარისის უზრუნველ-
ყოფაში: სამართლებრივი ჩარ-
ჩოს მიმოხილვა

78

დისტანციური სასამართლო
სხდომები: საქართველოს
პრაქტიკა, დადებითი და უარ-
ყოფითი მხარეები

46

მედიაცია: საადვოკატო საქმი-
ანობის განხორციელების ახა-
ლი არეალი

84

უნივერსიტეტი ევროპული, ულ-
ტრათანამედროვე, მალტაქ-
ნოლოგიური სასწავლო ინფ-
რასტრუქტურით



ადვოკატთა დამოუკიდებელი და ერთიანი კორპორაცია – კილასტრი სამართლის სისტემის არქიტექტურაში

ავტორი: დავით ასათიანი
საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე

მანამედროვე სამართლებრივი სისტემის არქიტექტურაში ადამიანის თავისუფლება, სამართლიანი სასამართლო და დამოუკიდებელი იურიდიული პროფესია ის სამი საყრდენი სვეტია, რომელზეც სამართლის უზენაესობის არქიტექტურა დაშენებულია.

დამოუკიდებელი და ძლიერი იურიდიული პროფესიის არსებობა სამართლის უზენაესობისა და კანონის წინაშე თანასწორობის დამკვიდრების აუცილებელი წინაპირობაა, იმისთვის, რომ ავიცილოთ ადამიანის ცხოვრებაში კანონშეუსაბამო ჩარევა და სახელმწიფოს მხრიდან ნებისმიერი თვითნებობა. სწორედ ამიტომ, დემოკრატიული სახელმწიფოსა და საზოგადოების ვალია, შექმნას სამართლის ისეთი სისტემა, სადაც, როგორც პრეზიდენტი კენედი იტყოდა, „ძლიერნი არიან სამართლიანნი, სუსტნი დაცულნი და მშვიდობა შენარჩუნებული“.

დამოუკიდებელი ქართული იურიდიული პროფესია უკვე საუკუნეზე მეტს ითვლის. ამ ასი წლის განმავლობაში, ქართულმა ადვოკატურამ რთული გზა განვლო და არაერთი გამოწვევის წინაშე დადგა, თუმცა დღეს, შეგვიძლია ვიამაყოთ, რომ დამოუკიდებელი და ერთიანი ადვოკატთა კორპორაცია – საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახით, შედგა როგორც პრო-

ფესიული თვითმმართველობის თანამედროვე პრინციპებით მოწყობილი ინსტიტუტი.

ადვოკატის პროფესია ისტორიულად ჩამოყალიბდა, როგორც თავისუფალი და განსწავლული პროფესია, რომელიც ეფუძნება პროფესიულ სტანდარტებს, ეთიკის წესებსა და საერთაშორისოდ აღიარებულ ისეთ ძირითად პრინციპებს, როგორცაა: ადვოკატის დამოუკიდებლობა, ადვოკატის უფლება და მოვალეობა დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, კლიენტისადმი ერთგულება, პროფესიული ღირსების, პატიოსნებისა და კოლეგების პატივისცემა, ადვოკატის პროფესიული კომპეტენცია.

არაერთი საერთაშორისო ინსტრუმენტით გარანტირებულია, რომ ყველა პირს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა ისარგებლოს დამოუკიდებელი ადვოკატის ეფექტური იურიდიული მომსახურებით, ხოლო ადვოკატთა თვითმმართველ ორგანიზაციას გააჩნია

დამოუკიდებელი და ძლიერი იურიდიული პროფესიის არსებობა სამართლის უზენაესობისა და კანონის წინაშე თანასწორობის დამკვიდრების აუცილებელი წინაპირობაა



მნიშვნელოვანი ამონარიდები CCBE-ის სასამართლო მეგობრის მოსაზრებიდან

„ევროპის ქვეყნების კანონმდებლებმა ნათლად გაიაზრეს საადვოკატო პროფესიის განსაკუთრებული სტატუსი და განმარტეს მისი არასამეწარმეო ხასიათი მათ კანონებში“.

„ევროპის ყველა ქვეყანაში, ადვოკატთა ასოციაცია არის საჯარო სამართლის სუბიექტის ფორმით ჩამოყალიბებული ორგანო, რომელიც დაფუძნებულია პარლამენტის აქტით, უმნიშვნელოვანესი საჯარო ფუნქციების შესრულების მიზნით, როგორც მართლმსაჯულების სისტემაში, ისე ზოგადად საზოგადოებაში“.

„ადვოკატთა ასოციაციის სავალდებულო წევრობის გაუქმება მთელ რიგ ნეგატიურ გავლენას იქონიებს როგორც ადვოკატთა, ისე ადვოკატთა ასოციაციის დამოუკიდებლობაზე“.

„ავტონომია და დამოუკიდებლობა უპირველეს ყოვლისა უზრუნველყოფილია ადვოკატთა თვითმმართველი გაერთიანებით, ადვოკატთა ასოციაციის მეშვეობით. ადვოკატთა ასოციაციაში სავალდებულო წევრობა, როგორც წესი, ასევე წარმოადგენს ადვოკატების მიერ თავიანთი პროფესიული მოვალეობების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებას“.

უაღრესად მნიშვნელოვანი როლი და-
ამკვიდროს პროფესიული სტანდარტე-
ბი, ეთიკის წესები და უზრუნველყოს ამ
პრინციპების ეფექტიანი დაცვა.

მიუხედავად ამისა, ჩვენს ქვეყანაში მო-
იძებნებიან ისეთი იურიდიელები თუ პო-
პულისტი პოლიტიკოსები, რომლებიც
სამწუხაროდ ვერ ან არ აცნობიერებენ
დამოუკიდებელი და ერთიანი ადვო-
კატურის მნიშვნელობას სამართლიანი
და ღია მართლმსაჯულების განხორცი-
ლების და დემოკრატიის გაძლიერების
პროცესში. ამითაა განპირობებული და-
მოუკიდებელი ადვოკატურის კრიტიკო-
სების არაერთი მცდელობა, მათ შორის
საკონსტიტუციო სარჩელების მეშვეობით,
შესუსტდეს ადვოკატურის ერთიანობა,
თვითმმართველობა და ავტონომია.

ქართულმა იურიდიულმა პროფესი-
ამ, არაერთხელ, ღირსეულად უპასუხა
მაგან კრიტიკოსთა ასეთ მცდელობას
და ღრმად მწამს, მათი მეცადინეობა
კვლავ უშედეგოდ ჩაივლის და უახ-
ლოეს მომავალში საქართველოს ად-
ვოკატთა ასოციაცია უფრო ძლიერ და
შეკრულ კორპორაციად იქცევა.

მინდა საზოგადოებას გავაცნო ვეროპის
ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული
და გავლენიანი პროფესიული გაერთიან-
ების – ვეროპის ადვოკატთა ასოციაცი-
ებისა და სამართლის საზოგადოებების
საბჭოს (CCBE) ოფიციალური მიმარ-
თვა საქართველოს საკონსტიტუციო სა-
სამართლოსადმი ერთ-ერთ განსახილ-
ველ საქმეზე: „გთხოვთ, უარი ეთქვას
საკონსტიტუციო სარჩელს, როგორც
უსაფუძვლოს და ამით უზრუნველყოთ
და დაიცვათ საქართველოში ძლიერ
და დამოუკიდებელი საადვოკატო
პროფესიის შენარჩუნება, როგორც ეს
გარანტირებულია საქართველოს ადვო-
კატთა ასოციაციის მიერ“ (CCBE amic-
us curie 18.05.2020).

დასავლურმა დემოკრატიულმა სახელ-
მწიფოებმა დიდი ხნის წინ გაიაზრეს
ადვოკატის პროფესიის არსი და ადვო-
კატის სტატუსი განსაზღვრეს, როგორც
მართლმსაჯულების სისტემის საჯარო
სუბიექტი, რომელსაც სპეციალური

პასუხისმგებლობა გააჩნია ხასრისხი-
ან მართლმსაჯულებაზე. სწორედ სა-
ადვოკატო საქმიანობის ასეთი ბუნებე-
დან გამომდინარეობს ის ფაქტი, რომ
„ვეროპის ყველა ქვეყანაში, ადვოკატთა
ასოციაცია საჯარო სამართლის სუბიექ-
ტის ფორმით არის ჩამოყალიბებული
მნიშვნელოვანი საჯარო ფუნქციების
შესრულების მიზნით, როგორც მართ-
ლმსაჯულების სისტემაში, ისე ზოგადად
საზოგადოებაში. ადვოკატთა ასოცი-
აცია მნიშვნელოვან თვითრეგულირების
ფუნქციებს ასრულებს, როგორცაა
პროფესიაში მიღება, ადვოკატთა მიერ
პროფესიული კანონების დაცვაზე ზედამ-
ხედველობა, პროფესიული კანონების
დარღვევის შემთხვევაში დისციპლინური
სამართალწარმოების განხორციელება,
ადვოკატებსა და მათ კლიენტებს შორის

**„უარი ეთქვას
საკონსტიტუციო სარჩელს,
როგორც უსაფუძვლოს
და ამით უზრუნველყოთ
და დაიცვათ
საქართველოში ძლიერი
და დამოუკიდებელი
საადვოკატო პროფესიის
შენარჩუნება, როგორც
ეს გარანტირებულია
საქართველოს ადვოკატთა
ასოციაციის მიერ“
(CCBE amicus curie 18.05.2020)**

დავების შემთხვევაში მედიაცია, პროფე-
სიის ინტერესების წარმოდგენა პოლი-
ტიკური პროცესების, სასამართლოების,
მესამე მხარეების წინაშე და ა.შ. ადვო-
კატთა ასოციაცია უზრუნველყოფს მისი
წევრების მაღალ პროფესიონალიზმს
და მოქალაქეთა ნდობის შენარჩუნებას
იურიდიულ პროფესიისა და კანონის
უზენაესობისადმი. შესაბამისად, თვით-
რეგულირება შესაძლებელია მხოლოდ
სავალდებულო წევრობის საფუძველზე,
რაც უზრუნველყოფს, რომ ყველა ადვო-
კატი, გამონაკლისის გარეშე, ექვემდებ-
რება ერთი და იგივე რეგულაციებს“
(CCBE amicus curie 18.05.2020).

ბარება ერთი და იგივე რეგულაციებს“
(CCBE amicus curie 18.05.2020).

2020 წელს ადვოკატთა საერთაშო-
რისო თანამეგობრობა აღნიშნავს
„ადვოკატთა როლის შესახებ“ გაეროს
ძირითადი პრინციპების მიღებიდან
30 წლის და CCBE-ის შექმნიდან 60
წლის თარიღებს.

„ადვოკატთა როლის შესახებ“ გაე-
როს ძირითადი პრინციპები პირველი
უნივერსალური საერთაშორისო დო-
კუმენტი, რომლითაც განისაზღვრა
საადვოკატო საქმიანობის მთავარი
პრინციპები და სახელმწიფოთა ვალ-
დებულება უზრუნველყონ, რომ ად-
ვოკატებმა თავიანთი პროფესიული
ფუნქციები შეასრულონ დაშინების,
დაბრკოლების, ღირსების შელახვისა
და რაიმე არასათანადო ჩარევის გა-
რეშე და თავიანთი პროფესიული მო-
ვალეობების განხორციელებისას არ
განიცადონ გაკიცხვა, ან დევნა ადმი-
ნისტრაციული, ეკონომიკური, სოცი-
ალური ან სხვა სანქციების მუქარით.

1960 წელს, ზუსტად 60 წლის უკან, და-
არსდა ვეროპის ადვოკატთა ასოციაცი-
ებისა და სამართლის საზოგადოებების
საბჭო (CCBE), ორგანიზაცია, რომე-
ლიც აერთიანებს ვეროპის 45 ქვეყნის
ადვოკატურებს და წარმოადგენს 1 მი-
ლიონზე მეტი ვეროპული ადვოკატის
ინტერესებს. საქართველოს ადვოკატთა
ასოციაცია CCBE-ის აქტიური წევრია
2008 წლიდან და მოხარული ვარ, რომ
მქონდა პატივი წლების განმავლობაში
ყოფილიყავი ქართული ადვოკატურის
წარმომადგენელი ამ პრესტიჟულ ვერო-
პულ გაერთიანებაში.

მგერა, რომ დამოუკიდებელი და ერ-
თიანი იურიდიული პროფესია, რო-
გორც თავისუფალი და დემოკრა-
ტიული საზოგადოების ქვაკუთხედი,
შეძლებს ნდობა მოუტანოს ქართულ
მართლმსაჯულებას და უზრუნველყოს
სამართლის უზენაესობის დამკვიდრე-
ბა ჩვენს ქვეყანაში.

**ერთად გავაძლიეროთ ჩვენი
პროფესია!**

ახალი ინიციატივა ადვოკატებისთვის – კორკორაციული შეთავაზებები. ღებები იხილეთ ვებ-გვერდზე: www.gba.ge



კორკორაციული შეთავაზება „არდი დაზღვევა“



კორკორაციული შეთავაზება „სილქნებისგან“



კორკორაციული შეთავაზება „ევექსისგან“



კორკორაციული შეთავაზება „თერმინალისგან“



კორკორაციული შეთავაზება „რ ზგუფისგან“



კორკორაციული შეთავაზება „ჭორჭორისგან“



ნაფიც მსაჯულთა სასამართლო დემოკრატია



ავტორი: ამირან გიგუაშვილი
ადვოკატი, სამართლის დოქტორი;
ადვოკატთა ასოციაციის სისხლის
სამართლის კომიტეტის თავმჯდომარე

როდესაც ვსაუბრობთ დემოკრატიულ ფასეულობებზე, ცხადია, ვგულისხმობთ, მათ შორის, სანდო და ხარისხიან მართლმსაჯულებას, როგორც ადამიანის ბუნებითი უფლებების შემადგენელ ნაწილს. ამ თვალსაზრისით, მართლმსაჯულების განხორციელების სხვადასხვა მექანიზმებს შორის, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსაკუთრებული ისტორიული და კულტურული ღირებულება გააჩნია.

„ჩემი აზრით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არის ადამიანის მიერ შექმნილი ერთადერთი საშუალება იმისათვის, რომ უზრუნველყოთ სახელმწიფოს მხრიდან კონსტიტუციური პრინციპების დაცვა“ – წერდა ამერიკის შეერთებული შტატების დამფუძნებელ მამათაგან ერთ-ერთი, თომას ჯეფერსონი, ჯერ კიდევ 1788 წელს.¹

წინამდებარე სტატიის მიზანი არ არის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ქართულ სამართლებრივ სივრცეში არსებული მექანიზმების და კანონმდებლობის მიმოხილვა. ამის თაობაზე არაერთი საინტერესო კვლევა არსებობს, რაც, ცხადია, საყურადღებოა საკითხით დაინტერესებულ პირთა ფართო წრისათვის.

ჩვენი მიზანია, ვიმსჯელოთ ერთი მხრივ, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს როლზე მართლმსაჯულების პროცესისადმი საზოგადოების ნდობის განმტკიცების პროცესში, ხოლო მეორე მხრივ, ყურადღება გავამახვილოთ იმ გამოწვევებზე, რაც არსებობს ამ მიმართულებით საზოგადოების პროაქტიურ ჩართულობასთან დაკავშირებით.

საქართველოში კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება სასამართლო სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობა. განსაკუთრებული ვნებათაღელვა გამოიწვია უკანასკნელ პერიოდში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესმა, რომელიც ავტორიტეტული ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებებით, მათ შორის, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) ანგარიშის თანახმად, მნიშვნელოვანი დარღვევებით წარმართა.² ამასთან, ამ პროცესთან დაკავშირებით ჩატარებულ კვლევაში, რომელიც განახორციელეს CRRC-საქართველო“-მ, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა“ და „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“, გამოიკვეთა ერთი ფრიად საგულისხმო ტენდენცია, კერძოდ: კითხვაზე – 2019 წლის ზაფხულში განვითარებული მოვლენებიდან, რომელია თქვენი აზრით მნიშვნელოვანი? – მხოლოდ გამოკითხულთა 1%-მა მიიჩნია უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევა მნიშვნელოვან მოვლენად, მაშინ, როდესაც ლარის გაუფასურება, ასეთ მოვლენად გამოკითხულთა 31%-მა მიიჩნია.³

რა თქმა უნდა, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ვნებათაღელვაზე, პირველ რიგში ვგულისხმობთ პოლიტიკურ პროცესს და ამ პროცესში ჩართულ სხვადასხვა ჯგუფებს, მათ შორის, პროფესიულ წრეებს, ხოლო თავისთავად ის გარემოება, რომ ასეთი უმნიშვნელოვანესი პროცესი დარჩა საზოგადოების მხრიდან განსაკუთრებული ინტერესის მიღმა, ჩემი აზრით, ადასტურებს არა სასამართლოს ხელისუფლების, ან ზოგადად ხელისუფლების მიმართ მაღალ ნდობას, არამედ პროცესისადმი ფართო საზოგადოების გაუცხოებას და სოციალური პრობლემების პრიორიტეტულობის ფონზე, მართლმსაჯულების რეფორმირების პროცესის მიმართ ინდეფერენტულობას.

ის, რომ დემოკრატია უფრო ეფექტურად მუშაობს იქ, სადაც სოციალური მდგომარეობა უფრო მაღალია, არის

თავისთავადი მოცემულობა, რომელზეც ცივილიზებულ სამყაროში აღარაფერია დაკოზს. „ცხადია, მხოლოდ სოციალური კეთილდღეობა არ არის დემოკრატიის გარანტი. ყველანაირი საფუძველი არსებობს იმის დასაშვებად, რომ რაც უფრო მაღალია ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონე, მით მეტია შანსი, რომ დემოკრატია იარსებებს. ეს იმ გავლენით აიხსნება, რასაც ეკონომიკური განვითარება ახდენს მოსახლეობის ხასიათზე, მაგრამ იმის დაშვებაც არასწორია, რომ თითქოს დემოკრატია მხოლოდ ეკონომიკის განვითარების მაღალი დონის პირობებში შეიძლება არსებობდეს“.⁴

ნაფიცი მსაჯულების, ანუ სახალხო სასამართლოს ფოსვები ჭირ კიდეც ანტიკურ საბერძნეთში ბიძის, სადაც დემოკრატია და შესაბამისად სახალხო სასამართლოც არსებობდა მხოლოდ რჩეულთათვის, ანუ თავისუფალი მოქალაქეებისათვის

სხვა მნიშვნელოვან პრობლემებთან ერთად, რაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუციონალიზაციასთან არის დაკავშირებული, ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესი. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი კვლევები არ არის განხორციელებული.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლი აწესრიგებს ნაფიც მსაჯულთა კრიტერიუმებს, რომლის თანახმად:

პირი უფლებამოსილია ნაფიც მსაჯულად მიიღოს მონაწილეობა სასამართლო პროცესში, თუ:

ა) საქართველოს სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ბაზაში დაფიქსირებულია, როგორც 18 წელს გადაცილებული პირი;

ბ) იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა;

გ) ცხოვრობს აღმოსავლეთ ან დასავლეთ საქართველოში – იმის შესაბამისად, თუ საქართველოს რომელ ნაწილში მდებარე რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში იმართება ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესი;

კანონის 30 და 31 მუხლები განსაზღვრავს ნაფიცი მსაჯულობის შეუთავსებლობის და უარის საფუძვლებს, თუმცა პრაქტიკაში სახეზე გვაქვს რეალობა, როდესაც ნაფიც მსაჯულთა კანდიდატობის უდიდესი ნაწილი, ყველანაირად ცდილობს თავი აარიდოს სასამართლო განხილვაში მონაწილეობას.

2019 წლის 27-28 ივნისს, ქ. ბათუმში გაიმართა სამუშაო შეხვედრა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პრობლემურ და აქტუალურ საკითხებზე, რომლის ორგანიზატორიც გახლდათ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო. შეხვედრისას, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ, მოსამართლეები, პროკურორები და ადვოკატები, გამოიკვეთა მთელი სპექტრი საკითხებისა, რომელთა ირგვლივ კონცენტრირება მნიშვნელოვანია ამ ინსტიტუტის გაძლიერებისათვის. სხვადასხვა საინტერესო რეკომენდაციებს შორის, გამოითქვა მოსაზრება, რომ: შემუშავდეს ცვლილებები სსსკ-ის 91(8) და 240 მუხლებში, რომლითაც სხდომის თავმჯდომარე მოსამართლეს შეეძლება, ჯარიმის გამოყენება ადმინისტრაციული ზემოქმედების ფარგლებში, იმ კანდიდატების მიმართ, რომლებმაც თავი აარიდეს ნაფიც მსაჯულთა ვალდებულებას.

ისტორიულად, ნაფიცი მსაჯულობის ინსტიტუტმა, მთელი რიგი ევოლუციური ცვლილებები განიცადა. მართალია დღევანდელი სახით მოქმედი ნაფიცი მსაჯულების სასამართლოს

სამშობლოდ მე-11 და მე-12 საუკუნის ინგლისს მიაზრებენ, როდესაც 1215 წელს მეფის მიერ ხელი მოეწერა მანა კარტას სახელით ცნობილ ისტორიულ დოკუმენტს და აღიარებული იქნა ყველა ადამიანის უფლება მისი საქმე განხილული ყოფილიყო თანამოქალაქეების მიერ, მაგრამ ნაფიცი მსაჯულების, ანუ სახალხო სასამართლოს ფესვები ჯერ კიდევ ანტიკურ საბერძნეთში მიდის, სადაც დემოკრატია და შესაბამისად სახალხო სასამართლოც არსებობდა მხოლოდ რჩეულთათვის, ანუ თავისუფალი მოქალაქეებისათვის.

მას შემდეგ, კაცობრიობის მისწრაფება, რომ საზოგადოებას თავად, უშუალოდ მიეღო მონაწილეობა მართლმსაჯულების განხორციელებაში, საუკუნეების განმავლობაში მუდმივად ვითარდებოდა და ჰუმანიზმის ძირითად იდეებთან ერთად იხვეწებოდა.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განვითარებას, განსაკუთრებული იმპულსი მისცა მე-19 და მე-20 საუკუნეში ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარე ფუნდამენტურმა ცვლილებებმა ადამიანის უფლებების და თანასწორობის პრინციპების აღიარების კუთხით. თანდათანობით მოიხსნა შეზღუდვები, რომლებიც ნაფიცი მსაჯულობიდან გამორიცხავდა ქალებს და აფროამერიკელებს. გაუქმდა ქონებრივი ცენზი და განათლების ცენზი და მთელი რიგი არარელევანტური შეზღუდვები.

ამჟამად აშშ-ს და საერთო სამართლის ქვეყნების უდიდესი ნაწილის მიერ აღიარებულია პრინციპი, რომ ნაფიცი მსაჯულების შემადგენლობა, საზოგადოებას უნდა წარმოადგენდეს,

რაც ცნობილია – cross-section of community – პრინციპის სახელით.

„ნაფიცი მსაჯულების შემადგენლობა და მათი ვერდიქტი, არის მთელი დანარჩენი საზოგადოების მიკროსამყარო“.⁵ სწორედ ეს არის ქვაკუთხედი იმ სისტემისა, რომელიც მოქმედებს ამერიკის შეერთებულ შტატებში და რა პრინციპების იმპლემენტაციაც მიმდინარეობს ქართულ მართლმსაჯულებაში.

2016 წლის ცვლილებებმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, გააფართოვა ნაფიც მსაჯულად არჩევის კრიტერიუმები და მოიხსნა ისეთი შეზღუდვები, როგორცაა ფსიქოლოგის, ფსიქიატრის და იურისტის პროფესიული ცენზი. ასევე, მოიხსნა ბრალდებულის მონაწილეობის შეზღუდვა და ამჟამად, კანონში მითითებულია მხოლოდ პირის ნასამართლეობის შესახებ, რაც სრულად შეესაბამება კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაში უდანიშნულობის კონსტიტუციურ პრეზუმფციას.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ასევე მოქმედებდა შეზღუდვა, რომლის თანახმადაც: ნაფიც მსაჯულად არ შეიძლებოდა შერჩეული ყოფილიყო პირი, თუ მისი მონაწილეობა ნაფიც მსაჯულად აღნიშნულ საქმეში აშკარად უსამართლო იქნებოდა ამ პირის მიერ გამოხატული მოსაზრებების ან პირადი გამოცდილების საფუძველზე. მართალია, ეს დათქმა ამოღებული იქნა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 30-ე მუხლიდან, თუმცა რეალურად ეს შეზღუდვა შენარჩუნებულია კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტში, რომელიც გა-

მორიცხავს პირის ნაფიც მსაჯულად მონაწილეობას თუ: არსებობს სხვა გარემოება, რომელიც საეჭვოს ხდის მის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას.

შესაბამისად, აშკარაა კანონმდებლის მიზანი, გააფართოვოს საზოგადოების რაც შეიძლება მეტი ფენების ჩართულობა ნაფიც მსაჯულთა მართლმსაჯულებაში და ამავე დროს შეზღუდოს კანდიდატების აცილების შესაძლებლობები.

მიუხედავად ამისა, არსებული პრაქტიკა კვლავაც ადასტურებს, კანდიდატთა მცდელობას, ყველა ხერხის გამოყენებით, თავიდან აირიდონ ის ტვირთი, რაც ნაფიც მსაჯულად პროცესში მონაწილეობას უკავშირდება.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც ამ მიმართულებით მოქალაქეთა ნაკლებ ჩართულობას განაპირობებს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაა. მართალია, სისხლის სამართლის პროცესის 28-ე მუხლი ადგენს ნაფიცი მსაჯულის და კანდიდატების სოციალურ გარანტიებს, მაგრამ ეს გარანტიები ხშირ შემთხვევაში არ არის ეფექტური ან არ გამოიყენება პრაქტიკაში.

გარდა ამისა, საგულისხმოა, რომ საქართველოში მოსახლეობის დიდი ნაწილი არის თვითდასაქმებული, ვისზეც ფაქტობრივად არ ვრცელდება სსსკ 28-ე მუხლის მე-2 ნაწილის ის დანაწესი, რომლითაც – „დასაქმებულ პირს ნაფიც მსაჯულად სასამართლო პროცესში მონაწილეობის დროს უნარჩუნ-

პურნალში „ჩემი ადვოკატი“ რეკლამის განსათავსებლად დაგვიკავშირდით: 0322 987878(105), მეილზე: pr@gba.ge





კანონის უზენაესობა ძველბერძნულ მითოლოგიაში

ავტორი: ლევან ბერძენიშვილი
პროფესორი

ოსვე როგორც ბევრ აბსტრაქტულ ცნებას (სიყვარულს, სიძულვილს, თანხმობას, განხეთქილებასა და ა.შ.), კანონსაც და კანონის უზენაესობასაც ძველბერძნულ მითოლოგიაში თავისი საკუთარი ღმერთი ჰყავდა. კანონის უზენაესობის ღმერთი ქალი იყო, ის იყო ზეცისა და დედამიწის, ურანოსისა და გაიას ასული და მას ერქვა თემისი. ის ამბავი, რომ თემისი ურანოსისა და გაიას ასული იყო, მიუთითებს მის დიდ სიძველეზე, ანუ იმაზე,

თუ რაოდენ ადრეულ ხანაში დაფიქრებულია ბერძნული საზოგადოება კანონსა და მის უზენაესობაზე. თემისი იყო ღვთაებრივი კანონისა და წესრიგის – ღმერთების მიერ თავდაპირველად დადგენილი მოქმედების ტრადიციული წესების ტიტანი ქალღმერთი. იგი ამავე დროს იყო წინასწარმეტყველი ქალღმერთი, რომელიც ხელმძღვანელობდა უძველეს სამისნოებს, მათ შორის, დელფოსსაც. ამ თვალსაზრისით, ის იყო ღვთაებრივი ხმა („თემისტეს“), რომელმაც პირველად

გაანათლა კაცობრიობა სამართლისა და მორალის პირველადი კანონებით, როგორც იყო ღვთისმოსაობის ცნებები, სტუმარმასპინძლობის წესები, კარგი მმართველობა, სახალხო კრებებზე მოქცევა, რწმენითი მსხვერპლშეწირვა ღმერთებისადმი.

ბერძნულ ენაში „თემისი“ აღნიშნავს სწორედ ღვთაებრივ კანონს და იმ საქციელს, რომელსაც ადამიანი არ განაგებს და რომელიც ოდითგანვე განსაზღვრუ-

ლია ჩვეულებებით. მისგან განსხვავდება „ნომოსი“, რომელიც ადამიანის დადგენილ კანონებს მიემატება. როდესაც სოფოკლეს ტრაგედიაში ოიდიპოსის ქალიშვილმა ანტიგონემ, თებეს მეფის, კრეონის, სასტიკი აკრძალვის მიუხედავად, დამნაშავე ძმა დაკრძალა, მან დაარღვია ადამიანური კანონი, მეფის მიერ გამოცემული დეკრეტი – ნომოსი, მაგრამ დაიცვა ღვთაებრივი, „დაუწერელი“ კანონი – თემისი და ამით, რა თქმა უნდა, უზარმაზარი მორალური უპირატესობა მოიპოვა.

მიუხედავად იმისა, რომ თემისი ბევრად უფროსი იყო ახალი თაობის დიდ ღმერთზე, ზევსზე, იგი იყო ზევსის ადრეული საცოლედ და მისი პირველი მრჩეველი. იგი ხშირად წარმოდგენილი იყო მისი ტახტის გვერდით მჯდომად და რჩევას აძლევდა მას ღვთაებრივი კანონისა და ზედის გამგებლობის საკითხებში. თემისი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქალღმერთ ღმერთთან, კერძოდ, ღმერთ თესმოფოროსთან („კანონის მატარებელთან“). თემისის ექვსი შვილი ჰყავდა, ჰორები (ხანდახან გაიზრებოდნენ, როგორც წლიწადის დროები – თალო, აექსო და კარპო; გაზაფხული, ზაფხული და შემოდგომა, ზამთარი ბერძნებმა არ იცოდნენ, მაგრამ, ძირითადად, სამართალთან დაკავშირებული პერსონიფიცირებული ღვთაებები იყვნენ) და ზედისწერის ქალღმერთები მორები. ჰორები იყვნენ: ენომია (კეთილი წესრიგისა და კანონიერი საქციელის ქალღმერთი) და მისი დები დიკე (სამართლის ქალღმერთი) და ეირენე (მშვიდობის ქალღმერთი). მორებიც სამნი იყვნენ: კლოთო („მრთველი“, რთავდა ადამიანის ცხოვრების ძაფს), ლაქესისი („წილის მიმკუთვნებელი“, განსაზღვრავდა თითოეული ადამიანის ბედს) და ატროპოსი („შუქცეველი“, სიკვდილის მეტაფორა). ჰორებიცა და მორებიც ასახევენ დემეტერის ასულის, პერსეფონეს, ორმაგ ფუნქციას. თემისი ასევე გაიგივებული იყო გაიასთან, დედამიწასთან, განსაკუთრებით დედამიწის მისწერ ხმასთან.

ჰომეროსის პოემებში თემისი წარმოადგენს კანონით დადგენილი წესრიგის, ჩვეულებისა და თანასწორობის განსხე-

ულებას, რომელიც ღვთაებრივად წარმართავს ადამიანთა სახალხო კრებებს („ოდისეა“, II, სტრ. 68) და ასევე იწვევს, ზევსის დავალებით, ღმერთების კრებებს („ილიადა“, XX, სტრ. 4). ცხოვრობს ოლიმპოსზე და მეგობრულ ურთიერთობაშია ჰერასთან („ილიადა“, XV, სტრ. 87). თემისის ეს მდგომარეობა გამყარებულია იმით, რომ თებეში მას ჰქონდა საერთო ტაძარი მორებთან და ზევს აგორაიოსთან ერთად, ხოლო ოლიმპოში – ჰორებთან ერთად. ამას გარდა, მას ხშირად აღწერენ, როგორც უძველეს წინასწარმეტყველ ღვთაებას, მას მიაწერენ დელფოსის სამისნოს პატრონობას და

თავდაპირველად თემისი არაფრით არ განსხვავდებოდა გაიასგან და იყო მისი სტიქიური და უზენაესობით მოქმედებას საშინაო კანონი. შემდგომში იგი აღიქმება, როგორც სამართლისა და სამართლიანობის ქალღმერთი, მართლწერის ქალღმერთი, რომელიც გვერდით უდგას ზევსს, როგორც მისი კეთილმოწყობილი მეუღლის სიმბოლო. მათი შვილები არიან ჰორები – წელიწადის დროებისა და სახელმწიფო განრიგის მხარეული, მშვენიერი, ქველმოქმედი, მარად მოცუვავი ქალღმერთები, რომლებიც კოსმური სამართლიანობით აგზავნიან დედამიწაზე ატმოსფერულ ნალექებს ზეციური კარიბჭის გახსნითა და დახურვით. ზედისწერის სამიწიანი ქალღმერთები, მორებიც კი მორტყმულად ცხოვრობენ ოლიმპოსზე.

თვლიან ამ ფუნქციაში გაიას მემკვიდრედ და აპოლონის წინამორბედად. თემისის თაყვანისცემა განსაკუთრებით ძლიერი იყო თებეში, ოლიმპიაში, ათენში, ტანაგროსსა და ტროიძენში, სადაც მისი საკურთხეველი იყო აღმართული. ბევრი ნიმფა მიიწვეოდა ზევსისა და თემისის ასულად, ასევე ზევსისა და თემისის ასულად ითვლებოდნენ ჰესპერისები. ხშირად გამოსახავდნენ მონეტებზე ათენას ფიგურასთან მიმგავსებულად სიუხვის რქასთან და სასწოროთან ერთად.

თავდაპირველად თემისი არაფრით არ განსხვავდებოდა გაიასგან და იყო მისი სტიქიური და უწესრიგო მოქმედებე-

ბის საშინელი კანონი. შემდგომში იგი აღიქმება, როგორც სამართლისა და სამართლიანობის ქალღმერთი, მართლწერის ქალღმერთი, რომელიც გვერდით უდგას ზევსს, როგორც მისი კეთილმოწყობილი მეუღლის სიმბოლო. მათი შვილები არიან ჰორები – წელიწადის დროებისა და სახელმწიფო განრიგის მხარეული, მშვენიერი, ქველმოქმედი, მარად მოცუვავი ქალღმერთები, რომლებიც კოსმური სამართლიანობით აგზავნიან დედამიწაზე ატმოსფერულ ნალექებს ზეციური კარიბჭის გახსნითა და დახურვით. ზედისწერის სამიწიანი ქალღმერთები, მორებიც კი მორტყმულად ცხოვრობენ ოლიმპოსზე.

სამართლიანობის თემა ოლიმპოსური პერიოდის მითებში ეხმიანება ადამიანის ბუნებაზე გამარჯვების მარადიულ თემას. როდესაც ოიდიპოსმა გამოიცილა სფინქსის გამოცანა, სფინქსი ქარაფებიდან გადაეშვა და თავი მოიკლა. როდესაც ოდიპუსი (ან ორფეუსი) არ დაემორჩილა სირინოზების მომაჯადოებელ მღერას და უუნებლად გასცურა მათ კუნძულთან, სირინოზები იმავე წამს დაიღუპნენ. როდესაც არგონავტებმა წარმატებით გასცურეს სამიწიანი სისწრაფით მოძრავ კლდეებ სიმღლეგადებს შორის, რომლებიც ხან უახლოვდებოდნენ ერთმანეთს და ხანაც შორდებოდნენ, სიმღლეგადები სამუდამოდ გაჩერდნენ, ხოლო როდესაც არგონავტები ჩავიდნენ ჰესპერისების ბაღში, ისინი მტკრად დაიშლნენ და მხოლოდ შემდეგ აღიდგინეს ოდინდელი იერი. ყველაფერი ეს მითოლოგიაში კულტურის ბუნებაზე გამარჯვების სამართლიან მიზეზ-შედეგობრივ პროცესზე მიუთითებს.

მითოლოგიაში ოლიმპოსურ ხანას მოჰყვა გვიანდელი ჰეროიზმის ხანა. გვაროვნულ ურთიერთობათა რღვევის პროცესი და საბერძნეთში ადრეკლასობრივი სახელმწიფოების ჩამოყალიბება, რა თქმა უნდა, აისახა ბერძნულ მითოლოგიაში, კერძოდ, ჰომეროსის ეპოსში. მასში აისახა გარდამავალი საფეხური ძველ, მკაცრ ჰეროიზმსა და ახალ, დახვეწილ ჰეროიზმს შორის. სამხედრო ვაჟკაცობის მაგალითი ჰომეროსთან ძალიან ბევრია, თუმცა ასევე ბევრია რელიგიური გულე-

რილობის ნიმუშებიც, რომელიც ყველაზე უფრო ავტორიტეტული ღმერთების კრიტიკამდეც კი მიდის. ამ მითოლოგიის გმირები სულ უფრო თამამდებიან, ღმერთებისადმი მათი თავისუფალი დამოკიდებულება იზრდება, მეტიც, ისინი ბედავენ და ღმერთებს ეჯობრიებიან. ლიდის მეფე ტანტალოსი, რომელიც ზევსის ძე იყო და ღმერთების კეთილგანწყობით სარგებლობდა, ისე გაამაყდა თავისი ძალაუფლებით, უდიდესი სიმიდღრითა და ღმერთებთან მეგობრობით, რომ ზეციდან ამბროსია და ნექტარი მოიტაცა და ამ ღვთაებრივი საკვების ჩვეულებრივი ადამიანებისთვის დარიგება დაიწყო. აი, როგორ გადმოგვცემს ამ ამბავს უდიდესი ბერძენი პოეტი პინდაროსი თავის პირველ ოლიმპიურ ოდაში (სტრ. 55-64, ნანა ტონიას თარგმანი):

ეს იყო მხოლოდ ტანტალოსი, მანაც ვერ შეძლო გადაეტანა საოცარი ბედნიერება: უსასტიკესად დაისჯა, რადგან შესცოდა. მაღალმა ღმერთმა მის თავს ზემოთ უძიძისი ლოდი დაჰკიდა, რომელიც უნდა ჩამოვარდეს.

ტანტალოსი, რომელიც მისი ძვირფასი შვილებს მათ მათი მათი მათი მათი მათი

ნეტარ სიმშვიდეს ტანტალოსი გამოეთხოვა, დაუსაბამო წამებით აღივსო მიუსაფარი მისი სიცოცხლე. იგი მეთხე, სამის მერმე, ითმენს სატანჯველს, რადგან მესტუმრე თანასწორთათვის ღმერთებს მოჰპარა წმინდა ნექტარი და ამბროსია, რომლებშიც იყო უკვდავება.

ო, როგორ ცდება, ვინც იმედოვნებს, რომ ღმერთის მზერას დაემალება!

ქართა მბრძანებლის, ეოლოსის ვაჟი, ქალაქ კორინთოსის დამაარსებელი და მმართველი სისიფოსი ზევსისა და ეგინას სატრფიალო შეხვედრას შეესწრო ფარულად და ეს საიდუმლო ხალხში გაავრცელა (პავსანიასი, II, 5, 1). მეფე იქსიონს ჰერა შეუყვარდა — უზენაესი ღმერთის, ზევსის, მეუღლე და ღრუბელი რომ მოატყუა, ეგონა, ჰერას ატყუებდა (პინდაროსი, პითიური ოდები, II 21-48). დიომედესი ხელოართულ ბრძოლაში შე-

იჭრა ღმერთებთან და ჯერ აფროდიტე დაჭრა, ხოლო შემდეგ ომის ღმერთი, არესიკ, არ დაინდო („ილიადა“, V, სტრ. 330-339, 846-864). სალმონეესმა თავი საერთოდ ზევსად გამოაცხადა და ღვთაებრივ პატივს ითხოვდა თავისთვის. ეს ამბავი მაღალი ოსტატობით აღწერა დიდმა რომაელმა პოეტმა პუბლიუს ვერგილიუს მარომ („ენეიდა“, VI, სტრ. 585-594; ყველგან, სადაც მთარგმნელი მითითებული არ არის, თარგმანი გვეკუთვნის ჩვენ, ლ.ბ.):

ვნახე, რომ საშინელ სასჯელს იხდიდა სალმონეესი იუპიტერის ცეცხლისა და ქუხილის მიბაძვისთვის. ოთხცხენიანი ეტლით დადიოდა და ჩირაღდანს ატარებდა ბერძნებში, ელისის ქალაქის შუაგულში დადიოდა და თავისთვის ღმერთების სადარ პატივს ითხოვდა.

რა თქმა უნდა, ყველა ეს არაღვთისმოსავი და უღმერთო გმირი მეტნაკლები სიმკაცრით ისჯებოდა; მაგრამ ეს იყო პირველი ნიშნები საბერძნეთის ისტორიაში, როდესაც მითოლოგია ლიტერატურულ დამუშავების საგანი გახდა. გმირული მითოლოგიის რღვევის ამ ეპოქისათვის დამახასიათებელია მითები საგვარეულო წყევლის შესახებ, რომელსაც მოჰყვებოდა ზედიზედ რამდენიმე თაობის დაღუპვა. სწორედ ეს იყო, მაშინდელი წარმოდგენით, უმაღლესი სამართლიანობა — დანაშაული იმდენად ძძიმე იყო, რომ ერთი კაცის სასჯელი მის ადეკვატურად არ გამოიყურებოდა და ამიტომ ისჯებოდა მთელი საგვარეულო რამდენიმე თაობის განმავლობაში.

ოდესღაც თებეს მეფე ლაიოსი ტახტის უზურპატორებს, ამფიონსა და ძეტესს ემალებოდა და თავშესაფარი იპოვა პელოფსთან, პისატიდის მეფესთან. პელოფსს წყევლა მოჰყვებოდა იმიტომ, რომ თავისი მეუღლე ჰიპოდიმია მზაკრობით მოიპოვა. ყველაზე უფრო პელოფსს თავისი უმცროსი ძე, ქრისიპოსი უყვარდა. როდესაც ლაიოსი ქრისიპოსს ეტლის მართვას ასწავლიდა, მას შეუყვარდა ყმაწვილი და მოიტაცა იგი. ლაოსმა მოტყუებით წაიყვანა ქრისიპოსი თებეში და შეაცდინა. მერცხვენილმა უფლისწულმა თავი მოიკლა (სხვა ვერ-

სიით, ქრისიპოსი უფროსმა ძმებმა მოკლეს). პელოფსმა დაწყევლა ლაიოსი და მთელი მისი მოდგმა. წყევლა, რა თქმა უნდა, ახდა: ლაიოსი საკუთარი შვილის, ოიდიპოსის ხელით დაიღუპა. თავი მოკლა იოკასტემაც, ჯერ ლაიოსის, ხოლო შემდეგ ოიდიპოსის მეუღლემ, როგორც კი გაიგო, რომ საკუთარ ვაჟს გაჰოლია ცოლად. ერთმანეთს ბრძოლაში შეასკდნენ და დაიღუპნენ ოიდიპოსის ვაჟები — ეტეოკლესი და პოლინიკესი, შემდეგ დაიღუპნენ მათი შვილებიც.

წყევლა მოჰყვებოდა პელოფსის, ტანტალოსის ძის, მოდგმასაც. თავად ტანტალოსის დანაშაული კიდევ უფრო გაზარდა მისმა შთამომავლობამ. პელოფსმა მოატყუა მეეტლე მირტილოსი, როდესაც მას ენომაოსზე გამარჯვების შემთხვევაში ნახევარ სამეფოს დაჰპირდა. სიტყვის გატეხვის შემდეგ იგი დაწყევლა მირტილოსმა, რის შედეგადაც მისი შვილები, ატრევსი და თიესტესი გადაეკიდნენ ერთმანეთს. თიესტესმა ატრევსს ძალაუფლებაში წილი მოსთხოვა, ატრევსმა არ მისცა, მაშინ თიესტესმა ძმას ცოლი, აეროპე შეუცდინა და საყვარლად გაიხადა. ატრევსმა გაუგებრობაში მოჰკლა საკუთარი შვილი, რომელიც თიესტესმა მიუგზავნა; ამის გამო მან თიესტესს მისივე შვილები დაუკლა და მათი შემწვარი ხორცი აჭამა. საკუთარი მეუღლე აეროპე, რომელიც თიესტესს თანაუგრძნობდა, ზღვაში გადააგდო, ხოლო თიესტესს მისივე შვილი მიუგზავნა მოსაკლავად, მაგრამ, როდესაც იგი გაერკვა, რა ხდებოდა, ატრევსი გამოასალმა სიცოცხლეს. ატრევსის ერთ-ერთი ძე, აგამემნონი საკუთარმა ცოლმა მოკლა აგამემნონის ბიძაშვილთან, ეგისტოსთან ერთად, რომელიც მანამდე საყვარლად გაიხადა. ეგისტოსი და კლიტემნესტრა დახოცა აგამემნონის შვილმა ორესტესმა, რომელსაც ამის შემდეგ დაედევნენ შურისძიების ქალღმერთები ერინისები. დამახასიათებელია, რომ თავისი დანაშაულისთვის განწმენდა ორესტესმა მიიღო არა მხოლოდ აპოლონის ტაძარში დელფოსში, არამედ ათენშიც — არეთპაგის (საერო სასამართლოს) გადაწყვეტილებით; არეოპაგს კი ქალღმერთი ათენა პალასი თავმჯდომარეობდა. ასე იძებნებოდა გამოსავალი გვაროვნულ-

შეხედეთ ბრიყვსა ქალასა, ეს ვინ არჩია მამასა, დაგვიმზო მთელი სამეფო, სვეც ანაცვალა ამასა, რისთვის გაგზარდა დედამა, რისთვის გეტყოდა ნანასა?

შეხედეთ ბოზსა დიაცსა, ქმარი არჩია მამასა, ქმარი ხეს ფოთლებად ასხავ, მამას ვინ მისცემს მაგასა?!

თემური ურთიერთობების ჩიხიდან უკვე პირველყოფილი წყობის მიღმა, ათენის სახელმწიფოებრიობისა და მოქალაქეობისკენ გზაზე.

განსაკუთრებული მნიშვნელობა მითოლოგიაში შეიძინა სისხლით ნათესაობისა და მოყვრობის, კანონიერი ქორწინების, დაპირისპირებამ. ჯერ კიდევ ძველ დროში, ბერძნებს აკვირვებდათ კოლხებისა თუ ტროელების დამოკიდებულება ამ საკითხისადმი: აზიელები, მათგან განსხვავებით, კანონიერ ქორწინებას და მისგან წარმომდგარ ურთიერთობებს ამჟარა უპირატესობას ანიჭებდნენ სისხლით ნათესაობასთან შედარებით. მითების უბრალო გადახედვაც კი გვაძლევს პასუხს ამ შეკითხვაზე: მედეამ, მაგალითად მოყვრობას, იასონთან ურთიერთობას, ანუ ქორწინებას შესწირა სისხლით ნათესაობის თვალსაზრისით ყველაზე ახლობელი ადამიანი, საკუთარი ძმა, აფსირტოსი. მან ქმრის გამო უარი თქვა საკუთარ მამაზეც. აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ, რომ ეს საერთო თემაა არა მხოლოდ კოლხურ, არამედ, ზოგადად, ქართულ წარმოდგენებშიც, მაგალითად, ყამარზე „ამირანიაში“ ნათქვამია:

შეხედეთ ბრიყვსა ქალასა, ეს ვინ არჩია მამასა, დაგვიმზო მთელი სამეფო, სვეც ანაცვალა ამასა, რისთვის გაგზარდა დედამა, რისთვის გეტყოდა ნანასა? რად გაწოვებდა ძუძუსა, გირწევდა აკავანასა!

ან

შეხედეთ ბოზსა დიაცსა, ქმარი არჩია მამასა, ქმარი ხეს ფოთლებად ასხავ, მამას ვინ მისცემს მაგასა?!

აბსოლუტურად იგივე სურათი გვაქვს ჰომეროსის „ილიადაში“. ამ პოემის მეექვსე სიმღერაში, რომელშიც მთავარი სცენა ჰექტორისა და მისი მეუღლის, ანდრომაქეს გამოთხოვებაა, ჰექტორის სიტყვაში ამჟარად იკვეთება, რომ ისიც სისხლით ნათესაობისა და მოყვრობის დაპირისპირებაში ქორწინებას უზარმაზარ უპირატესობას ანიჭებს. ჰექტორი მეუღლეს უხსნის, არც ერთი ნათესავის ბედი ისე არ ადარდებს, როგორც მისი, ანდრომაქესი, კანონიერი მეუღლისა. აი ეს სიტყვა („ილიადა“, VI, 448-469):

ამ ეპოქისათვის დამახასიათებელია მითები საგვარეულო წყვლის შესახებ, რომელსაც მოჰყვებოდა გვიგედ რამდენიმე თაობის დაღუპვა. სწორედ ეს იყო, მაშინდელი წარმოდგენით, უმაღლესი სამართლიანობა — დანაშაული იმდენად ძძიმე იყო, რომ ერთი კაცის სასჯელი მის ადმკვატურად არ გამოიყურებოდა და ამიტომ ისჯებოდა მთელი საგვარეულო რამდენიმე თაობის განმავლობაში

ტანტალოსი, რომელიც მისი ძვირფასი შვილებს მათ მათი მათი მათი მათი

„გულის სიღრმეში კარგად ვიცი, რომ დადგება დღე, როდესაც დაეცემა წმინდა ილიონიც, პრიამოსიცა და იფნისშუბიანი პრიამოსის ხალხიც; მაგრამ იმდენად ტროელთა ტკივილი არ მიკლავს სხვისგან, გულს, არც თავად ჰეკაბესი და მბრძნებელი პრიამოსისა, არც ჩემი მრავალი ვაჟკაცი ძმისა, რომლებსაც საძულველი მტრები მტვერში დაამხობენ, რამდენადაც შენი, როდესაც რომელიმე ბრინჯაომოსილი აქაველი აცრემლეულს მოგიტაცებს და თავისუფლების დღეს წაგართმევს. სადმე, არგოსში, საქსოვ დაზგასთან დაგაყენებს ვილაც უცხო ქალი, მესესის ან ჰიპერეიას

წყაროებიდან წყალს მოგატანინებენ, გული მოგიკვდება, მაგრამ სასტიკი გასაჭირი გაიძულებს. ვილაცა დაგინახავს ცრემლისმღვრელს და იტყვის: „ეს იმ ჰექტორის ცოლია, რომელიც ბრძოლებში ყველას აღემატებოდა ცხენთამხედნელ ტროელებს შორის, როდესაც ილიონისთვის ომი იყო.“ ასე იტყვის ვილაც, შენთვის კი ეს ახალი ტკივილი იქნება, რადგან იმ კაცის ქვრივი იქნები, რომელსაც შექძლო, მონობის დღე აერიდებინა შენთვის; მაგრამ დაე, მოეკვდე და მიწამ დამფლას, რომ ტყვედ წაყვანისას შენი კივილი არ გავიგონო!“

ანუ რასაც გრძნობდა და ამბობდა ძვ.წ. XIII საუკუნეში კოლხი მედეა, იმასვე იმეორებს XII საუკუნეში ტროელი ჰექტორი.

სრულიად საპირისპირო სურათი გვაქვს ამავე პერიოდის ბერძნულ მსოფლალქმაში, რომელიც მშვენიერად გამოვლინდა ისეთ მძღავრ მითოსურ ფიგურაში, როგორიც იყო ანტიგონე. როგორც უკვე ვთქვით, ანტიგონემ ძმის გამო ადამიანური კანონი დაარღვია, რასაც საბოლოოდ მისი სიკვდილი მოჰყვა. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ანტიგონემ თავის საქციელს გარკვეული ახნაც მოაყოლა (სოფოკლე, „ანტიგონე“, სტრ. 905-912, გიორგი ხომერეკის თარგმანი):

შვილი მყოლოდა, არასოდეს ვიზამდი ამას, თუნდაც მოკლული და გახრჩნილი მყოლოდა ქმარი, მოქალაქეთა წინააღმდეგ არ ჩავიდენდი ამნაირ საქმეს. თუ რად ვამბობ ამას ამგვარად? რომ მომკვდარიყო ჩემი ქმარი, სხვა შემირთავდა, თუ დავკარგავდი, გავიჩენდი ბავშვებსაც სხვისგან, ხოლო როდესაც ჰადესშია დედა და მამა, აღარვინაა, ძმა რომ მიშვას ქვეყნად როდესმე.

როგორც ვხედავთ, მედეასგან და ჰექტორისგან დიამეტრალურად საპირისპიროდ ანტიგონე ძმას ამჟარა უპირატესობას ანიჭებს ქმართან შედარებით, ანუ აღიარებს, რომ სისხლით ნათესაობა უფ-

რო მნიშვნელოვანია, ვიდრე მოყვრობა და კანონიერი ქორწინება.

ეს საკითხი მითოსში შეიცვალა მხოლოდ ძვ.წ. მეხუთე საუკუნეში, როდესაც მედეადან და ჰექტორიდან რვა საუკუნის შემდეგ ბერძნები იმავე დასკვნამდე მივიდნენ, სადაც ჩვენი წინაპრები თავიდანვე იყვნენ მისულნი. ეს ყველაფერი თეატრში მოხდა. თეატრი დღეს ესთეტიკური და კულტურული დაწესებულებაა, სადაც თეატრალური დადიან განსხვავებით ჩვენი მდგომარეობისაგან, თეატრი ანტიკურობაში გახლდათ სახელმწიფო და რელიგიური დაწესებულება, რომელსაც რამდენიმე თეატრის რამდენიმე ასეული მოყვარული კი არა, ქალაქის მთელი თავისუფალი მოსახლეობა, ანუ რამდენიმე ათასი მოქალაქე ესწრებოდა (ათენის დიონისეს თეატრი, მაგალითად, 14-17 ათას მაყურებელს იტევდა). დასწრება საჯაროდებულ იყო ყველა მოქალაქისათვის. თუ ვინმეს, განსაკუთრებულად ღარიბს, თეატრისთვის ფული არ ჰქონდა, სახელმწიფო მას აძლევდა ე.წ. „თეორიკონს“, რომლითაც მხოლოდ თეატრის ბილეთის შეძენა შეიძლებოდა. ის, რაც ითქმებოდა თეატრში, არ იყო მხოლოდ ავტორის პოზიცია, ეს, უპირველეს ყოვლისა, იყო დიონისოსის, თეატრის ღმერთის პოზიცია და, საბოლოო ჯამში, ეს იყო ზევსის, უზენაესი ღმერთის პოზიცია.

სისხლის ნათესაობისა და მოყვრობის დაპირისპირების თემას შეეხო ესქილე თავის გენიალურ ტრილოგიაში, რომელსაც „ორესტეა“ ეწოდება და იქ, სცენაზე, საბოლოოდ გადაწყვიტა, თუ როგორი უნდა იყოს ბერძნების დამოკიდებულება სისხლით ნათესაობისა და მოყვრობის დაპირისპირებისადმი. „ორესტეა“ დანამაულისა და სასჯელის ტრაგედიათა წყებაა. პირველ ტრაგედიაში, „აგამემნონში“ ტროის ომში ბერძენთა მთავრსარდალს, აგამემნონს, შინ, არგოსში დაბრუნების შემდეგ კლავენ მეუღლე კლიტემნესტრა და მისი საყვარელი, ეგისტოსი. მეორე ტრაგედიაში, რომელსაც ეწოდება „ქოეფორები“, რვა წლის შემდეგ აგამემნონის უცხოეთიდან, კერძოდ, ფორკისიდან ჩამოსული ვაჟი ორესტესი, არგოსში დარჩენილ დასთან, ელექტრასთან, ერთად კლავენ ეგისტოსსა და კლიტემ-

ნესტრას. დედის მკვლელობის გამო ორესტესს შურისძიების ქალღმერთები, ერინისები დაედევნებინ. მესამე ტრაგედიაში, რომელსაც ეწოდება „ვემენისები“, საუბარია სწორედ ორესტესზე და მის ბედზე. უპირველეს ყოვლისა, ორესტესს მკვლელობისგან განწმენდს აპოლონი, რომელმაც მანამდე სწორედ მას დაავალა მამისათვის შურისძიება. ამის შემდეგ მითოსური დაპირისპირება ღვთაებრივ დონეზე ადის. ძველი ქალღმერთები, ერინისები უპირისპირდებიან ახალ ღმერთებს: აპოლონს, ათენასა და ზევსს. სანტერესოა, რომ ეს დაპირისპირება ადამიანურ სასამართლოში, არეოპაგში გრძელდება. დღევანდელი ტერმინები რომ მოვიშველიოთ, ერინისები გამოდიან როგორც ორესტესის პროკურორები, ხოლო აპოლონი – როგორც ბრალდებულის ადვოკატი. როგორია მხარეთა პოზიციები?

ერინისების მთავარი ბრალდებაა, რომ ორესტესმა დედა მოკლა. დედა სისხლით ნათესავია, მისი მოკვლა შვილის ხელით არ შეიძლება. ერინისები არ დავობენ, რომ ორესტესის დედა, კლიტემნესტრა, რომელმაც საკუთარი მეუღლე, აგამემნონი, მოკლა, დამნაშავე იყო. კლიტემნესტრა დამნაშავე იყო, სიკვდილსაც სრულიად სამართლიანად იმსახურებდა, მაგრამ არა სისხლის ნათესავის, მით უმეტეს, არა შვილის ხელით. აქ აპოლონი სვამს კითხვას, თუკი ერინისები დედის მკვლელობის გამო დაედვენენ ორესტესს, როგორ მოხდა, რომ მაშინ, როდესაც კლიტემნესტრამ ჩაიდინა დანაშაული და ქმარი მოკლა, ერინისებს არანაირი რეაქცია არ ჰქონიათ? ერინისების პასუხი ასეთია: კლიტემნესტრა დამნაშავეა, მაგრამ ერინისები მას არ დაედვენენ, რადგან ერინისები სჯიან სისხლით ნათესაობის კანონების დამრღვევებს, ხოლო აგამემნონი კლიტემნესტრას სისხლით ნათესავი არ იყო, ამიტომ ისინი მას არ დაედვენებინ. ცოლი არ არის ქმრის სისხლით ნათესავი, ამიტომ ცოლს ქმრის მკვლელობის გამო ერინისებისგან არანაირი საფრთხე არ ელის. სრულიად ნათელია, რომ ძველი ღმერთების, ერინისების მიხედვით, სისხლით ნათესაობა მოყვრობაზე იმდე-

ნად მაღლა დგას, რომ ამ უპირატესობას იურისპრუდენციაშიც კი შეუღწევია.

აპოლონი გამოდის სასამართლოზე სიტყვით და ამტკიცებს, რომ ძველი ღმერთების პოზიცია სწორი არ არის. აი, როგორ მიმდინარეობს კამათი აპოლონსა და ერინისებს შორის (ესქილე, „ორესტეა“, „ვემენისები“, სტრ. 207-224):

აპოლონი: არა, თქვენ ამ სახლში მოსვლა არ გკუთვნით.

კორიფაიოსი: მაგრამ ეს ჩვენ დავალებული გვაქვს.

აპოლონი. რა დავალება? რას ტრაბახობ, რა გვეალებათ?

კორიფაიოსი. დედისმკვლელების გაძევება სახლებიდან.

აპოლონი. და როცა ცოლი მოკლაეს ქმარს?

კორიფაიოსი. ეს არ არის სისხლით ნათესავის მკვლელობა.

აპოლონი. მაშ სრულიად არ სცემ პატივს და არაფრად მიგანია ჰერასა და ზევსის საქორწინო აღთქმა. კიბრისიც უპატივცემულო რჩება ამ წამოცდენილი სიტყვით, მისგან კი მოკვდავთათვის უსაყვარლესი რამეები იშვა. ქორწინება, რომელსაც იზიარებენ კაცი და ქალი ბედისწერით ფიცზე უფრო ძლიერია და დაცულია სამართლით. თუ მათ ერთმანეთის დახოცვას აპატიებ, არ დასჯი და არ განურისხდები, ვერ ვიტყვი, რომ ორესტესს სამართლიანად აგდებ შინიდან: რადგან ვხედავ, რომ ერთი შემთხვევა გულთან ახლოს მიგაქვს და ამკარად უფრო მშვიდად უყურებ მეორეს. ქალღმერთი პალასი განიხილავს ამ საქმეს.

სასამართლომ საქმე განიხილა: ხმები გაიყო, მაგრამ ორესტესი გამართლდა, რადგან მან ათენას ხმაც მიიღო. ამის შემდეგ უკვე კანონით დადგინდა, რომ კანონიერი ქორწინება სისხლით ნათესაობაზე უფრო მაღლა დგას. ეს დაადგინა ესქილემ, ესქილეს კი ამას უკარნახებდა აპოლონი, ხოლო აპოლონს – ზევსი. ხალხისთვის ამ ცოდნის გადაცემაც რე-



TERMINAL

ინდივიდუალური ოფისები
საერთო სამუშაო სივრცე
შეხვედრების ოთახები
საკონფერენციო დარბაზები
მოსასვენებელი სივრცე

- 📍 აბაშიძის ქ. 34
- 📍 ხორავას ქ. 3
- 📍 უნივერსიტეტის ქ. 24
- 📍 ჭავჭავაძის გამზ. 37მ (აქსის თაუერსი)
- 📍 აღმაშენებლის გამზ. 73ა (ვარდების ბაღი)

hello@terminal.center
+995 2121015
www.terminal.center

ლოგიურ ხასიათს ატარებდა, რადგან თე-
ატრი, უპირველეს ყოვლისა, რელიგიუ-
რი, რწმენითი დაწესებულება იყო. ყველა
ათენელ მოქალაქეს ესმოდა, რომ რასაც
ახლა თეატრში იგებდნენ, ეს ესთეტიკუ-
რი ტკბობის საგანი კი არა, ეთიკური და
სამართლებრივი ნორმა იყო. ასე შექმნა
მითი ესქილემ, ხოლო მითმა დაადგინა
კანონი, რომელიც დღეს საყოველთაო
ხასიათს ატარებს. საკმარისია, მემკვიდ-
რეობის თანამედროვე კანონებს გა-
დავხედოთ, რომ დავრწმუნდეთ, ძველ
ბერძნულ მითოსური წარმოდგენაში
გაჩენილი ნორმა, ესქილეს აღმოჩენა,
კვლავაც ძალაშია.

ცნობილია ორი მითი, რომელთა მიხედ-
ვით შეგვიძლია მივყვეთ პროცესს, თუ
როგორ მიდიოდა ბერძნული მითოლო-
გია საკუთარი თავის უარყოფამდე. უპირ-
ველეს ყოვლისა, ესაა მითი, რომელიც
დიონისოსთან არის დაკავშირებული,
ზევისა და მოკვდავი ქალის, სემელეს
ქესთან. დიონისოსმა სახელი გაითქვა
როგორც ორგების მომწყობმა და ბაკქო-
სის მხეველების, გაშმაგებული მენადების
ღმერთმა. დიონისოსის ეს ორგიასტული
რელიგია მთელ საბერძნეთში გავრცელო-
და ძვ.წ. მეშვიდე საუკუნეში, თავის სამ-
სახურში გააერთიანა ყველა ფენა და
ამიტომ იყო ღრმად დემოკრატიული და
მიმართული არისტოკრატიული ოლიმ-
პოსის წინააღმდეგ. დიონისოსის თაყვა-
ნისმცემლების ექსტაზი და ეგზალტაცია
ქმნიდა ღმერთთან შინაგანი ერთიანობის
ილუმინაციას და სწორედ ამით ანადგურებდა
გარდაუვალ უფსკრულს ღმერთებსა და
ადამიანებს შორის. ამიტომ, დიონისო-
სის კულტი, აძლიერებდა რა ადამიანის
დამოუკიდებლობას, მას მითოლოგიურ
მიმართულებას უკარგავდა. დიონისოსის
კულტიდან აღმოცენებული ბერძნული
ტრაგედია მითოლოგიას სამუშაო მასა-
ლად იყენებდა, ხოლო ასევე დიონისო-
სის კულტიდან განვითარებული კომედია
პირდაპირ აკრიტიკებდა ძველ ღმერთებს
და მათ, ფაქტობრივად, აცამტვერებ-
და. ბერძენ დრამატურგებს, ევრიპიდესა
და არისტოფანეს ღმერთები თვითონ
ადასტურებენ საკუთარ სიცარიელესა და
არარაობას; ამკარაა, რომ მითოლოგია
ცხოვრებაშიც და ბერძნულ დრამაშიც
თვითუარყოფამდე მიდიოდა.

მითოლოგიური თვითუარყოფის მეორე
ტიპი აღმოცენდა პრომეთევსის სახეს-
თან დაკავშირებით. თვით პრომეთევსი
არის ღვთაება, იგი ან ტიტან აპეტო-
სის ძეა, ან თვითონაა ტიტანი, ანუ იგი
ან ბიძაშვილია ზევსისა, ან მისი ბიძა.
როდესაც ზევსი ამარცხებს ტიტანებს
და დგება გმირული ხანა, პრომეთევ-
სი ადამიანების შემწეობისთვის ისჯება
ზევისგან – მას კლდეზე მიაჯაჭვავენ
სკვითიაში ან კავკასიაში. პრომეთევსის
დასჯა გასაგებია, რადგან იგი ოლიმპო-
სური ჰეროიზმის, ე.ი. ზევსთან დაკავში-
რებული მითოლოგიის მტერია. ამიტომ
მთელი გმირული ხანის განმავლობაში

**ძველი ქალღმერთები,
პრინესები
უპირისპირდებიან ახალ
ღმერთებს: აპოლონს,
ათენასა და ზევსს.
საინტერესოა, რომ ეს
დაპირისპირება ადამიანურ
სასამართლოში, არეოპაგში
გრძელდება. დღევანდელი
ტერმინები რომ
მოვიშვალით, პრინესები
გამოდიან როგორც
ორმეტისის პროკურორები,
ხილვ აპოლონი – როგორც
ბრალდებულის ადვოკატი**

პრომეთევსი კლდესაა მიაჯაჭვული, ხო-
ლო ჰომეროსი მას საერთოდ არ ახსე-
ნებს; მაგრამ აი, ჰეროიკული ხანა და-
სასრულს უახლოვდება და ჰერაკლესი
ათავისუფლებს პრომეთევსს. ზევსსა და
პრომეთევსს შორის ხდება დიდი შერი-
გება, რომელიც აკანონებს პრომეთევ-
სის სიდიადეს, იმ ღმერთის სიდიადეს,
რომელმაც ადამიანებს აჩუქა ცეცხლი
და ცივილიზაციის დასაბამი და კაცობ-
რიობა მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი
გახადა ღმერთებისაგან. ამრიგად, პრო-
მეთევსი, რომელიც თვითონ ღმერთი
იყო, ანგრევდა ღვთაებრივ რწმენას და
სამყაროს მითოლოგიურ აღქმას.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ამა
თუ იმ ავტორის პოლიტიკური შეხედუ-
ლებებისა და სტილის შესაბამისად ბერ-
ძნული მითოლოგია იღებდა სხვადასხ-
ვაგვარ გაფორმებას და გამოიყენებოდა
სხვადასხვანაირად. მაგალითად, ესქი-
ლესთან ათენა პალასი ათენის მოქალა-
ქეობრიობისა და სახელმწიფოებრიო-
ბის მცველად გვევლინება („ორესტეა“),
პრომეთევსი მასთან აღჭურვილია მო-
წინავე და რევოლუციური იდეებითაც კი
 („მიჯაჭვული პრომეთევსი“), ანტიგონესა
და კრეონის დაპირისპირება სოფოკ-
ლესთან წარმოდგენილია, როგორც
ოჯახურ-გვაროვნული ტრადიციებისა
და სახელმწიფო იდეოლოგიის ბრძო-
ლა („ანტიგონე“). მითოლოგია ამ შემ-
თხვევაში მხოლოდ დამხმარე როლს
ასრულებს, მაგალითად, ევრიპიდესთან
მითოლოგიურ გმირებს მხოლოდ ღვთა-
ებრივი სახელები რჩებათ. არისტოფანე
თავის კომედიებში ღმერთებს კომიკუ-
რად და დამცინავად გვაჩვენებს, მიჰყვება
რა ტრადიციულ ყველაფერს ნებადარ-
თულობას, რაც თეატრის რიტუალურ
წარმოშობასთანაა დაკავშირებული.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ,
რომ სამართლიანობის გრძნობა ბერ-
ძნებისთვის მითოლოგიიდან იღებდა
სათავეს. უპირველეს ყოვლისა, სამარ-
თლიანობა ღვთაებრივი წარმოშობისა
იყო და იგი მითოსური პირების მიერ
იმართებოდა. უპირველეს ყოვლისა,
ეს იყო სამართლიანობისა და კანო-
ნის უზენაესობის პერსონიფიკირებული
ღმერთი თემისი, ამავე დროს, ამ სამარ-
თლიანობის განხორციელების გარანტი
– უზენაესი ღმერთი ზევსი. ამ მითოსური
პირებიდან იწყება სამართლიანობის დი-
ფერენცირებული, მცირე ღმერთების გა-
მოჩენა: ჰორები, მოირები და ა.შ. დემი-
თოლოგიზაციისა და დესაკრალიზაციის
პროცესი შიგნით მითოლოგიაში მიმდი-
ნარეობდა, საზოგადოება სულ უფრო
დამოუკიდებელი ხდებოდა ღმერთების-
გან, ღმერთებიც სულ უფრო ესთეტიკურ
კატეგორიაში გადადიოდნენ, ამიტომ,
მართალია, სამართლისთვის ბრძოლას
ბერძნები სრულ ათეიზმამდე არ მიუყვა-
ნია, მაგრამ სახელმწიფო წყობილება-
თაგან საუკეთესომდე, დემოკრატიამდე
კი მიიყვანა.

ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საზოგადოებების საბჭო (CCBE) 60 წლის იუბილეს აღნიშნავს



ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წიაღში დაფუძნებული ორ-
განიზაცია – ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის
საზოგადოებების საბჭო (CCBE) – თავდაპირველად 6 ევროპული
სახელმწიფოს ადვოკატთა გაერთიანებებს წარმოადგენდა. დღეს
კი CCBE 45 ევროპული ქვეყნის ადვოკატთა ასოციაციებს და 1
მილიონზე მეტ ევროპულ ადვოკატს აერთიანებს. საქართველოს
ადვოკატთა ასოციაცია CCBE-ის წევრია 2008 წლიდან. CCBE-ის

გვოკატთა პროფესიული გაერთიანებების დამოუკიდებლობისა და ერთიანობის დაცვის
კუთხით, მათ შორის საქართველოში.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ულოცავს CCBE-ის 60 წლის იუბილეს!

30 წელი ადვოკატთა როლის შესახებ გაეროს ძირითადი პრინციპების მიღებიდან



30 წლის წინ, გაერთიანებული ერების მერვე კონგ-
რესმა შეიმუშავა და მიიღო საადვოკატო პროფესი-
ასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი საერთა-
შორისო აქტი – ადვოკატთა როლის შესახებ გაეროს
ძირითადი პრინციპები. აღნიშნული აქტი თითოე-
ული ქვეყნისთვის წარმოადგენს სახელმძღვანელო
დოკუმენტს დამოუკიდებელი და ძლიერი ადვოკატურ-
ის შენების გზაზე. გაეროს ძირითადი პრინციპებით
გარანტირებული და დაცულია საადვოკატო საქმიან-
ობის ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტები, როგორი-
ცაა – იურიდიული მომსახურების ხელმისაწვდომო-
ბა, კონფიდენციალობა და პროფესიული საიდუმლოების დაცვა, სპეციალური გარანტიები
სისხლის სამართალწარმოებაში, პროფესიული გაერთიანებების დამოუკიდებლობა და სხვ.
ვამაყობთ, რომ ქართველი ადვოკატების და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მრა-
ვალწლიანი მუშაობის შედეგად, საქართველოში საადვოკატო საქმიანობის საკანონმდებლო
და ინსტიტუციური ჩარჩო სრულ თანხვედრაშია გაეროს ძირითად პრინციპებთან.

კომერციული იურიდიული პირების ღირებულების პასუხისმგებლობა

საქართველოს უზენაესი საამართლოს პრეზიდიუმის მიმდევარი



ავტორი: ირაკლი ადიშვილი
ადვოკატი

შესავალი

ღირებულებები თითოეული კომერციული იურიდიული პირის საქმიანობაში წამყვან ფიგურებს წარმოადგენენ. ამ უკანასკნელთა წარმატება დიდწილად სწორედ ღირებულებათა სწორ და გამართულ სამეწარმეო გადაწყვეტილებებს ემყარება. ამიტომ,

გასაკვირი არაა, რომ თითქმის ყველა საწარმოში ღირებულებების ინინიშება ისეთი პირი, რომელიც საწარმოს დამფუძნებელთა ნდობით სარგებლობს. სწორედ ეს ნდობა განაპირობებს ღირებულების თავდაპირველ საქმიანობას, რომელიც დროთა განმავლობაში შეიძლება გაიზარდოს ან პირიქით შემცირდეს. ყოველ შემთხვევაში, ფაქტი ერთია – ღირებუ-

ლების განსაკუთრებული სამართლებრივი და ფაქტობრივი მდგომარეობა (რასაც განაპირობებს წარმომადგენლობითი და ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებებით აღჭურვა), კომერციული იურიდიული პირის სტრუქტურაში წამყვან ადგილს ანიჭებს მას. ცხადია, მისი უფლებამოსილება შეიძლება საწარმოს წესდებით ან კანონით გარკვეულად შეზღუდული იყოს

(მაგალითად, გარკვეული გარიგებებისთვის დასაჭირდეს პარტნიორთა კრების თანხმობა), მაგრამ ეს გამოწვევები ვერ ცვლის მის წამყვან როლს საწარმოში და იგი გადაწყვეტილების მიმღებ და განმახორციელებელ ძირითად სუბიექტად რჩება.

ამ თავისებურების გათვალისწინებით, გასაკვირი არაა, რომ დამფუძნებელ-

ბი ყოველთვის ცდილობენ ღირებულებად მათთვის მისაღები პიროვნება დანიშნონ. თუმცა, დროთა განმავლობაში, ეს გადაწყვეტილებები ხშირად მინორიტარი პარტნიორების/აქციონერების უკმაყოფილებას იწვევს-პარტნიორთა შორის პრობლემების შემთხვევაში ხომ ღირებულები ფაქტიურად, მაჟორიტარი პარტნიორის მხარეს იჭერს და მინორიტარ პარტნიორებს, მათი უფლებებით ეფექტურად სარგებლობისას, დაბრკოლებებს უქმნის. გარდა ამისა, არაა გამორიცხული ღირებულების მხრიდან წარმომადგენლობითი და ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შემთხვევებიც, რაც, თავის

ლოს უზენაესი სასამართლოს მთელი რიგი გადაწყვეტილებებით ჩამოყალიბებულ მდგომარეობას ღირებულებით პასუხისმგებლობის მიმართ, დაინახავთ თუ რა შემთხვევებში, რა ფაქტობრივი გარემოებების არსებობისას და რა მოცულობით შეიძლება დაეკისროს ღირებულების პასუხისმგებლობა და როგორ შეუძლია მას, სათანადო პირობებში, თავი დაიცვას ასეთი სარჩელებისაგან.

თავი პირველი. ზრუნვის მოვალეობა

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული უამრავი ცვლილების მიუხედავად, ღირებულებით პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი მუხლები მასში თავიდანვე არსებობდა, ხოლო უშუალოდ პასუხისმგებლობის საკითხი ყოველთვის იდგა ხოლმე სასამართლოების წინაშე. მაგალითად, ჯერ კიდევ 2003 წლის 21 მარტის განჩინებაში (საქმეზე №3კ-1244-02) საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ „როდესაც მოსარჩელე საზოგადოება ღირებულებისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას საფუძვლად უდებს იმ გარემოებას, რომ მოპასუხე ღირებულებითა ჩაიღინა დანაშაული და ზიანი მიაყენა საზოგადოებას, მტიცებულეობა, რომლითაც უნდა დადასტურდეს მოთხოვნის საფუძვლიანობა, არის სისხლის სამართლის საპროცესო წესით მიღებული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ამგვარი ფაქტის ნამდვილობას. სხვა შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველი შეიძლება იყოს ის გარემოებანი, რომ ღირებულების გადაწყვეტილება ხელსაყრელი არ იყო საზოგადოებისათვის და მან სათანადო ზრუნვა არ გამოიჩინა საზოგადოების ქონებაზე“.

სწორედ ზრუნვის მოვალეობის დარღვევა გახდა ღირებულებით პასუხისმგებლობის საფუძველი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ 2015 წლის 6 მაისს მიღებულ ორ გადაწყვეტილებაში (საქმეები №ას-1307-1245-2014 და ას-1158-1104-2014).

სანარმოს ღირებულების პასუხისმგებლობა სანარმოს ვალდებულებების მიმართ სუბსიდიურია, ე.ი. მის მიმართ კრედიტორის მხრიდან მოთხოვნა შესაძლებელია დამდგარიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებას კრედიტორის დაკმაყოფილების საშუალება არ გააჩნდა

მხრივ, უამრავ დავას და კონფლიქტს იწვევს. საკონსტიტუციო სასამართლომ თავის 2014 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებაში მართებულად შენიშნა (საქმე №1/1/543, §54), რომ „ხელმძღვანელის/წარმომადგენლის დანიშვნისას მეწარმე სუბიექტი უნდა აცნობიერებდეს რისკს, რომელიც ასეთ გადაწყვეტილებას შეიძლება ახლდეს თან“.

აქედან გამომდინარე, მოცემულ სტატიამ, ჩვენ განვიხილავთ საქართვე-

ზოგადად, ეს ორივე საქმე შეიძლება უმნიშვნელოვანეს საქმეებად ჩაითვალოს გამოკლივი პასუხისმგებლობის ძირითადი ელემენტების განსაზღვრისა და იმპედროულად, დირექტორთა პასუხისმგებლობის სტანდარტის დადგენის თვალსაზრისით. ორივე საქმის ფაბულა მსგავსია, ამიტომ, მხოლოდ ერთ-ერთ მათგანზე (საქმე №ას-1158-1104-2014) შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას და ამასთან, მხოლოდ დირექტორის პასუხისმგებლობის განსაზღვრის კუთხით.

საქმის მოკლე შინაარსი: კანონიერ ძალაში შესული განაჩენით გ.კ.-ს როგორც შპს „თ და კ“-ს დირექტორს მსჯავრი დაედო დიდი ოდენობით გადასახადებისათვის განზრახ თავის არიდებისათვის. მიუხედავად ამისა, შემოსავლების სამსახურმა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით დამატებით წარადგინა სარჩელი და მოითხოვა როგორც უშუალოდ საწარმოზე – შპს „თ და კ“-ზე, ასევე დირექტორსა და პარტნიორებზე ზიანის ანაზღაურების დაკისრება სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით. ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, მაგრამ ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა ეს გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილა და როგორც პარტნიორებს, ისე დირექტორს დააკისრა 60 814 ლარი და 7 768 ლარი შპს „თ და კ“-ს ვალდებულებების მიმართ სუბსიდიარულად. ეს გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გააჩივრა მხოლოდ ორმა მხარემ სსიპ შემოსავლების სამსახურმა და პარტნიორმა თ.ფ-მ. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ დირექტორს – გ.კ.-ს არ ჰქონდა გასაჩივრებული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საკასაციო სასამართლომ მაინც იმსჯელა შპს „თ და კ“-ს საგადასახადო ვალდებულებებისათვის მისი დირექტორის პასუხისმგებლობის შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დასაბუთება: საკასაციო სასა-

მართლომ განმარტა, რომ „მრავალ ქვეყანაში საგადასახადო ვალდებულებების აღსრულების დამატებითი ღონისძიების სახით გამოიყენებოდა საწარმოს დირექტორებისა და, ზოგიერთ შემთხვევაში, პარტნიორების პირდაპირი და უშუალო პასუხისმგებლობა საწარმოს საგადასახადო ვალდებულებებისათვის, იმ შემთხვევაში თუ დადგენილი იყო, რომ საწარმოს აღნიშნული ვალდებულებების შესრულება თავად არ შეეძლო“. მოიხმო რა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.6 მუხლი, პა-

საქართველოს უზენაესი სასამართლომ დაადგინა დირექტორის გრუნვის მოვალეობის გარკვეული ფარგლები, გარკვეული საზომი, რომელიც უკვე განსაზღვრულია და დირექტორებისთვის ერთგვარ მიმართულებას ნარმოადგენს სანარმოთა მართვისა და ნარმოშობილი უამრავი საკითხის გადაწყვეტის საქმეში

ლატამ აღნიშნა, რომ „დირექტორს ეკისრებოდა განსაკუთრებული მოვალეობები საწარმოს წინაშე, რომლებსაც ეწოდება ფიდუციური მოვალეობები და რომლებიც, სხვათაშორის, მოიცავდა დირექტორის მოვალეობას საზოგადოების საქმეებს გაძლოლოდა კეთილსინდისიერად, კერძოდ, ეზრუნა ისე, როგორც ზრუნავდა ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, სადად მოაზროვნე პირი და ემოქმედა იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელი იქნებოდა სა-

ზოგადოებისათვის („ზრუნვის მოვალეობა“).

ზრუნვის მოვალეობის მითითების შემდეგ, საკასაციო პალატამ მოიხმო „ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობის“ საყოველთაოდ ცნობილი პრინციპი და განმარტა, რომ „ზრუნვის მოვალეობა მოითხოვდა დირექტორსაგან მიეღო ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოიწვევდა საწარმოს მოგების გაზრდას, ხოლო ასეთი გადაწყვეტილებები შეიძლება ყოფილიყო მაღალი რისკის მატარებელი და მცდარიც, თუმცა „ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობის“ პრეზუმფციიდან გამომდინარე, თუ ხელმძღვანელი კეთილგონიერების ფარგლებში მოქმედებდა იმ რწმენით, რომ მისი გადაწყვეტილება მიღებული იყო საზოგადოების საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით და ამ გადაწყვეტილების მიღებისას იგი ინფორმირებული იყო იმ ზომით, რაც მას, მოცემულ ვითარებაში საკმარისად მიაჩნდა, ამ გადაწყვეტილების შედეგებისათვის საწარმოს დირექტორი დაცული იყო პირადი პასუხისმგებლობისაგან“.

ამ დასაბუთებით თითქოს არ უნდა დამდგარიყო დირექტორის მიმართ პასუხისმგებლობის საკითხი, მაგრამ საკასაციო პალატამ მსჯელობა გადაიტანა საგადასახადო ვალდებულებების თავისებურებაზე და ხაზი გაუსვა, რომ „მართებული ბიზნეს გადაწყვეტილების მიღების“ სტანდარტი დირექტორს აკისრებდა მოვალეობას არ ჩართულიყო გადასახადებისაგან თავის არიდების უკანონო სქემებში“. ვინაიდან, სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული განაჩენით დადგენილი იყო, რომ გ.კ. როგორც დირექტორი თავს არიდებდა გადასახადების გადახდას, საკასაციო პალატას სხვა არაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ დაესკვნა, „საწარმოს გადასახადების გადახდასაგან თავის არიდებაში მონაწილეობით დირექტორმა გ.კ.-მ დაარღვია ზრუნვის მოვალეობა საწარმოს წინაშე, რაც იწვევდა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს

საქართველოს უზენაესი სასამართლომ ხაზი გაუსვა რა პირის ქმედებაში კანონით განსაზღვრული ნიშნების არსებობის აუცილებლობას, მიუთითა, რომ „როდესაც დადგენილი იყო, რომ: ა) საწარმოს გააჩნდა საგადასახადო ვალდებულება; ბ) საწარმოს არ შესწევდა ამ ვალდებულების გადახდის უნარი; გ) სახეზე იყო ისეთი ვითარება, როცა ანაზღაურება აუცილებელი იყო სახელმწიფოს, როგორც კრედიტორის დასაკმაყოფილებლად, საწარმო ვალდებული იყო მოეთხოვა ზიანის ანაზღაურება დირექტორისაგან. მოცემულ შემთხვევაში, ასეთი მოთხოვნა დირექტორის მიმართ საწარმოს არ ჰქონდა დაყენებული. ასეთ შემთხვევაში, „მეწარმეთა კანონის“ მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, კრედიტორი უფლებამოსილი იყო მოეთხოვა საზოგადოებას დაეყენებინა დირექტორის მიმართ ანაზღაურების მოთხოვნა. იმავე კანონის ნორმებიდან გამომდინარე, საზოგადოების სახელით დირექტორის პასუხისმგებლობის მოთხოვნის უფლება ჰქონდათ როგორც საზოგადოების სხვა დირექტორებს (დირექტორთა საბჭოს), ისე პარტნიორებსაც“.

იმ საკითხზე მსჯელობისას, შეიძლებოდა თუ არა კრედიტორს უშუალოდ დირექტორისაგან მოეთხოვა საზოგადოების ვალდებულების შესრულება, მაშინ როცა ამკარა იყო, რომ საწარმოსათვის მისი დირექტორის პასუხისმგებლობის მოთხოვნას კრედიტორის მხრიდან არავითარი შედეგი არ ექნებოდა, საკასაციო სასამართლომ გამოიყენა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.6 მუხლი და ყოველგვარი ორამროვნების გარეშე აღნიშნა შემდეგი: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს

კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, რომელიც საწარმოს უარს დირექტორისაგან რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნაზე ბათილად მიიჩნევს, თუ ასეთი ანაზღაურება საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად აუცილებელი იყო. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების არსებობის პირობებში, სახელმწიფოს, როგორც კრედიტორს უფლება ჰქონდა უშუალოდ მოეთხოვა ანაზღაურება დირექტორისგან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შემოაღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, ასევე ნათელი იყო, რომ საწარმოს დირექტორის პასუხისმგებლობა საწარმოს ვალდებულებების მიმართ სუბსიდიურია, ე.ი. მის მიმართ კრედიტორის მხრიდან მოთხოვნა შესაძლებელია დამდგარიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებას კრედიტორის დაკმაყოფილების საშუალება არ გააჩნდა“.

რაც შეეხება ვალდებულების მოცულობას, საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ „ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დირექტორს საწარმოსთვის დარიცხული გადასახდის მხოლოდ ძირითადი თანხა ჰქონდა დაკისრებული, მაშინ როცა სსიპ შემოსავლების სამსახური საკასაციო საჩივრით მასზე საურავის დაკისრებასაც ითხოვდა. საკასაციო პალატამ საურავი პირგასამტეხლოს ერთ-ერთ სახედ, კანონისმიერ პირგასამტეხლოდ მიიჩნია და აღნიშნა, რომ „სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლით გათვალისწინებული მოწესრიგება გამოიყენებოდა მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით და მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოსთან მიმართებით და ვერ იქნებოდა გამოყენებული განსახილველი შემთხვევის მიმართ, რადგან სასამართლოს არ შეეძლო შეემცილებინა კანონით დადგენილი პირგასამტეხლოს ოდენობა“.

საბოლოო ჯამში, საქართველოს უზენაესი სასამართლომ თავის გადაწყვეტილებით საწარმოს დირექტორს

გ.კ-ს და დომინანტ პარტნიორს მ.კ-ს სსიპ შემოსავლების სამსახურის სასარგებლოდ შპს „თ და კ“-ს ვალდებულების მიმართ სუბსიდიარულად, ხოლო ერთმანეთის მიმართ სოლიდარულად დააკისრა 233 636 ლარი, როგორც ძირითადი თანხის, ისე პირგასამტეხლოს სახით. მეორე პარტნიორის – თ. ფ-ს მიმართ კი საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს.

2015 წლის 6 მაისს მიღებულ ამ და მეორე მსგავს საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა საქართველოს იურიდიულ წრეებში. მათ გამოუჩნდათ როგორც მხარდამჭერები, ისე-მოწინააღმდეგეები. მიუხედავად ამისა, ფაქტი ერთია-საქართველოს უზენაესი სასამართლომ დაადგინა დირექტორის ზრუნვის მოვალეობის გარკვეული ფარგლები, გარკვეული საზომი, რომელიც უკვე განსაზღვრულია და დირექტორებისთვის ერთგვარ მიმართულებას წარმოადგენს საწარმოთა მართვისას წარმოშობილი უამრავი საკითხის გადაწყვეტის საქმეში.

საბოლოოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლომ 2016 წლის 23 მარტს მიღებულ განჩინებაში, საქმე №ას-61-59-2016, პირდაპირ მიუთითა იმ ოთხ ნიშანზე, რომელთა ერთობლიობაც წარმოშობს დირექტორთა პასუხისმგებლობას საწარმოს კრედიტორთა წინაშე და აღნიშნა, რომ „კრედიტორის წინაშე საზოგადოების დირექტორის პასუხისმგებლობა დგება ისეთ შემთხვევებში როდესაც: 1) დირექტორის ბრალეული მოქმედებით გამოწვეული ზიანისთვის კრედიტორის მიმართ საწარმოს გააჩნია ვალდებულება; 2) საწარმოს არ შესწევს ამ ვალდებულების შესრულების უნარი; 3) არსებობს ისეთი ვითარება, როცა ანაზღაურება აუცილებელია კრედიტორის დასაკმაყოფილებლად; 4) თავად საწარმო არ აყენებს დირექტორის მიმართ პასუხისმგებლობის მოთხოვნას“.

თავი მეორე
პარტნიორთა/აპლიკანთა
დერივაციული სარჩელები
დირექტორთა წინააღმდეგ

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი უშუაღბს აქციონერთა/პარტნიორთა მხრიდან დერივაციული სარჩელის წარდგენას საწარმოს მოთხოვნის განსახორციელებად, თუ საწარმო არ ახორციელებს თავის მოთხოვნას მესამე პირის მიმართ. მაგრამ კანონი პირდაპირ არ საუბრობს იმის შესახებ, უნდა მოიაზრებოდეს თუ არა ასეთ „მესამე პირებში“ საწარმოს დირექტორები. მიუხედავად ამისა, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაუშვა დერივაციული სარჩელების წარდგენა საწარმოს დირექტორების მიმართაც. ამის ნათელი მაგალითია 2018 წლის 6 ნოემბერს განხილული საქმე №ას-687-658-2016.

საქმის მოკლე შინაარსი: მოსარჩელე პ.ნ-მ (რომელიც იყო შპს „ი-სის“ 49%-ის მფლობელი პარტნიორი) სარჩელი წარადგინა სასამართლოში ამავე საწარმოს დირექტორის – ი.რ.-ის წინააღმდეგ, რომელიც საწარმოს დირექტორი გახდა 2014 წლის განმავლობაში. 2014 წელს ი.რ.-მ როგორც დირექტორმა საწარმოს სახელით სარჩელი წარადგინა ყოფილი დირექტორის თ. ჭ-ს წინააღმდეგ და მოითხოვა საწარმოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება იმ მოტივით, რომ საწარმო საქონელს ჰყიდდა ერთ-ერთ სხვა საწარმოზე მოგების მეტად დაბალი ფასნამატით, მაშინ, როცა სხვა საწარმოებზე ჰყიდდა უფრო მაღალი ფასნამატით. საბოლოოდ, ამ სარჩელზე ი.რ.-მ, როგორც საწარმოს დირექტორმა, უარი თქვა, რის გამოც საქმის წარმოება შეწყდა. გარდა ამ დავისა საწარმო აწარმოებდა ასევე სხვა დავას, სხვა საწარმოზე თანხის დაკისრების თაობაზე, რომელზედაც ასევე უარი თქვა საწარმოს მაშინდელმა დირექტორმა ი.რ.-მ და ამ საქმეზეც შეწყდა წარმოება. ანუ დირექტორმა ორ საქმეზე შეწყვიტა საქმის წარმოება, მათ შორის ერთი საქმე ეხებოდა ყოფილი

დირექტორი მიმართ დავას, მეორე კი –სხვა საწარმოს მიმართ დავას. პ.ნ-მ, როგორც აქციონერმა, მიიჩნია, რომ სარჩელებზე უარის თქმის გამო საწარმოს ზიანი მიადგა და მოითხოვა ი.რ-ზე 31 400, 87 ლარის (როგორც დაბალი ფასნამატის გამოყენებით მიყენებული ზიანი) და 39 654,9 ლარის დაკისრება (როგორც სხვა საწარმოსთან დავის შეწყვეტის გამო მიყენებული ზიანი). თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ გააუქმა ეს გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით ი.რ-ს 71 055 ლარი დააკისრა. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ შეცვალა ეს გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილება მიიღო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოტივაცია: საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „თანამედროვე საკორპორაციო სამართალში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა „სამეწარმეო განსჯის წესს“; ანუ, მოქმედებდა პრეზუმფცია, რომ გადაწყვეტილების მიღებისას, საწარმოს დირექტორები მოქმედებდნენ კორპორაციის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერებისა და ინფორმირებულობის პრინციპის დაცვით. შესაბამისად, დირექტორების წინააღმდეგ სარჩელის შეტანის შემთხვევაში, მოსარჩელე მხარე ვალდებული იყო, გადაეღახა აღნიშნული პრეზუმფცია. დერივაციული სარჩელი წარმოადგენდა დირექტორთა კორპორაციული ანგარიშვალდებულების მექანიზმს. დერივაციული სარჩელი უზრუნველყოფდა, რომ დირექტორის არამართლზომიერი ქმედებით გამოწვეული ზიანი ანაზღაურებული ყოფილიყო კომპანიისათვის კომპანიის სახელით მოქმედი აქციონერის (პარტნიორის) მიერ სასამართლოსათვის მიმართვის გზით. ასეთი სარჩელი, ერთის მხრივ, ერთგვარი პრევენცია იყო დირექტორის მხრიდან გადაცდომის საწინააღმდეგოდ, როდესაც მას გააზრებული ჰქონდა, რომ აქციონერი



(პარტნიორი) უფლებამოსილი იყო დირექტორატის გვერდის ავლით დამოუკიდებლად აღეძრა სარჩელი კომპანიის სახელით და მოეთხოვა ზიანის ანაზღაურება. ამდენად, ცხადია, რომ საკასაციო სასამართლომ დირექტორის პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის მოიხმო ე.წ. „სამეწარმეო

განსჯის წესი“, რომელიც პირდაპირი სახით „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში არაა მოცემული და განმარტებული.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ „საწარმოს სასარგებლოდ 31 400,87 ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაუ-

რების ი.რ-სთვის დაკისრების არამართლზომიერება განპირობებული იყო საკორპორაციო სამართალში დამკვიდრებული პრეზუმფციით, რომელიც კომპანიის დირექტორს იცავდა არაპროპორციული პასუხისმგებლობისაგან. დირექტორის გადაწყვეტილებები შეიძლება ყო-

ფილიყო მაღალი რისკის მატარებელიც და მცდარიც, თუმცა „ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობის“ პრეზუმფციიდან გამომდინარე, თუ ხელმძღვანელი კეთილგონიერების ფარგლებში მოქმედებდა იმ რწმენით, რომ მისი გადაწყვეტილება მიღებული იყო საზოგადოების საუკეთესო

ინტერესების დაცვის მიზნით და ამ გადაწყვეტილების მიღებისას იგი ინფორმირებული იყო იმ ზომით, რაც მას, მოცემულ ვითარებაში საკმარისად მიაჩნდა, ამ გადაწყვეტილების შედეგებისათვის კომპანიის დირექტორი დაცული იყო პირადი პასუხისმგებლობისაგან". ამ მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „მოსარჩელის მიერ მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითება, თითქოსდა დირექტორმა არამართლზომიერად განკარგა საპროცესო უფლება მოეთხოვა კომპანიის ყოფილი დირექტორისაგან უმართებულო გადაწყვეტილების მიღებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, დაუსაბუთებელი იყო. აღსანიშნავი იყო, რომ კომპანიის საზოგადოების ოპერაციების დაგეგმვასა და განხორციელებას უზრუნველყოფდა დირექტორი. თუკი დირექტორის მიმართ ვრცელდებოდა „ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობის“ პრეზუმფცია კორპორაციული მართვის პროცესში, არსებობდა ისეთივე დასაბუთებული ვარაუდის საფუძველი, რომ ყოფილი დირექტორის მიმართ აღძრული სარჩელის პერსპექტიულობა იმავე პრეზუმფციიდან გამომდინარე, ნაკლებად სავარაუდო ყოფილიყო და არ შეიძლებოდა მიჩნეული ყოფილიყო საწარმოსთვის მიყენებული ზიანის დამადასტურებელ უტყუარ გარემოებად. აქედან გამომდინარე, ყოფილი დირექტორის მიმართ „უმართებულ“ ბიზნეს გადაწყვეტილების მიღების ფაქტობრივი საფუძველით აღძრული სარჩელის პესპექტივის მოსპობა, ვერ მიიჩნეოდა საკმარის საფუძველად, რომ დირექტორის გადაწყვეტილება სარჩელზე უარის თქმის ნაწილში მიჩნეულ ყოფილიყო პირადი დაინტერესებით, კომპანიის საზიანოდ მიღებულ გადაწყვეტილებად და საფუძველად დასდებოდა მოქმედი დირექტორისათვის მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრებას“. აქედან შეიძლება დავასკვნათ მხოლოდ ერთი რამ-მოცემულ შემთხვევაში, „ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობის“ პრინციპმა პირდაპირ დაიცვა დირექტორი პირადი პასუხისმგებლობისაგან.

მიუხედავად ამისა, საკასაციო პალატას გაუჭირდა იგივე არგუმენტი გაეზიარებინდა მეორე სასარჩელო მოთხოვნის მიმართ სხვა საწარმოს წინააღმდეგ საქმის წარმოების შეწყვეტით მიყენებული ზიანის შესახებ. ამ შემთხვევაში უზენაესმა სასამართლომ აღარ გამოიყენა „ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობის“ პრინციპი და განმარტა, რომ „აღნიშნული დავალიანების მოთხოვნაზე უარის თქმის საპროცესო უფლების რეალიზებით მიყენებული ზიანი არსებითად განსხვავდება იმ ზიანისაგან, რომელსაც მხოლოდ ჰიპოთეტურად ვარაუდობდა მინორიტარი პარტნიორი/მოსარჩელე კომპანიის დირექტორის მიერ

„ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობის“ პრინციპმა პირდაპირ დაიცვა დირექტორი პირადი პასუხისმგებლობისაგან

მიღებული „ბიზნეს გადაწყვეტილების“ (დირექტორის საქმიანობა კორპორაციული მართვისას/ მატერიალური საკითხების გადაწყვეტა საწარმოს მართვისას) უმართებულობაზე მითითებით, რისთვისაც მტკიცების ტვირთის მაღალი სტანდარტი იყო საჭირო, რომ გაქარწყლებულიყო დირექტორის მიმართ მოქმედი პრეზუმფცია, რასაც ვერ ვიტყვოდით საპროცესო უფლების იმ თვალსაზრისით განხორციელებაზე, რა დროსაც, სარჩელი მიმართული იყო მოპასუხე საწარმოს მიმართ არსებული დავალიანების გადახდევინებისაკენ“. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატამ დაასკვნა, რომ „მოპასუხემ საწარმოს მიერ სხვა საწარმოს მიმართ თანხის გადახდის მიზნით აღძრულ სარჩელზე უარის თქმით დირექტორმა დაარღვია მასზე, როგორც დირექტორზე დაკისრებული ფიდეციტური მოვალეობა, კონკრეტუ-

ლად კი, ზრუნვის (გულმოდგინების) მოვალეობა, რამეთუ მოპასუხის ქმედებით კომპანიამ დაკარგა კომერციული შესაძლებლობა სასამართლო გადაწყვეტილებით მიღწია სასურველი შედეგისათვის. მეტიც, კომპანიას მისი ქმედებით წაერთვა შესაძლებლობა ხელმეორედ იდავოს აღნიშნულ თანხასთან დაკავშირებით სასამართლოში. აღნიშნული კი მიუთითებდა მისი, როგორც კომპანიის დირექტორის მიერ ზრუნვის მოვალეობის დარღვევაზე, ვინაიდან მისი ქმედება ცხადყოფდა, რომ იგი კორპორაციის საუკეთესო ინტერესებისთვის არ მოქმედებდა, რითაც კომპანიას მიაყენა ზიანი 39 654.59 ლარის ოდენობით“. აქედან გამომდინარე, თავისი გადაწყვეტილებით უზენაესმა სასამართლომ ი.რ.-ს დააკისრა 39 654, 59 ლარი საწარმოს სასარგებლოდ, მაგრამ იმავე გადაწყვეტილებით მოსარჩელე პ.ნ.-ს უარი ეთქვა ი.რ.-ზე 31 400 ლარის დაკისრებაზე.

მოცემული გადაწყვეტილების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ერთ შემთხვევაში „ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობის“ პრინციპმა სრულად დაიცვა დირექტორი პასუხისმგებლობისაგან, ხოლო მეორე შემთხვევაში-ვერა. ეს გარემოება შეიძლება აიხსნას თავად იმ დავების თავისებურებით, რომელთა შეწყვეტასაც ედავებოდნენ დირექტორს-პირველი დავა შეეხებოდა ძველი დირექტორის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას დაბალი ფასნამატიტით გაეყიდა საქონელი, ანუ გადაწყვეტილებას, რომელიც თავისთავად ექცეოდა „ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობის“ პრინციპის მოქმედების ქვეშ და დიდი ალბათობით ვერ გადალახავდა მისი მართებულობის პრეზუმფციას. მაშინ, როდესაც, მეორე დავა შეეხებოდა სხვა საწარმოსაგან მიყენებული ზიანის ანაზღაურებას და არ არსებობდა რაიმე ხელშეშახები მიზეზი, რომლის გამოც ასეთი დავის წარმოების გაგრძელებაზე უარის თქმა გამართლებული იქნებოდა, თუნდაც იმავე „ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობის“ პრინციპით.

თავი მესამე დირექტორთა მიერ ფიდეციტური მოვალეობის დარღვევის სხვა შემთხვევები და მტკიცების ტვირთი დერივაციულ სარჩელებში

დირექტორთა ფიდეციტური მოვალეობების შესახებ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მთელი რიგი საქმეები განიხილა, თუმცა, მათ შორის არ შეიძლება არ აღინიშნოს 2019 წლის 23 იანვარს განხილული საქმე №ას-727-685-2016, რომელიც ასევე დერივაციული სარჩელის საფუძველზე იქნა წარმოებული.

საქმის მოკლე შინაარსი: შპს „ს“-ს პარტნიორი სხვა საწარმოებთან ერთად იყო შპს „ა“, რომელმაც სარჩელით მიმართა სასამართლო შპს „ს“-ს დირექტორის ვ.მ.-ს წინააღმდეგ და მოითხოვა ამ უკანასკნელის მიერ საწარმოსთვის მიყენებული ზიანის სახით 46 857,53 ლარის დაკისრება. ასეთი მოთხოვნის საფუძველი გახდა ის, რომ დირექტორმა თავისივე საწარმოსთან 2014 წლის 1 მაისს გააფორმა ხელშეკრულება, რომლითაც დირექტორმა აიღო ვალდებულება თავისი საწარმოსთვის 781 000 ლარი გადაეცა სესხის სახით წლიურ 22%-ად. ამის შემდეგ, დირექტორმა, როგორც ფიზიკურმა პირმა, თავისივე საწარმოს ორი შემკვეთი იურიდიული პირისაგან ისესხა თანხები (ჯამში 781 000 ლარი) წლიურ 20 %-ად და თავის მმართველობაში მყოფ საწარმოს უკვე 22%-ად გადაასესხა. საგულისხმოა, რომ შპს „ს“ ამ ორივე შემკვეთი იურიდიული პირისთვის ახორციელებდა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს, რის შედეგადაც ორივე მათგანს ისედაც უნდა გადაეხადათ მისთვის ჯამში 883 000 ლარი მათთვის შესასრულებელი სამუშაოს სანაცვლოდ. საბოლოოდ, შპს „ს“-სა და თითოეულ თავის შემკვეთს, აგრეთვე, დირექტორს შორის დაიდო მოთხოვნის დათმობისა და ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის შესახებ წერილობითი ხელშეკრულებები, რომელთა შედეგადაც საბოლოოდ შპს „ს“-ს ამ გარი-

ვებების შედეგად პროცენტის სახით მოუწია 46 857,53 ლარის გადახდა, რასაც ითხოვდა კიდევ პარტნიორი დირექტორისაგან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დასაბუთება: საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოტივაცია სარჩელის დაკამოფილების შესახებ და დამატებით აღნიშნა, რომ „დირექტორს არ შეეძლო მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების იმ საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგოდ გამოყენება, რომელსაც ის წარმოადგენდა. განსახილველ შემთხვევაში, როგორც კომპანიასთან, ისე მესამე პირებთან. 2014 წლის 1 და 6 მაისს, ასევე 3 ივნისს, მის მიერ დადებული შეთანხმებები თავისი შინაარსით უჩვეულო იყო და ითავითვე ცხადყოფდა, რომ მათი შესრულება კომპანიისთვის ზიანის მომტანი იქნებოდა. გარდა ამისა, 2014 წლის 1 მაისის შეთანხმება დირექტორმა (კომპანიის წარმომადგენელმა) წარმოდგენილი პირის სახელით საკუთარ თავთან დადო და მისი ნამდვილობა დამოკიდებული იყო პარტნიორების თანხმობაზე (იხ. სსკ-ის 114-ე, 100-101-ე მუხლები). აქედან გამომდინარე, დირექტორს არ შეეძლო ამ გარიგებების დადება ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებული კრების გადაწყვეტილების გარეშე (იხ. მეწარმეთა შესახებ კანონის 91.7-ე მუხლი). მტკიცების ტვირთის მატარებელმა დირექტორმა კანონით დასაშვები და უტყუარი მტკიცებულება ვერ წარუდგინა სასამართლოს იმის დასადასტურებლად, რომ ის ამ კონკრეტულ სიტუაციაში კომპანიის პარტნიორების მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე მოქმედებდა“. იქვე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დამატებით ხაზი გაუსვა მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხს დერივაციულ სარჩელებში და აღნიშნა, რომ „დერივაციული სარჩელის განხილვისას მტკიცების თვალსაზრისით, მოსარჩელის ვალდებულებას წარმოადგენდა ზიანის არსებობის ფაქტის დამტკიცება, მას უნდა მიეთითებინა და

წარედგინა მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებდა საწარმოს მატერიალური დანაკლისის ფაქტს, რომელიც დირექტორის ბრალეული ქმედების შედეგი გახლდათ, ხოლო საწარმოს ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი ვალდებული იყო, გაექარწყლებინა ეს გარემოება იმგვარად, რომ იგი კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობებს და თუნდაც მატერიალური დანაკლისის არსებობის შემთხვევაში, ეს მდგომარეობა არ იყო დირექტორის ბრალეული ქმედების შედეგი. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იმ პირობებში, როდესაც შპს „ს“-ს ისედაც მისაღები შეჩონდა თანხები ნარდობის ხელშეკრულების ფარგლებში შემკვეთებისგან, მისი მხრიდან პროცენტის სესხის აღების აუცილებლობა და გადაუდებელი საჭიროება არ არსებობდა.

დირექტორის პასუხისმგებლობის შესახებ კიდევ ერთი საინტერესო მსჯელობა განავითარა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2019 წლის 21 ოქტომბრის განჩინებაში საქმეზე №ას-1077-2018.

საქმის მოკლე შინაარსი: შპს „გ“-ს 50%-ის წილის მფლობელმა პარტნიორმა ი.ბ-მ სარჩელით მიმართა სასამართლოს საწარმოს დირექტორის ნ.კ.-სა და მეორე, ასევე 50%-იანი წილის მფლობელი პარტნიორის ნ.ბ.-ს წინააღმდეგ და მოითხოვა აუდიტორული შემოწმების შედეგად გამოუტყუარად, რომ ის ამ კონკრეტულ სიტუაციაში კომპანიის პარტნიორების მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე მოქმედებდა“. იქვე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დამატებით ხაზი გაუსვა მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხს დერივაციულ სარჩელებში და აღნიშნა, რომ „დერივაციული სარჩელის განხილვისას მტკიცების თვალსაზრისით, მოსარჩელის ვალდებულებას წარმოადგენდა ზიანის არსებობის ფაქტის დამტკიცება, მას უნდა მიეთითებინა და

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დასაბუთება: საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „იმ პირობებში, როდესაც სსკ-ის იურიდიული პირის მომწესრიგებელი ნორმები და სპეციალური კანონი არ შეიცავდა პირდაპირ დათქმას საწარმოს დირექტორთან დადებული ხელშეკრულების

სამართლებრივი ბუნების თაობაზე, დგებოდა საკითხი იმის შესახებ, თუ ყველაზე უფრო რომელ სამართლებრივ ინსტიტუტთან იყო ეს ურთიერთობა ახლოს. პალატამ აღნიშნა, რომ „დავალემა იმ ხელშეკრულება-თა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომელიც დაკავშირებული იყო სამუშაოს შესრულებასთან, მისი საგანი იყო რწმუნებული პირის მიერ ერთი ან რამდენიმე იმგვარი მოქმედების შესრულება, რომელიც იწვევდა ამა თუ იმ შედეგის დადგომას და, როგორც წესი, ეფუძნებოდა ურთიერთდობას, რწმუნებულის ვალდებულებას წარმოადგენდა დავალეული მოქმედების მმართველის გულისხმიერებით წარმოება და მიღწეული შედეგის ადრესატი ხდებოდა წარმოდგენილი პირი“. ამ ნიშნებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ვინაიდან დირექტორს არ ჰქონდა წარმოდგენილი 81 314 ლარის შემოსავალი პირობებში ხარჯების გაქვითვის დამადასტურებელი მტკიცებულებები, დირექტორმა მტკიცების ტვირთი სარწმუნოდ ვერ გასწია, რის გამოც მას საბოლოო ჯამში დაეკისრა კიდევ ზემოაღნიშნული თანხა.

ამდენად, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არა მარტო დაუშვა დერივაციული სარჩელები დირექტორების წინააღმდეგ, არამედ ასეთ სარჩელებში საწარმოს სახსრების მართლზომიერად გამოყენების მტკიცების ტვირთი დირექტორზე გადაიტანა და ასეთი ტვირთის განუხორციელებლობის შედეგად კი ზიანის ანაზღაურებაც მასვე დააკისრა.

თავი მეოთხე

დირექტორის მიერ უფლებების მართლზომიერად განხორციელების ვალდებულება

ბოლო პერიოდში, საქართველოს უზენაესი სასამართლო, სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების შეფასებისას, განსაკუთრებით ხშირად იყენებს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლს, მათ შორის სამეწარმეო-სა-

მართლებრივ დავებში და გამონაკლისი არც დირექტორის მოვალეობებია, განსაკუთრებით კი, დირექტორის მოვალეობები დივიდენდის გაცემისას.

საქმეში №ას-1063-1018-2014, რომელზეც განჩინება მიღებულ იქნა 2015 წლის 8 აპრილს, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ უაღრესად საგულისხმო განმარტება გააკეთა. საკითხი შეეხებოდა მინორიტარი პარტნიორის სარჩელს სა-

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არა მარტო დაუშვა დერივაციული სარჩელები დირექტორების წინააღმდეგ, არამედ ასეთ სარჩელებში საწარმოს სახსრების მართლზომიერად გამოყენების მტკიცების ტვირთი დირექტორზე გადაიტანა და ასეთი ტვირთის განუხორციელებლობის შედეგად კი ზიანის ანაზღაურებაც მასვე დააკისრა.

წარმოსათვის მისთვის 2012 წლის კუთვნილი დივიდენდის დაკისრების შესახებ, რომელსაც დირექტორი (და იმავედროულად მაჟორიტარი პარტნიორი) არ ანაწილებდა. საკასაციო პალატამ განიხილა რა საქმე, აღნიშნა, რომ „დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და აგრეთვე, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დივიდენდის გამოცხადებისა და გადახდის კომპენტენციას „მეწარმეთა შესახებ“ კანონი

დირექტორს აკუთვნებდა, დაუშვებელი იყო, დირექტორის ეს უფლება არამართლზომიერად ყოფილიყო გამოყენებული და უსაფუძვლოდ შეზღუდულიყო პარტნიორის უფლება დივიდენდის მიღებაზე. ნებისმიერი სამოქალაქო უფლება შემოფარგული იყო მისი განხორციელების მართლზომიერებით და ამდენად, სამართალურთიერთობების მონაწილე სუბიექტის ნების გამოვლენით არ უნდა დარღვეულიყო პირის ძირითადი უფლებები და სამართლის ზოგადი პრინციპები“. შესაბამისად, უზენაესი სასამართლო დირექტორებს მოუწოდებს, რომ ყოველგვარი უფლება, მათ შორის უფლებები პარტნიორთა მიმართ, მართლზომიერად განახორციელონ.

დასკვნა

მოცემულ სტატიაში ჩვენ განვიხილეთ თანამედროვე კაპიტალური საზოგადოების დირექტორების მიმართ არსებული ძირითადი კანონისმიერი მოთხოვნები და რაც მთავარია, შევხვდეთ დირექტორების პასუხისმგებლობის საკითხს იმ მოცულობითა და ფორმით, როგორც ეს ასახულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში. განვიხილეთ ზრუნვის მოვალეობის დარღვევის ესა თუ ის სახეები, მტკიცების ტვირთის განაწილება დირექტორის წინააღმდეგ მიმართული დერივაციული სარჩელისას, ასეთი სარჩელებისაგან დირექტორის დაცვა „ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობის“ პრინციპის გამოყენებით, აგრეთვე, დირექტორის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებების განხორციელებისას ამ უფლებების მართლზომიერად გამოყენების აუცილებლობა. ვფიქრობთ, მოცემული სტატია ხელს შეუწყობს უზენაესი სასამართლოს მიდგომების კიდევ უფრო ფართოდ გავრცელებას და მათ დანერგვას პრაქტიკოსი იურისტების ყოველდღიურ საქმიანობაში, როგორც სასამართლო დავებში, ისე შიდაკორპორატიულ ურთიერთობებში.



საადვოკატო ბიურო
ბიბიქაი - ბიზნესი და სამართალი
www.bbk.ge
info@bbk.ge
+995 593 223232
დ.გურამიშვილის გამზ.#18ა, ოფისი #3, 0192,
თბილისი,საქართველო



თავისი მოვალეობის შესრულებისაგან თუ დამზღვევა სადაზღვევო შემთხვევა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით გამოიწვია“.

„განზრახვა“ ჯერ კიდევ რომის სამართალში ბრალის ყველაზე მძიმე ფორმად მიიჩნეოდა და იგი პირის პასუხისმგებლობის საფუძველი იყო. ბრალის საკითხის მნიშვნელობა პირის პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის დღესაც უცვლელად ძალაშია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დაზღვევის თავის დებულებებით თუ ვიმსჯელებთ, მარტივად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კანონმდებელი „განზრახვას“ სადაზღვევო ურთიერთობებშიც იგივე მიზნით იყენებს და მას მზღვეველის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველად მიიჩნევს. ამის ნათელი მაგალითია სსკ-ის 813-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად „დამზღვევის მიერ საფრთხის განზრახ გაზრდის შემთხვევაში მზღვეველს შეუძლია მოშალოს ხელშეკრულება ვადის დაცვის გარეშე“. გარდა ამისა, სსკ-ის 829-ე მუხლით პირდაპირ არის გათვალისწინებული მზღვეველის გათავისუფლება თავისი მოვალეობისაგან იმ შემთხვევაში, “თუ დამზღვევი პირი სადაზღვევო შემთხვევას გამოიწვევს განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით“. პირადი დაზღვევის შემთხვევაში, სსკ-ის 856-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „მზღვეველი გათავისუფლდება სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის მოვალეობისაგან, თუ სარგებლის მიმღები უბედურ შემთხვევას გამოიწვევს განზრახ უკანონო მოქმედებით“. სიცოცხლის დაზღვევის შემთხვევაში კი, სსკ-ის 850-ე მუხლის მიხედვით, „მზღვეველი გათავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებისაგან, თუ პირი, რომლის სიცოცხლეც დაზღვეული იყო თავს მოიკლავს“.

სსკ-ის 829-ე მუხლის დანაწესი შეესაბამება საერთო სამოქალაქო-სამართლებრივ კრიტერიუმებს. განზრახვისთვის აუცილებელია პირის მიერ, კონკრეტული გარემოებების ცოდნის გათვალისწინებით, სადაზღვევო შემ-



დამზღვევის უხეში გაუფრთხილებლობის შესახებ საკანონმდებლო დანაწესის და პრინციპის „ან ყველაფერი ან არაფერი“ რეფორმის საჭიროება

ავტორი: ნატა მოწონელიძე
სამართლის დოქტორი. თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

დაზღვევის ხელშეკრულება, როგორც ორმხრივ ვალდებულებული, დამზღვევისა და მზღვეველისთვის ადგენს ძირითად და დამატებით ვალდებულებებს. მიუხედავად იმისა, რომ დაზღვევის ხელშეკრულებიდან არ გამომდინარეობს დამზღვევის ვალდებულება, რომ სადაზღვევო შემთხვევა და შესაბამისად ზიანი, თავიდან

აიცილოს, კანონმდებლობა ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც, გარკვეულ გარემოებებში, დამზღვევის მიერ სადაზღვევო შემთხვევის გამოწვევისას, მზღვეველი შეიძლება გათავისუფლდეს დაზღვევის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებისაგან. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში სსკ) 829-ე მუხლის თანახმად, „მზღვეველი თავისუფლდება

თხვევის გამოწვევის სურვილი. ე.ი პირის ნება კონკრეტულ ვითარებაში გამოიწვიოს სადაზღვევო შემთხვევა. ამასთან, იმისათვის, რომ პირის ქმედება შეფასდეს განზრახვად იგი უნდა მოიცავდეს ვალდებულების დარღვევას. შესაბამისად, თუ პირი (დამზღვევი/დაზღვეული) ცდება ზრუნვის სტანდარტში ან გამამართლებელ საფუძველში, პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება. გასათვალისწინებელია, რომ იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი იმედოვნებს, რომ სადაზღვევო შემთხვევა არ დადგება, სახეზეა თვითიმედოვნება.

ნორმის მიზანი

სსკ-ის 829-ე მუხლის უმთავრესი მიზანი პრევენციაა. კერძოდ, შეამციროს სადაზღვევო შემთხვევის გამოწვევის სუბიექტური და მორალური რისკი (Moral Hazard). დამზღვევი, რომელიც არ იჩენს ზრუნვას, ან არაკეთილსინდისიერად ექცევა დაზღვეულ ინტერესს, სადაზღვევო დაცვის გარეშე რჩება.

რისკი, რომელიც ეფუძნება და გამოწვეულია დამზღვევის მხრიდან განზრახ ან უხეში გაუფრთხილებელი მოქმედებით, აღარ ექცევა დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების სფეროში. შესაბამისად, დაზღვევის ხელშეკრულებით იფარება მხოლოდ ის რისკები, რომელიც წარმოიშობა ე.წ. „ნორმალური“, თუმცა არასწორი ქმედებისგან. მსგავსი ტიპის შეცდომა შესაძლოა დაუშვას თვით იმ დამზღვევმაც კი, რომელიც, როგორც წესი, მზრუნველობით ექცევა თავის საკუთრებას. აღნიშნული მუხლის უმთავრესი მიზანია, შეამციროს ე.წ. „სუბიექტური რისკი“.

ქართული საკანონმდებლო დანაწესი, რომლის თანახმადაც, დამზღვევის მიერ სადაზღვევო შემთხვევის განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით ზიანის გამოწვევის შემთხვევაში, მზღვეველი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, სრულ შესაბამისობაშია გერმანიის დაზღვევის შესახებ კანონის ძველ რედაქციასთან, რომლის 61-ე პარაგრაფის თანახმად,

მზღვეველი თავისუფლდებოდა ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან, თუ დამზღვევი სადაზღვევო შემთხვევას განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით გამოიწვევდა. აღნიშნულ საკანონმდებლო ჩანაწერს გერმანულ სადაზღვევო და სასამართლო პრაქტიკაში მოიხსენიებდნენ პრინციპად „ან ყველაფერი ან არაფერი“, რაც ზუსტად გამოხატავდა კანონმდებლის ნებას, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ, დამზღვევს თავისი ბრალის შესაბამისად, ან სრულად მიეღო სადაზღვევო ანაზღაურება, ან დარჩენილიყო სადაზღვევო უზრუნველყოფის გარეშე. თუმცა, მრავალწლიანმა პრაქტიკამ ცხადყო, რომ პრინციპი „ან ყველა-

როდის შეუძლია მზღვეველს შეამციროს სადაზღვევო ანაზღაურება კონკრეტულ შემთხვევაში დამოკიდებული

ფერი ან არაფერი“ მძიმე სამართლებრივ შედეგს იწვევდა. კერძოდ, პრაქტიკოსი იურისტები მიუთითებდნენ, რომ მზღვეველისთვის უფლებების მინიჭება, უხეში გაუფრთხილებლობის შემთხვევაში, ავტომატურად უარი ეთქვა ზიანის ანაზღაურებაზე, უსამართლოდ ართმევდა დამზღვევს სადაზღვევო დაცვით სარგებლობის უფლებას. აქტიურად დადგა საკითხი დამზღვევის ბრალის ხარისხის პროპორციულად ანაზღაურების შემცირების თაობაზე ნაცვლად სრულად გამორიცხვისა. ამასთან ერთად, წამოიჭრა საკითხი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 242-ე პარაგრაფის შესაბამისად, დაზღვევის შესახებ კანონის 61-ე პარაგრაფის კონსტიტუციური კორექტირების თაობაზე. საბოლოოდ, გერმანელი კანონმდებელი მივიდა იმ ცვლილებებამდე, რომელიც ნაკარნახევი იყო

დაზღვევის სამართლის სამართლიანი პოლიტიკის, სადაზღვევო ბაზრის განვითარებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის იდეით.

გერმანული სადაზღვევო რეფორმა

პრაქტიკოსი იურისტების მოსაზრება გაიზიარა გერმანიის დაზღვევის შესახებ კანონზე მომუშავე კომისიამაც. თავის მოტივაციაში კომისია მიუთითებდა, რომ დაუშვებელია, ყოველი უხეში გაუფრთხილებლობა მზღვეველის პასუხისმგებლობისაგან სრულად გათავისუფლების საფუძველი გახდეს. იგი აღნიშნავდა, რომ მიზანშეწონილია, ანაზღაურების ოდენობა შემცირდეს მზღვეველის ბრალის პროპორციულად და არა სრულად გამორიცხოს. ხშირ შემთხვევაში, უსამართლოდ ხდებოდა დამზღვევისთვის ანაზღაურების მიცემაზე უარის თქმა. ამიტომ, სამართლიანობა მოითხოვდა, რომ უხეში გაუფრთხილებლობის შეფასება მომხდარიყო არა მხოლოდ ობიექტური, არამედ სუბიექტური ფაქტორების გათვალისწინებითაც. სწორედ სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების გამოჯვანამ ცხადყო, რომ გერმანიაში მოქმედი პრინციპი „ან ყველაფერი ან არაფერი“ არასამართლიანი და მოძველებული იყო. კანონმდებელმა უარი თქვა ათეული წლის მანძილზე მოქმედ დანაწესზე. 2011 წლის 22 ივნისს გერმანიის ფედერაციულმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, დამზღვევის მიერ სადაზღვევო შემთხვევის უხეში გაუფრთხილებლობით გამოწვევის შემთხვევაში, მზღვეველს, მხოლოდ განსაკუთრებულ გამოწვევის შემთხვევაში, შეუძლია სრულად უარყოს ზიანის ანაზღაურება. მეორე მხრივ, თუ უხეში გაუფრთხილებლობა მართივით გაუფრთხილებლობის ზღვარზეა, მაშინ გამოწვევის შემთხვევებში შესაძლოა, მზღვეველს სრულად დაეკისროს ზიანის ანაზღაურება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უხეში გაუფრთხილებლობით სადაზღვევო შემთხვევის გამოწვევა აღარ აძლევს მზღვეველს

შესაძლებლობას ავტომატურად უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე.

ვიდრე გერმანელი კანონმდებელი წლების განმავლობაში მოქმედ პრინციპს „ან ყველაფერი ან არაფერი“ შეცვლიდა, ხანგრძლივი გზა გაიარა. რეფორმის შემდეგ, სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ კანონის 81-ე პარაგრაფით შემოიღო ორი ალტერნატივა. პირველი, უცვლელი დატოვა განზრახ გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევის მიმართ საკანონმდებლო მიდგომა. კერძოდ, დამზღვევის მიერ სადაზღვევო შემთხვევის განზრახ გამოწვევის შემთხვევაში, მზღვეველი ავტომატურად თავისუფლდება სადაზღვევო ანაზღაურებისგან. მეორე, სადაზღვევო შემთხვევის უხეში გაუფრთხილებლობით გამოწვევის შემთხვევაში, მზღვეველს უფლება აქვს შეამციროს სადაზღვევო ანაზღაურება, დამზღვევის ბრალის სიმძიმის შესაბამისად, მაგრამ არ აქვს უფლება, ავტომატურად უარყოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა.

გერმანიაში შემოღებული ახალი რეგულაცია გარკვეულწილად ანალოგია დაზღვევის შესახებ შვეიცარიის კანონის მე-14 პარაგრაფის, რომელიც კანონის მიღების დღიდან (1908) მოქმედებს. აღნიშნული კანონით, თუ დამზღვევი ზიანს განზრახ გამოიწვევს, მზღვეველი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან. გაუფრთხილებლობის შემთხვევაში კი, კანონმდებელი უფრო მეტად წინდახედულია და მზღვეველის პასუხისმგებლობის ფარგლებს დამზღვევის ბრალის ხარისხს უკავშირებს. შესაბამისად, უხეში გაუფრთხილებლობას ავტომატურად არ თვლის მზღვეველის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველად და მის გრადაციას ახდენს. ამასთან, განსხვავებით გერმანელი კანონმდებლისაგან, რომელიც გაუფრთხილებლობის ხარისხის შესაბამისად ანაზღაურების მოცულობის დადგენას სასამართლოს პრეროგატივად ტოვებს, შვეიცარელი კანონმდებელი ცდილობს მეტი სიცხადე თავად ნორმაში შეიტანოს. ნორმის

მე-2 და მე-4 ნაწილები ერთმანეთისაგან განასხვავებს უხეში და მსუბუქ გაუფრთხილებლობას. მეორე ნაწილის თანახმად, დამზღვევის, ან მოსარგებლის მიერ ზიანის უხეში გაუფრთხილებლობით გამოწვევის შემთხვევაში, მზღვეველს უფლება აქვს ბრალის ხარისხის შესაბამისად შეამციროს თავისი პასუხისმგებლობა, ხოლო მე-4 ნაწილის მიხედვით, ზიანის მსუბუქი გაუფრთხილებლობით გამოწვევის შემთხვევაში, მზღვეველმა სრული მოცულობით უნდა აგოს პასუხი. გერმანული პრაქტიკა კიდევ უფრო შორის მიდის და გაუფრთხილებლობის მეტ გრადაციას ითვალისწინებს. მსუბუქი უხეში გაუფ-

განზრახვისთვის აუცილებელია პირის მიერ, კონკრეტული პარამეტრების ცოდნის გათვალისწინებით, სადაზღვევო შემთხვევის გამოწვევის სურვილი. ე.ი პირის ნება ან უხეში გაუფრთხილებელი მოქმედებით, აღარ ექცევა დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების სფეროში. შესაბამისად, დაზღვევის ხელშეკრულებით იფარება მხოლოდ ის რისკები, რომელიც წარმოიშობა ე.წ. „ნორმალური“, თუმცა არასწორი ქმედებისგან. მსგავსი ტიპის შეცდომა შესაძლოა დაუშვას თვით იმ დამზღვევმაც კი, რომელიც, როგორც წესი, მზრუნველობით ექცევა თავის საკუთრებას. აღნიშნული მუხლის უმთავრესი მიზანია, შეამციროს ე.წ. „სუბიექტური რისკი“.

რთხილებლობა, რომელიც ახლოსაა მართივ გაუფრთხილებლობასთან, მართივი უხეში გაუფრთხილებლობა და უხეში გაუფრთხილებლობა, რომელიც ძალიან ახლოს დგას განზრახვასთან. ზღვარის გაღლება მათ შორის რთული და საფრთხილია.

ევროპული იდეა უხეში გაუფრთხილებლობის გრადაციის თაობაზე მისაღები და ერთი შეხედვით, სამართლიანია. თუმცა, პრაქტიკული პრობლემა წარმოიშობა, როდესაც ქმედებაში ბრალის ხარისხის ზუსტი შეფასების საკითხი დგება. განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც თავად უხეში გაუფრთხილებლობის სამართლებრივ დეფი-

ნიციას არცერთი ქვეყნის კანონმდებლობა არ იძლევა და მისი შეფასება სასამართლოს მიერ ზოგად კრიტერიუმებზე დაყრდნობით ხდება.

აღნიშნული საფრთხე გააზრებული ქონდა გერმანიის დაზღვევის შესახებ კანონზე მომუშავე კომისიისაც. რეფორმაზე დისკუსიის დროს, კომისია მიუთითებდა, რომ გამოსავალი თავად არსებულ მართლწესრიგში უნდა მოძიებულიყო და პარალელი გააღლეს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში გსკ) 254-ე პარაგრაფთან, რომელიც ზიანის დადგომაში დაზარალებულის თანაბრალეულობისას ანაზღაურების საკითხს ეხება. ამ მუხლის ანალოგია სსკ-ის 415-ე მუხლი. თუმცა, ამ მიდგომაში მხარდაჭერა ვერ ჰპოვა. გსკ-ის 254-ე პარაგრაფის მიზანია მხარეთა ბრალის მოცულობის დადგენა მათი პასუხისმგებლობის ფარგლების განსაზღვრისთვის. გერმანიის დაზღვევის შესახებ კანონის 81-ე პარაგრაფის გამოყენებისას კი არ ხდება მხარეთა ბრალის ხარისხის აწონვა და ერთმანეთთან შეპირისპირება. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, სახელშეკრულებო შეთანხმების საფუძველზე, მზღვეველი უკვე გარკვეული ვალდებულებების მატარებელია. სწორედ ამიტომ, დოქტრინაში ცალსახად მიუთითებენ, რომ ერთიანი წესის შემოღება რთულია. მოსამართლემ, როგორც სამართალშემფარდებელმა, მხედველობაში უნდა მიიღოს კონკრეტულ შემთხვევაში წარმოდგენილი კრიტერიუმები და ისე მოახდინოს ქმედების შეფასება.

უხეში გაუფრთხილებლობა გერმანიის დაზღვევის შესახებ კანონის რეფორმის შემდეგ

გერმანულ იურიდიულ დოქტრინაში უხეში გაუფრთხილებლობად განმარტებულია, პირის მიერ ვითარების არასათანადო შეფასება და ისეთი ზომების მიუღებლობა, რასაც მსგავს სიტუაციაში მყოფი ნებისმიერი პირი მიიღებდა. მოცემული განმარტებებიდან ცალსახაა, რომ გაუფრთხილებლობა გამო-

**უხეში
გაუფრთხილებლობის
ფაქტი უნდა ამტკიცოს
მგლვეალმა. პირველ
რიგში მან უნდა
დაამტკიცოს, რომ
სახეზეა დამზღვევის
უხეში გაუფრთხილებელი
მოქმედება და მეორე, ამ
ქმედების მიზეზობრივი
კავშირი დამდგარ
შედეგთან**

ხატავს პირის შინაგან დამოკიდებულებას მომხდარისადმი. განსხვავებით განზრახი ქმედებისაგან, გაუფრთხილებლობა არ არის პირის სურვილით ჩადენილი ქმედება. იმისათვის რომ სახეზე იყოს გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედება, იგი უნდა იყოს აცილებადი, ე.ი. ქმედებაც და მისგან გამომდინარე შედეგიც უნდა იყოს განჭვრეტადი. ვინც გაუფრთხილებლად მოქმედებს, იგი იგნორირებას უკეთებს აუცილებელ ყურადღებებიანობას და ვინც უხეში გაუფრთხილებლობით მოქმედებს, ყურადღებებიანობას არღვევს მაღალი ხარისხით, მოქმედებს მზრუნველობის გარეშე.

მაგალითად, პირი, რომელიც გაზზე დადგმულ სადილს დატოვებს, იმის გამო, რომ გვერდზე ოთახში საფრთხეში მყოფ შვილს დაეხმაროს, არ მოქმედებს უხეში გაუფრთხილებლობით, მაგრამ პირი, რომელიც სადილს ტოვებს ანთებულ ცეცხლზე იმისათვის, რომ გვერდზე ოთახში მყოფდროდ მოკალათდეს და მეგობარს ესაუბროს, მოქმედებს უხეში გაუფრთხილებლობით. გაუფრთხილებლობის ნათელი მაგალითია, ასევე, პირის მიერ სახლიდან ხანგრძლივი დროით გასვლისას ფანჯრის ღიად დატოვება, ავტომობილის სავარძელზე ხილულად პერსონალური კომპიუტერის დატოვება, სახლში ანთებული სანთლის დატო-

ვება, ავტომობილის მართვის დროს ტელეფონზე დახედვა შეტყობინების წასაკითხად, ან ძირს დაგარდნილი ტელეფონის ასაღებად დახრა. თუმცა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ქმედებაში პირის ბრალის ხარისხის დადგენა და მისი შეფასება სასამართლოს პრეროგატივაა. გერმანიის სასამართლო პრაქტიკა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აფასებს გარემოებებს, იმისათვის, რომ ქმედებაში დამზღვევის ბრალის ხარისხი შეაფასოს. შესაბამისად, ერთი შეხედვით ორ მსგავს სიტუაციაში სასამართლო გადაწყვეტილება შესაძლოა აბსოლუტურად განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან. მაგალითად, კობლენცის უმაღლესმა რაიონულმა სასამართლომ უხეშ გაუფრთხილებლობად მიიჩნია დამზღვევის მიერ ჩართული სარეცხის მანქანის უმეტესალყურედ დატოვება 2-3 საათით. თუმცა, ფრანკფურტის უმაღლესმა რაიონულმა სასამართლომ არ მიიჩნია უხეშ გაუფრთხილებლობად ისეთი სარეცხის მანქანის უმეტესალყურედ ჩართული დატოვება, რომელსაც ე.წ. წყლის ავტომატურად შეჩერების სისტემა აქვს. შესაბამისად, როდის შეუძლია მზღვეველს შეამციროს სადაზღვევო ანაზღაურება კონკრეტულ შემთხვევაზეა დამოკიდებული.

დამზღვევის უხეში გაუფრთხილებლობა საქართველოს კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში

უხეში გაუფრთხილებლობის ნორმატიულ დეფინიციას არც საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს. შესაბამისად, სამართალშემფარდებელი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, გაუფრთხილებლობის დასადგენად, ინდივიდუალურად აფასებს გარემოებებს და შეფასების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას. წლების განმავლობაში, პრაქტიკაში დამკვიდრდა კრიტერიუმები, რომლითაც სასამართლოები ხელმძღვანელობენ. სააპელაციო სასამართლოს განმარტების თანახმად, „უხეში გაუფრთხილებლობა მოი-



ცავს იმ მითითებების დარღვევას ან უგულვებელყოფას, რომელიც სავალდებულოდ უნდა იცოდეს მსგავსი შინაარსის ოპერაციის განმხორციელებელმა ნებისმიერმა პირმა“. ასევე, უხეში გაუფრთხილებლობა არის მეტისმეტი დაუდევრობა. უხეში გაუფრთხილებლობით მოქმედებს ის, ვინც თავისი მოქმედებით აუცილებელ ყურადღებას არ იჩენს უჩვეულოდ მაღალი ხარისხით. საქართველოს უზენაესი სასამართლო კი თავის გადაწყვეტილებაში უხეშ გაუფრთხილებლობას მარტივი გაუფრთხილებლობისგან მიჯნავს და მიუთითებს,

რომ მარტივ გაუფრთხილებლობად შეფასდება ყველა ის მოქმედება, რომელიც არ წარმოადგენს აუცილებელი წინდახედულების ნორმის განსაკუთრებით მძიმე დარღვევას, ასევე, როდესაც პირის ფსიქიკური დამოკიდებულება ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების მიმართ არ წარმოადგენს იმ ხარისხის ბრალეულობას, რაც მის უხეშ გაუფრთხილებლობად მიჩნევის საფუძველს ქმნის. ქართველი კანონმდებელი, მსგავსად გერმანელი და შვეიცარიელი კანონმდებლისა, მარტივ გაუფრთხილებლობას არ მიიჩნევს 829-ე

მუხლის გამოყენების ე.ი მზღვეველის სადაზღვევო ანაზღაურებისაგან განთავისუფლების საფუძველად.

თუმცა, თავად სსკ-ის 829-ე მუხლი იმდენად ხისტია, რომ სამართალშემფარდებელს არ აძლევს განმარტების ფართო შესაძლებლობას. ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში სასამართლო განმარტავს, რომ „დამზღვევის ყოველი ქმედების უხეშ გაუფრთხილებლობად შეფასება, მზღვეველს ანიჭებს ანაზღაურებაზე უარის შესაძლებლობას, რაც ეწინააღმდეგება დაზღვევის, როგორც სამართლებრივ, ისე ეკონომიკურ

არსს“. ამავე გადაწყვეტილებაში სასამართლო აღნიშნავს, რომ ვინაიდან ავტოსაგზაო შემთხვევის დროს, დამზღვევი იყო ფხიზელი და ამასთან, მოძრაობდა დასაშვები სიჩქარით, გზაზე წარმოქმნილი სავარაუდო საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, მან იმოქმედა გაუფრთხილებლად. სწორედ იმის გამო, რომ სსკ-ის 829-ე მუხლი არ იძლევა უხეში გაუფრთხილებლობის გრადაციის და ამის შესაბამისად ანაზღაურების კვოტირების შესაძლებლობას, სასამართლო მოცემულ გარემოებებზე დაყრდნობით, დამზღვევის ბრალს აფასებს, როგორც მარტივ

გაუფრთხილებლობას და ამით დამზღვევს უტოვებს სადაზღვევო დაცვით სარგებლობის შესაძლებლობას. შესაძლოა, სასამართლოს მეტი საკანონმდებლო თავისუფლება რომ ქონოდა, პირის ქმედება განსხვავებულად დაეკვალიფიცირებინა და ორმხრივი ინტერესის დაცვა უკეთესად ყოფილიყო შესაძლებელი. მაგალითად, მიენიჭებინა დამზღვევისთვის ზიანის ანაზღაურების უფლება, თუმცა მხოლოდ გაუფრთხილებლობის ბრალის პროპორციულად და არა სრულად. სადაზღვევო სფეროში წლების განმავლობაში დამკვიდრებულმა პრაქტიკამ აჩვენა, რომ დამზღვევის მართლსაწინააღმდეგო მოქმედების დაყოფა მხოლოდ მარტივ და უხემ გაუფრთხილებლობად, ყოველთვის სამართლიანი არ არის. ერთ შემთხვევაში იგი ართმევს დამზღვევს სადაზღვევო უზრუნველყოფით სარგებლობის უფლებას და მეორე შემთხვევაში, მზღვეველს უსამართლოდ აკისრებს სრულ სადაზღვევო კომპენსაციას. სწორედ ამაში გამოიხატება პრინციპის – „ან ყველაფერი ან არაფერი“ არსი. სწორედ მსგავსი ჩიხური მდგომარეობიდან გამოსავლის ძიებამ მიიყვანა გერმანელი კანონმდებელი რეფორმამდე, რისი აუცილებლობაც უახლოეს მომავალში საქართველოსიც დადგება.

ზემოაღნიშნული მსჯელობა ბადებს ლოგიკურ კითხვას, რა კრიტერიუმებით უნდა მოხდეს უხემი გაუფრთხილებლობის გრადაცია და შემდგომში, გრადაციის საფუძველზე, პროპორციული ანაზღაურება.

უხემი გაუფრთხილებლობის სუბიექტური და ობიექტური ნიშანდობები

გერმანიის ფედერალური სასამართლო უხემ გაუფრთხილებლობას განმარტავს, როგორც პირის ქმედებას, რომელიც საზოგადოებაში დამკვიდრებულ ყურადღების სტანდარტს მაღალი ხარისხით არღვევს და უგულებელყოფს იმასა, რაც მოცემულ გარემოებებში ყველასთვის ნათელი იქნებოდა. აღნიშნული დეფინიციის

სასამართლო მოყვანილი არგუმენტები არბაიტჯალისწინა და ბრალის ხარისხის პროპორციულად ანაზღაურების ოდენობა 25%-მდე შეამცირა. თავის არგუმენტაციაში მიუთითა: უხემი გაუფრთხილებლობით მოქმედებს ის ვინც საზოგადოებრივ ნებისგან გასული ხარისხით არღვევს და უყურადღებობას იჩინს, რაც მოცემულ შემთხვევაში აშკარა და თვალნათელია

შესაბამისად ქმედების კვალიფიკაციისთვის გერმანულ დოქტრინასა და პრაქტიკაში მნიშვნელოვნად მიიჩნევენ მის შეფასებას ობიექტური და სუბიექტური კომპონენტების გათვალისწინებით. ამასთან, მხოლოდ ობიექტური თვალსაზრისით, უხემი გაუფრთხილებელი ქმედების არსებობა არ არის საკმარისი ქმედების კვალიფიკაციისთვის. მასთან ერთად მნიშვნელოვანია სუბიექტური კომპონენტის არსებობაც, რაც გულისხმობს პიროვნების მხრიდან ვალდებულების უპატიებელი დარღვევის თაობაზე პასუხისმგებლობის დადგენას. კერძოდ, უნდა დადგინდეს სუბიექტური თვალსაზრისით იმოქმედა და დაუშვა თუ არა დამზღვევმა უპატიებელი შეცდომა, ხომ არ იყო მის პიროვნებასთან დაკავშირებული რაიმე შემამსუხუქებელი გარემოება სახეზე ან ე.წ. “Augenblicksversagen.”

უხემი გაუფრთხილებლობის ფაქტი უნდა ამტკიცოს მზღვეველმა. პირველ რიგში მან უნდა დაამტკიცოს, რომ სახეზეა დამზღვევის უხემი გაუფრთხი-

ლებელი მოქმედება და მეორე, ამ ქმედების მიზეზობრივი კავშირი დამდგარ შედეგთან. მაგალითად, ცალკე აღებული ფაქტი – დამზღვევის მიერ ავტომობილში მანქანის საბუთების დატოვება და ქურდის მიერ ავტომობილის მოპარვა, არაფერზე არ მიუთითებს. მოცემულ შემთხვევაში დასადგენია არის თუ არა სახეზე უხემი გაუფრთხილებლობა და არის თუ არა ეს ქმედება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის განმაპირობებელი, ანუ დამდგარი შედეგი მიზეზობრივ კავშირში დამზღვევის ქმედებასთან. პირველ შეკითხვაზე თუ პასუხი დადებითია, (საბუთების დატოვება უმთავრესყოფილ ავტომობილში ობიექტური თვალსაზრისით გაუფრთხილებელი მოქმედებაა), მეორეზე ამის თქმა შეუძლებელია. კერძოდ, სამართალდამრღვევისთვის საბუთები არ გამხდარა ქმედების ჩადენის მოტივატორი. შესაბამისად, ვინაიდან სახეზე არ არის მიზეზობრივი კავშირი საბუთების დატოვებასა და ავტომობილის ქურდობას შორის, მზღვეველი არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან. ამ მაგალითის საპირისპიროდ შესაძლოა დასახელდეს შემთხვევა, როდესაც მანქანის ხელოსანს, მას შემდეგ, რაც დაინახავს საბუთებს, უჩნდება ავტომობილის მოპარვის სურვილი, რაც სისრულეში მოყავს. ამ შემთხვევაში სახეზეა ორივე გარემოება, პირველი, საბუთების დატოვება, ობიექტური თვალსაზრისით, არის უხემი გაუფრთხილებლობა, და მეორე, იგი მიზეზობრივ კავშირშია სადაზღვევო შემთხვევის დადგომასთან. ეს ფაქტი გახდა ქურდისთვის ქმედების მოტივატორი. აღნიშნულის მტკიცების ტვირთიც მზღვეველს ეკისრება.

დამზღვევის ქმედების კვალიფიკაციის დროს, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელიც გერმანულ სადაზღვევო პრაქტიკაში სუბიექტური კომპონენტის შესაფასებლად გამოიყენება, არის ე.წ. “Augenblicksversagen.” გერმანიის ფედერალური სასამართლო მას განმარტავს – თვალთახედვიდან გამორჩენად, მოკლე დროით უყურადღებობად. თვალთახედვიდან გამორჩენაზე საუბრობენ, როდესაც

სხვა შემთხვევაში კონცენტრირებულად მოქმედ პირს, დროის მცირე მონაკვეთში უნებურად მხედველობიდან რჩება ბრუნვაში დამკვიდრებული ყურადღება იანობა. შესაბამისად, ასეთი ქმედება არ ითვლება უპატიებელ შეცდომად. მაგალითად, ავტომობილის მართვის დროს დამზღვევის ყურადღებას იწყობს სასტუმროს რეკლამა, რომელიც მწვანედ ანათებს. ამ დროს, მას მხედველობიდან რჩება შექნიშნის ამკრძალავი სიგნალი და დგება სადაზღვევო შემთხვევა. მოცემულ სიტუაციაში უნდა შეფასდეს, არის თუ არა მისი ქმედება უხემი გაუფრთხილებლობა, რომელიც, როგორც აღინიშნა, მოიცავს ობიექტურ და სუბიექტურ კომპონენტს. ობიექტური თვალსაზრისით სახეზეა ვალდებულების უპატიებელი დარღვევა – შექნიშნის ამკრძალავი სიგნალზე გავლა. შემდგომში უნდა შეფასდეს, არის თუ არა ქმედება სუბიექტური თვალსაზრისით უპატიებელი. სუბიექტური კომპონენტი კი, თავის მხრივ, მოიცავს მოკლე დროით თვალთახედვიდან გამორჩენის და სხვა შემამსუხუქებელი გარემოების ერთობლივად არსებობის დადგენას. იმ შემთხვევაში, თუ თვალთახედვიდან გამორჩენასთან („Augenblicksversagen“) ერთად სახეზეა სხვა შემამსუხუქებელი გარემოებაც, ქმედება არ მიიჩნევა უპატიებელ შეცდომად, რაც უხემი გაუფრთხილებლობის აუცილებელი ელემენტია. მოცემულ შემთხვევაში, დამზღვევს თვალთახედვიდან, მოკლე დროით, გამორჩა ბრუნვაში დამკვიდრებული ყურადღებიანობა, რაც განაპირობებს მწვანე შუქით განათებულმა რეკლამამ (სხვა შემამსუხუქებელი გარემოება). როგორც ზემოაღნიშნულიდან იკვეთება, ქმედებაში სუბიექტური კომპონენტის არსებობა/არარსებობის დასადგენად ერთობლიობაში უნდა შეფასდეს თვალთახედვიდან გამორჩენის და სხვა შემამსუხუქებელი გარემოებების არსებობა. მხოლოდ თვალთახედვიდან გამორჩენა არ გამოიყვანს ობიექტურად უხემი გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედების შეფასებას სუბიექტური თვალსაზრისითაც უხემი გაუფრთხილებლობით ჩადენილ ქმედებად შეფასებას. მასთან ერთად, აუცილებე-

ლია, სხვა შემამსუხუქებელი გარემოების არსებობაც.

საკითხის მეტი სიცხადისთვის საინტერესოა კობლენცის მიწის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება. ავტომობილით მოძრაი დამზღვევი, რომელიც ჩერდება შექნიშნის ამკრძალავი სიგნალზე, ტრიალდება ავტომობილის უკანა სავარძელზე მდომი მცირეწლოვანი შვილებისკენ. ამ დროს, მას ესმის უკანა ავტომობილიდან გაბმული სიგნალი. დამზღვევი ფიქრობს, რომ აინთო მწვანე სიგნალი და იწყებს მოძრაობას, თუმცა შექნიშნაზე ისევ ამკრძალავი ნიშანია. შედეგად, იგი ეჯახება საქმეში უნდა დადგინდეს შეუძლია თუ არა მზღვეველს მიუთითოს დამზღვევის უხემი გაუფრთხილებლობით მოქმედებაზე და უარი თქვას ანაზღაურებაზე. გერმანიის დამზღვევის შესახებ კანონის ძველი რედაქციისა და სსკ-ის 829-ე მუხლის თანახმად, დამზღვევის ქმედება შეფასდება უხემ გაუფრთხილებლობად და მზღვეველი განთავისუფლდება ანაზღაურების ვალდებულებისაგან. გერმანიის დამზღვევის შესახებ კანონის ახალი რედაქციით კი დამზღვევის ქმედების განსასაზღვრად პირველ რიგში უნდა შეფასდეს არის თუ არა ობიექტურად უპატიებელი შეცდომა სახეზე, რაზეც, მოცემულ შემთხვევაში, შეიძლება დადებითი პასუხი გაეცეს. შექნიშნის ამკრძალავი სიგნალზე გავლა ცალსახად არის გადაცდომა და საგზაო მოძრაობის წესების უხემი დარღვევა. შემდეგ ეტაპზე უნდა შეფასდეს არის თუ არა დამზღვევის ქმედება სუბიექტური თვალსაზრისითაც უხემი გაუფრთხილებელი მოქმედება. აქ უნდა დადგინდეს არის თუ არა სახეზე თვალთახედვიდან გამორჩენა და მასთან ერთად, სხვა შემამსუხუქებელი გარემოებაც, რამაც დამზღვევის ქმედება განაპირობა. სასამართლომ ჩათვალა, რომ დამზღვევის რეაქცია, რამაც შექნიშნის ამკრძალავი სიგნალის თვალთახედვიდან გამორჩენა გამოიწვია, განპირობებული იყო აკუსტიკური სიგნალით, რაც სხვა შემამსუხუქებელი გარემოებაა. ე.ი. უპატიებელი შეცდომა არ არის მოცემული. აქედან გამომ-

დინარე, სახეზე არ არის სუბიექტური თვალსაზრისით უხემი გაუფრთხილებლობა.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ცალსახად იკვეთება, უხემი გაუფრთხილებლობა არა მხოლოდ ობიექტური (გაზრდილი განჭვრეტა და თავიდან აცილება), არამედ უფრო მეტად სუბიექტური კრიტერიუმით განისაზღვრება. შესაბამისად, ბრალის ხარისხის და ანაზღაურების პროპორციულობის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად, ორივე ფაქტორის გათვალისწინება აუცილებელია. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი ფაქტების დიფერენცირებული შეფასება. ეს კი იძლევა ინდივიდუალურ შემთხვევაზე მორგებული ანაზღაურების პროპორციული შემცირების შესაძლებლობას.

სადაზღვევო ანაზღაურების პროპორციულობის დამზღვევის კრიტერიუმები

სადაზღვევო ანაზღაურების პროპორციულობის დადგენის თაობაზე, ევროპულ დოქტრინასა და პრაქტიკაში, ცალსახად ერთიანი მიდგომა არ გვხვდება. მაგალითად, თუ შევიცარიამი (14.2) ანაზღაურების შემცირების დროს დამზღვევის ეკონომიკურ მდგომარეობას ყურადღება ექცევა, გერმანიაში ეს კრიტერიუმი უგულვებელყოფილია. გერმანელმა კანონმდებელმა შეგნებულად გამორიცხა სხვა კრიტერიუმის გათვალისწინება და ანაზღაურების შემცირების ხარისხი პირდაპირპროპორციულად დამზღვევის ბრალის ხარისხს დაუკავშირა. თუმცა, თავად დამზღვევის ბრალის ხარისხის დიფერენციაციაც მთელ რიგ პრაქტიკულ სირთულეებს უკავშირდება. ზოგიერთი იურისტი, პროპორციულობის დასადგენად მიზანშეწონილად მიიჩნევს სამ საფეხურიანი მოდელის გამოყენებას. ამ დროს, ანაზღაურება დამოკიდებულია იმაზე კონკრეტულ შემთხვევაში უხემი გაუფრთხილებლობა უფრო მეტად ახლოს იყო არაპირდაპირ განზრახვასთან თუ მარტივ გაუფრთხილებლობასთან. ამისათვის დოქტრინაში შემოიტანეს თავად უხე-

ში გაუფრთხილებლობის კლასიფიკაციის სამი საფეხური: „მარტივი“, „ნორმალური“ და „შიდიშ“ უხეში გაუფრთხილებლობა. სიმძიმის შესაბამისად ანაზღაურების შემცირება უნდა მოხდეს 25%, 50% და 75%-ის ფარგლებში. თუმცა, ასეთი ტიპის დაყოფის იდეამ ვერ ჰპოვა მხარდაჭერა. იგი ზედმეტად უხეშად იქნა მიჩნეული, რამდენადაც თავად ცალკეული ბრალის ფორმის გამოიყენა (მარტივი და უხეში გაუფრთხილებლობის, ისევე როგორც უხეში გაუფრთხილებლობის და პირდაპირი (არაპირდაპირი განზრახვის) პრაქტიკაში ბევრ პრობლემას ქმნის.

პრაქტიკაში დამკვიდრებული წესის თანახმად, გამოიყენის პირველი ეტაპისთვის, მნიშვნელოვანია დადგინდეს უხეში გაუფრთხილებლობის სიასლოვე განზრახ ქმედებასთან. მათი გამოიყენა ცალკეულ შემთხვევებში რთულია, თუმცა პრაქტიკაში გამოცდილი იურისტისთვის ადვილი მისახვედრია, შემთხვევა უფრო ახლოს დგას მარტივ გაუფრთხილებლობასთან, თუ იკვეთება შეგნებულად მართლსაწინააღმდეგო ქმედების ფაქტი. თუ დამზღვევმა იცის თავისი სარისკო ქმედების შესახებ და შეიცნობს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესაძლებლობას, მაშინ მნიშვნელოვანია გაველოს ზღვარი განზრახვასთან. კერძოდ, იმედოვნება პირი უკეთესი შედეგის დადგომას თუ შეეგუა შესაძლო ზიანის წარმოშობას. მაგალითად, დამზღვევი საზღვარგარეთ მოგზაურობის დროს თავის ავტომობილს, მუშა მდგომარეობაში ტოვებს ჯიხურის წინ, გადაადის თამბაქოს შესაძენად რა დროსაც მის ავტომობილს იპარავენ. ამ შემთხვევაში ცალსახად სახეზეა გაცნობიერებული უხეში გაუფრთხილებული მოქმედება, რამაც პასუხისმგებლობა დამზღვევს ეკისრება და მზღვეველს შეუძლია ანაზღაურება 10%-მდე შეამციროს.

მზღვეველს შეუძლია სადაზღვევო ანაზღაურება 50% შეამციროს, როდესაც დამზღვევი სადაზღვევო შემთხვევას განსაკუთრებული დაუფიქრებლობით გამოიწვევს. შეფასების კრიტერიუმები დაზღვევის სახეზეა და-

მოკიდებული. მაგალითად, ქონების დაზღვევის დროს, ფაქტის შეფასებისთვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დაზღვეულ ობიექტს, დღეს და ვითარებას, როდესაც სადაზღვევო შემთხვევა მოხდა. მაგალითად, როდესაც დამზღვევი თავისი ლუქსის კლასის ავტომობილის პარკირებას ჩაბნელებულ ქუჩაში ახორციელებს, მანქანაში მალაყს ავტომობილის გასაღებს და მას იპარავენ, სახეზეა მაღალი ხარისხის უხეში გაუფრთხილებლობა, რის გამოც მზღვეველს უფლება აქვს შეამციროს ანაზღაურება.

უხეში გაუფრთხილებლობის ბრადაციის და ანაზღაურების პროპორციულობის საკითხი სირთულით და კომპლექსურობით ხასიათდება. ინდივიდუალურ ფაქტებზე დაყრდნობით და შფუასებით, მზღვეველის და სამართალშემფარდებლის ახდენენ, როგორც გაუფრთხილებლობის ხარისხის, ისე ანაზღაურების პროპორციის დადგენას

პრაქტიკული თვალსაზრისით საინტერესოა გერმანიის ნიურნბერგის მიწის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც სადაზღვევო ანაზღაურების პროპორციული შემცირების თაობაზე სანიმუშოდ იქცა. მომჩივანის 8 წლის შვილი, დაახლოებით 15 წუთით, შევიდა მამის სამუშაო ოთახში კომპიუტერის სათამაშოდ. სანთებელას გამოყენებით, რომელიც სამუშაო მაგიდის უკრამი იყო, ბიჭმა მოუკიდა ქაღალდს, საიდანაც გაჩნდა ცეცხლი. მისი ჩაქრობა ბავშვმა ვერ შეძლო და დაზღვეული სახლის დიდი ნაწილი

დაიწვა. დამდგარმა ზიანმა 27730 ევრო შეადგინა. დაზღვეული მიუთითებდა, რომ სახეზე არ იყო უხეში გაუფრთხილებლობა, ვინაიდან სანთებელი, რომელიც ცეცხლის წყარო გახდა, იყო უკრამი, არ იყო გამართულ მუშა მდგომარეობაში და იგი დასამუხტად ინახებოდა.

სასამართლომ მოყვანილი არგუმენტები არ გაითვალისწინა და ბრალის ხარისხის პროპორციულად ანაზღაურების ოდენობა 25%-მდე შეამცირა. თავის არგუმენტაციაში მიუთითა: უხეში გაუფრთხილებლობით მოქმედებს ის ვინც საზოგადოებრივ წესრიგს მაღალი ხარისხით არღვევს და უყურადღებობას იჩენს, რაც მოცემულ შემთხვევაში აშკარა და თვალნათელია. მსუბუქი გაუფრთხილებლობის შემთხვევისგან განსხვავებით, უხეში გაუფრთხილებლობისას სახეზეა ასევე სუბიექტური თვალსაზრისით უპატიებელი შეცდომა. მოცემულ კაზუსში ობიექტურად სახეზეა წესრიგის დარღვევა, კერძოდ, ცეცხლის გამოწვევი საშუალებები ისე უნდა იყოს შენახული, რომ იგი 12 წლამდე ბავშვებისათვის არ იყოს ხელმისაწვდომი. მართალია, დაცლილი სანთებლები, ხელახლა დამუხტვის მიზნით, შენახული იყო მაგიდის უკრამი, თუმცა ისინი ჯერ კიდევ „სანთებელად“ და არა „გადაყრილ ნივთებად“ აღიქმებოდა. ასეთ შემთხვევაშიც, სანთებელით ცეცხლის წარმოშობის რეალური საფრთხე არსებობდა. აღნიშნული არის საყოველთაო წესი. სწორედ ამიტომ ამ წესის დარღვევა ობიექტური თვალსაზრისით მიეკუთვნება უხეში გაუფრთხილებლობას. სუბიექტური თვალსაზრისითაც სასამართლომ მიიჩნია უპატიებლ შეცდომად და თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა: ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, შეიძლება მსჯელობა იმაზე, რომ ბავშვები ძალიან ცნობისმოყვარეები არიან. სასამართლოს მითითებით, განსაკუთრებით მათში იწვევს ინტერესს ცეცხლის წარმოშობის მოვლენა. ამასთან, მომჩივანს უნდა ეფიქრა იმაზე, რომ ბავშვური ცნობისმოყვარეობა უბიძგებდა მის

შვილს იმისკენ, რომ ენახა რა იყო ოთახის კარადებსა და უკრამში, სადაც მას იშვითად უშვებდნენ. ასევე, მომჩივანი და მისი მეუღლე მწვევლები არიან და ამითი ისინი თავის შვილებს მუდმივად აძლევენ მაგალითს, როგორ უნდა გამოიყენონ სანთებელი. სასამართლომ მიუთითა ასევე იმ გარემოებაზე, რომ ის ფაქტი, რომ სამზარეულოში ცეცხლის ასანთები სხვა საშუალებები გარკვეულწილად ღიად იყო და ბავშვი მის მიმართ ინტერესს არ იჩენდა, არანაირად არ ამართლებს მომხდარ შემთხვევას და მას არანაირი მიზნობრივი კავშირი არ აქვს მიმდინარე ფაქტთან. სწორედ ასეთი ტიპის დეტალურმა შეფასებამ, ფაქტების სიტუაციურმა და სრულმა ანალიზმა მიიყვანა სასამართლო სადაზღვევო ანაზღაურების 25%-მდე შემცირების გადაწყვეტილებამდე.

როგორც მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს, უხეში გაუფრთხილებლობის გრადაციის და ანაზღაურების პროპორციულობის საკითხი სირთულით და კომპლექსურობით ხასიათდება. ინდივიდუალურ ფაქტებზე დაყრდნობით და შეფასებით, მზღვეველიც და სამართალშემფარდებელიც ახდენენ, როგორც გაუფრთხილებლობის ხარისხის, ისე ანაზღაურების პროპორციის დადგენას.

გერმანიაში, განსხვავებით შვეიცარიისაგან, რეფორმის გატარების დღიდან დღემდე, საკმაოდ დიდი რაოდენობით გადაწყვეტილება მიღებული უხეში გაუფრთხილებლობით სადაზღვევო შემთხვევის გამოწვევის და ანაზღაურების პროპორციულობის თაობაზე. შვეიცარიაში, მიუხედავად იმისა, რომ ნორმა ას წელზე მეტია მოქმედებს, საკმაოდ მცირეა სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც კვლავისთვის შენახვისთვის ეხება. ანუ, გადაწყვეტილებები, რომელშიც სასამართლო მსჯელობს, რამდენად სწორედ განსაზღვრა მზღვეველმა ანაზღაურების პროპორცია. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ დამზღვევებს ძალიან იშვითად აქვთ მოთხოვნილება მზღვეველის მი-

ერ შემცირებული ანაზღაურება სასამართლო წესით გაასაჩივრონ. შესაძლოა, შვეიცარიის სადაზღვევო ბაზარი, განსხვავებით გერმანიისგან, მეტად ლოიალურია. როგორც აღინიშნა, ანაზღაურების ოდენობის შემცირება, ხშირ შემთხვევაში, დამოკიდებულია არა მხოლოდ დამზღვევის ბრალზე, არამედ ზიანის ოდენობაზე, დამზღვევის ფინანსურ მდგომარეობაზე, ასევე სხვა მზღვეველების ანაზღაურებაზე. შვეიცარული მიდგომა არის მეტად დაბალანსებული და დაფუძნებული პრობლემის სამართლიან გადაწყვეტაზე, რაც ხელს უწყობს დამზღვევის ფინანსური კრიზისის აღმოფხვრას.

შვეიცარიასთან შედარებით, გერმანიული სამართალწარმოება მეტად მკაცრია. რეფორმის შემდეგ, ჯერ კიდევ არის სამართლებრივი გაურკვეველობა და ორივე მხარე, როგორც დამზღვევი ისე მზღვეველი, ცდილობს თავისი შესაძლებლობა მაქსიმალურად მოსინჯოს.

ნაშრომში მოყვანილი პრაქტიკული შემთხვევები და შედარებით-სამართლებრივი ანალიზი ცალსახად მოწმობს, რომ ერთიანი, უნივერსალური მიდგომა არ არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ შვეიცარიის კანონმდებლობის ანალოგიური რეფორმა გაატარა გერმანიელმა კანონმდებელმა, ნორმის ინტერპრეტაცია და შეფარდება განსხვავებული კრიტერიუმით ხდება, რაც სრულიად ლოგიკურია. თუმცა, ორივე მათგანს ერთი მიზანი ამოძრავებს – გახადოს ნორმა სამართლიანი, მოქნილი და მომხმარებელთა უფლებებზე ორიენტირებული.

დასკვნა

თავისი შინაარსით, სსკ-ის 829-ე მუხლი არის ხისტი და მკაცრი. იგი არ არის მოქნილი და მორგებული სადაზღვევო ურთიერთობის მონაწილეებზე. იგი აბსოლუტურად განსხვავდება თანამედროვე ევროპული მიდგომისაგან, რომელიც ერთი მხრივ, შესაძლებლობას აძლევს დამზღვევს, სადაზღვევო შემთხვევის უხე-

ში გაუფრთხილებლობით გამოწვევის შემთხვევაშიც ისარგებლოს სადაზღვევო დაცვით. მეორე მხრივ, მზღვეველს უტოვებს შესაძლებლობას ამტკიცოს უხეში გაუფრთხილებლობის და მისი სხვადასხვა ხარისხით არსებობა პირის ქმედებაში. როგორც ნაშრომის დასაწყისში აღინიშნა, გერმანიაში რეფორმა ნაკარნახევი იყო მომხმარებელთა უფლებებზე დაფუძნებული პრაქტიკით, რომელმაც აჩვენა, რომ პრინციპი „ან ყველაფერი ან არაფერი“ ხშირად არასამართლიანი იყო. ამიტომ რეფორმის ლაიტმოტივი სამართლიანობა და მხარეთა მიმართ დაბალანსებული მიდგომა იყო. ქართული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ სსკ-ის 829-ე მუხლი ხშირად სამართალშემფარდებელს აიძულებს მიიღოს ხისტი გადაწყვეტილება, იყოს მკაცრი ურთიერთობის მონაწილე ერთი ან მეორე მხარის მიმართ. ბუნებრივია, საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც დროთა განმავლობაში დღის წესრიგში დადგება, გაამარტივებს ურთიერთობას, როგორც მზღვეველებსა და დამზღვევებს შორის, ასევე მოსამართლეებს მისცემს ნორმის ადექვატური შეფარდების შესაძლებლობას. იმ ფონზე, როდესაც უმრავლესი ქვეყნის კანონმდებლობაში, უხეში გაუფრთხილებლობის ლეგალური დეფინიცია არ არის მოცემული და იგი მთლიანად სამოსართლო სამართალზეა მინდობილი, საქართველოშიც წამოიჭრება მისი მრავალმხრივი, ვიწრო და ამასთან, ძირეული განმარტების აუცილებლობა. ეს კი, რა თქმა უნდა, საკანონმდებლო რეფორმის მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელია. იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებელი გაითვალისწინებს ევროპულ გამოცდილებას, სსკ-ის 829-ე მუხლს გახდის მეტად მოქნილს და სამართლიანს, ეს მისცემს ურთიერთობის მონაწილე მხარეებსაც და სამართალშემფარდებელსაც შესაძლებლობას, მოახდინონ მართლსაწინააღმდეგო ქმედების გრადაცია. აღნიშნული კი ზიანის სამართლიანი და პროპორციული ანაზღაურების წინაპირობაა.



საქართველოში ღვინის დაყენების ტრადიცია რვა ათას წელს ითვლის და მას ქართულ კულტურაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის – იუნესკოს გადაწყვეტილებით, 2013 წლიდან, ქვეყრაში ღვინის დაყენების ქართული ტრადიციული მეთოდი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში შევიდა. 2017 წელს კი, საფრანგეთის ქალაქ ბორდოში – ღვინის მსოფლიო დედაქალაქში განხორციელებული პროექტის „საქართველო ღვინის აკადემია“-ს ფარგლებში, მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებამ საქართველო „ღვინის სამშობლო“ აღიარა.

ქართული ღვინის მიმართ საერთაშორისოდ აღიარებული იმიჯისა და ღვინის ექსპორტის რაოდენობრივი ზრდის პარალელურად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქართული ღვინის ხარისხის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას. ვინაიდან მეღვინეობა არაერთხელ იქნა აღიარებული ქვეყნის ეკონომიკის პრიორიტეტულ მიმართულებად, საქართველოს მეღვინეობის დარგის მარეგულირებელი ორგანოს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი სწორედ ქართული ღვინის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის ხელშეწყობა და შესაბამისობის კონტროლია.

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) ასოცირების შესახებ შეთანხმების უმნიშვნელოვანესი ნაწილია, ვინაიდან სწორედ იგი მოიცავს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმს და საქართველოსთვის ხსნის ევროკავშირის შიდა ბაზარს. ყურძნისეული წარმოების ალკოჰოლიანი სასმლის წარმოებისა და რეალიზაციისათვის აუცილებელია ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრების მოთხოვნათა გათვალისწინება

და შესაბამისად, კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების ხელშეწყობად მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ მისი პოპულარიზაცია, არამედ ღვინის მწარმოებელი კომპანიებისათვის ქართული ღვინისა და ყურძნისეული წარმოების სხვა ალკოჰოლიანი სასმელის ექსპორტისათვის ხელსაყრელი პირობების არსებობა, ქართული ღვინის ცნობადობა და მისი ექსპორტის მაჩვენებლის ზრდა.

მევენახეობა-მეღვინეობის დარგში საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი სამართლებრივი საფუძველი „ვაზისა და

მევენახეობა-მეღვინეობის დარგში საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი სამართლებრივი საფუძველი „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის, როგორც ქვეყნის ისტორიულად, კულტურულად და ეკონომიკურად პრიორიტეტული დარგის, განვითარებას და შესაბამისობის კონტროლის მექანიზმში, რაც განსაზღვრულია „ვაზისა და ღვინის“ შესახებ საქართველოს კანონით. ესენია, სახელმწიფო კონტროლი, სახელმწიფო ზედამხედველობა და ინსპექტირება. როდესაც შესაბამისობის დადგენაზე ვსაუბრობთ, „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონის გარდა, გასათვალისწინებელია საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 ნოემბრის დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი „ღვინის წარმოების

სა და ყურძნისეული წარმოების სხვა ალკოჰოლიანი სასმელების წარმოებასა და რეალიზაციას, საქართველოში ღვინისა და სხვა ალკოჰოლიანი სასმელების კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარებას და მომხმარებელთა ინტერესების დაცვას, ქართული მევენახეობა-მეღვინეობის დარგის საერთაშორისო რეპუტაციის შენარჩუნებასა და ზრდას. აღნიშნულ კანონში 2017 წელს არსებითი ცვლილებები განხორციელდა და გატარებული რეფორმის მიზანი – ღვინის სექტორში არსებულ გამოწვევებზე მორგება და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება იყო. დარეგულირდა ღვინისა და ყურძნისეული წარმოების სპირტიანი სასმელების ექსპორტთან, იმპორტთან, ადგილობრივ ბაზარზე განთავსებასთან და სერტიფიცირებასთან დაკავშირებული საკითხები. საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) „ენოლოგიური პრაქტიკის საერთაშორისო კოდექსი“-ს მოთხოვნათა გათვალისწინებით, ახლიდან ჩამოყალიბდა ღვინეობის კლასიფიკაცია და განისაზღვრა ღვინის კატეგორიები. ასევე, გათვალისწინებული იქნა OIV-ის, ევროკავშირისა და WWTF-ის ეტიკეტირებასთან დაკავშირებული წესი და განისაზღვრა პროდუქციის ეტიკეტირებასთან დაკავშირებული ნორმები.

ქართული ღვინის ხარისხის შენარჩუნება და გაუმჯობესება არა მხოლოდ ღვინის მწარმოებელი კომპანიების, არამედ სახელმწიფოს პრიორიტეტია. ღვინის წარმოებასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია გამოყოფთ სახელმწიფოს მიერ ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის სამი სახის კონტროლის მექანიზმი, რაც განსაზღვრულია „ვაზისა და ღვინის“ შესახებ საქართველოს კანონით. ესენია, სახელმწიფო კონტროლი, სახელმწიფო ზედამხედველობა და ინსპექტირება. როდესაც შესაბამისობის დადგენაზე ვსაუბრობთ, „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონის გარდა, გასათვალისწინებელია საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 ნოემბრის დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი „ღვინის წარმოების

სახელმწიფოს როლი ქართული ღვინის ხარისხის უზრუნველყოფაში: სამართლებრივი ჩარჩოს მიმოხილვა



ავტორი: სალომე ქურდაძე
იურიდიული სამმართველოს უფროსი
სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტო

ზოგადი წესისა და ნებადართული პროცესების, მასალებისა და ნივთიერებების ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“. ტექნიკური რეგლამენტი ადგენს სავალდებულო მოთხოვნებს ღვინის მასასიათებლებთან, წარმოების წესებთან, დავარგებასთან, სამომხმარებლო ბაზარზე ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული დასახელების, ღვინის განთავსებასა და შეღვინების პრაქტიკაში ნებადართულ პროცესებთან, მასალებსა და ნივთიერებებთან დაკავშირებით.

როგორც უკვე აღინიშნა, შესაბამისობის დადგენის ერთ-ერთი მექანიზმი სახელმწიფო კონტროლია. ეს არის პროცედურა, რომელსაც უფლებამოსილი ორგანო ახორციელებს დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის, დაცული ადგილწარმოშობის დასახელების სპირტიანი სასმელის, დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის ღვინისა და დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის სპირტიანი სასმელის წარმოების სფეროში მეწარმის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 13 დეკემბრის N2-1008 ბრძანება). აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში შემოწმების ობიექტებია ყურძნისა და ღვინის წარმოების ადგილი, ვაზის ჯიმი, ყურძნის მაქსიმალური მოსავალი ერთი ჰექტრიდან, ღვინის მაქსიმალური გამოსავლიანობა ერთი ტონა ყურძნიდან, დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის სპირტიანი სასმელების ნაშთები და მათი წარმოების ტექნოლოგიური პროცესები, გამოყენებული მასალები და ნივთიერებები. ზემოაღნიშნული კი ცხადყოფს, რომ ღვინის ხარისხის კონტროლი არა თავად მზა პროდუქტი – ღვინისგან, არამედ ვაზიდან იწყება. აქვე უნდა გავანარტოთ, თუ რა იგულისხმება ადგილწარმოშობის დასახელებაში – ეს არის გეოგრაფიული ადგილის თანამედროვე ან ისტორიული სახელი გამოყენებული იმ საქონლის მოსანიშნად, რომელიც წარმოშობი-

ლია ამ გეოგრაფიული ადგილიდან და რომლის განსაკუთრებული ხარისხი და თვისებები მთლიანად ან ძირითადად განპირობებულია მხოლოდ ამ გეოგრაფიული ადგილის ბუნებრივი გარემოთი და ადამიანის ფაქტორით და რომლის წარმოება, ნედლეულის დამზადება და დამუშავება ხდება ამ გეოგრაფიული ადგილის საზღვრებში. საქართველოში რეგისტრირებულია 24 დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო, მათ შორის ხვანჭყარა, ტვიში, ქინძმარაული, ახაშენი, მუკუზანი, წინანდალი და სხვა. სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებთან ერთად სწორედ ზემოაღნიშნული დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის წარმოების სპეციფიკაციასთან შესაბამისობა დგინდება.

გარდა სახელმწიფო კონტროლისა, ღვინის კომპანიის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის კიდევ ერთი მექანიზმი სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელებაა, რომლის მიზანია ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელისა და ყურძნისეული წარმოშობის სპირტის, ვაზის სამყნობი მასალისა და ვაზის სარგავი მასალის წარმოების, შენახვისა და რეალიზაციის დადგენილი წესების დარღვევის გამოვლენის უზრუნველყოფა და მათზე რეაგირება.

სახელმწიფო კონტროლის და სახელმწიფო ზედამხედველობის შედეგების გათვალისწინება ხორციელდება შესაბამისობის სერტიფიკატის გაცემისას და დაცული ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენების უფლების მქონე პირის სისპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში – „საქპატენტში“ რეგისტრაციის დროს, რაც შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც არაპირდაპირი სანქცია შეუსაბამობის არსებობისას.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ღვინის ხარისხზე საუბრისას ღვინის კატეგორიის ცვლილებაა. „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონ-

ის შესაბამისად, დასაშვებია დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო გადახარისხდეს დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის ღვინოდ, თუ იგი აკმაყოფილებს ახალი კატეგორიისათვის კანონით დადგენილ მოთხოვნებს. ამასთან, დასაშვებია დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოს, დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის ღვინოს მოეხსნას შესაბამისი კატეგორია – „ჩამოხარისხდეს“. აღნიშნული კატეგორიის ცვლილება დასაშვებია მეწარმის ინიციატივით ან/და სახელმწიფო კონტროლის საფუძველზე უფლებამოსილი მაკონტროლებელი ორგანოს გადაწყვეტილებით. მაგალითისათვის, ღვინის მწარმოებელ კომპანიას ნაშთში უფიქსირდება დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო „ქინძმარაული“, სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში განხორციელებული შემოწმებისას აღებული ნიმუშებზე ჩატარებული ლაბორატორიული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ამ კომპანიის ღვინო არ შეესაბამება ფიზიკო-ქიმიური მახასიათებლებისათვის მოქმედი ნორმებით დადგენილ ზღვრებს ან/და არ არის ნაწარმოები დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო „ქინძმარაულის“ წარმოების სპეციფიკაციით განსაზღვრულ მოთხოვნათა შესაბამისად, ღვინო „ქინძმარაულმა“ შესაძლოა შეიცვალოს კატეგორია და ჩამოხარისხდეს, პირობითად, როგორც საფერავი.

შემდგომი და ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი სერტიფიცირება – პროცედურა, რომელიც ხორციელდება იდენტიფიცირებული ალკოჰოლიანი სასმელის, სპირტის, ვაზის სამყნობი მასალისა და ვაზის სარგავი მასალის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად, რომელიც დარეგულირებულია „ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელისა და ყურძნისეული წარმოშობის სპირტის სერტიფიცირების წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 19 თებერვლის N2-82 ბრძანებით.

სავალდებულო სერტიფიცირებას ექვემდებარება:

► საქართველოში წარმოებული და სამომხმარებლო ბაზარზე სარეალიზაციოდ განკუთვნილი დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო და დაცული ადგილწარმოშობის დასახელების სპირტიანი სასმელი;

► ყველა კატეგორიის საექსპორტო ალკოჰოლიანი სასმელი და სპირტი (გარდა საექსპორტო ნიმუშებისა, თუ ნიმუში დაფასოებულია 5 ლიტრზე ნაკლები ტევადობის ტარაში და ერთ ჯერზე გასაგზავნი ნიმუშების საერთო მოცულობა 100 ლიტრს არ აღემატება);

► იმპორტირებული ალკოჰოლიანი სასმელის თითოეული პარტია, გარდა „საქართველოს მიერ სხვა ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების სამოქმედოდ დაშვების, შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტების აღიარების, შესაბამისი ნიშანდების მქონე პროდუქტის საქართველოში დამატებითი შესაბამისობის შეფასების პროცედურების გარეშე დაშვებისა და ასევე სხვა ქვეყნებში წარმოებული, რეგულირებული სფეროსათვის მიკუთვნებული პროდუქტის საქართველოს ბაზარზე შეზღუდვების გარეშე განთავსების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 მარტის N50 დადგენილებით განსაზღვრული ქვეყნებიდან იმპორტირებული პროდუქციისა, აგრეთვე, იმპორტირებული ალკოჰოლიანი სასმელის ნიმუშისა, თუ ნიმუში დაფასოებულია 5 ლიტრზე ნაკლები ტევადობის ტარაში და ერთ ჯერზე შემოსატანი ნიმუშების საერთო მოცულობა 100 ლიტრს არ აღემატება.

თვალსაჩინო რომ გახდეს ინსპექტირების ფარგლებში განხორციელებული შემოწმების მიზნობრიობა, მნიშვნელოვანია თავად სერტიფიცირების პროცედურის მოკლე ანალიზი, რომელიც მოიცავს ღვინის მწარმოებლის რეგისტრაციას განაცხადის საშუალებით (მატერიალური და ელექტრონული ფორმით), განმცხადებლის (ღვინის მწარმოებლის) მიერ თითოეული ლოტიდან ნიმუშების აღებას, ნიმუშის

ლაბორატორიულ კვლევას (ღვინო, სპირტიანი სასმელი), წერილობით მოთხოვნას ღვინის / სპირტიანი სასმელის სერტიფიცირების შესახებ, სადევუსტაციო კომისიის მიერ ორგანოლექტიკურ შემოწმებას. სერტიფიცირების ფარგლებში სახელმწიფო კონტროლისა და სახელმწიფო ზედამხედველობის შედეგების გათვალისწინებითა და შესაძლო რისკების ანალიზის საფუძველზე, ხორციელდება ინსპექტირება, რაც მოიცავს სერტიფიცირებისათვის წარდგენილი ალკოჰოლიანი სასმელის ან სპირტის ნიმუშის ლოტთან შესაბამისობის დადგენას.

წარმოების ეტაპის შემდგომ ადგილობრივ სამომხმარებლო ბაზარზე ხორციელდება მონიტორინგი, რაც გულისხმობს ეტიკეტის, სერტიფიკატის შემოწმებას, შერჩევითი მეთოდით ნიმუშის აღებას და სურსათის უვნებლობის კუთხით სახელმწიფო კონტროლის განხორციელებას.

სწორედ ზემოაღნიშნული პროცედურების დაცვისა და მიღებული შედეგების ანალიზით მიიღება გადაწყვეტილება სერტიფიკატის გაცემაზე ან მის გაცემაზე უარის თქმის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ღვინის მწარმოებელი კომპანიის მიერ წარმოდგენილი ნიმუში და ინსპექტირების ფარგლებში აღებული ნიმუში არ შეესაბამება მედვიწინობის დარგის მარეგულირებელი კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს, მიიღება გადაწყვეტილება, შესაბამისობის სერტიფიკატის გაცემაზე უარის თქმის შესახებ. საყურადღებოა, რომ ინსპექტირების განხორციელების უფლებამოსილება მაკონტროლებელ

ორგანოს სერტიფიცირების პროცედურის შემდგომაც შეუძლია, რაც გულისხმობს გაცემული შესაბამისობის სერტიფიკატის ფარგლებში არსებული ყურძნისეული სასმელის შემოწმებას. განმცხადებლის (ღვინის მწარმოებელი ფიზიკური ან/და იურიდიული პირი) მიერ სერტიფიცირების მიზნით ლოტთან შეუსაბამო ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელის ნიმუშის წარდგენა და მევენახეობა-მეღვინეობის დარგში პროდუქციის წარმოებასა და შენახვასთან დაკავშირებული ტექნოლოგიური პროცესების აღრიცხვისა და შეტყობინების წესების დარღვევა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და ამავე კოდექსის 1795 და 1052 მუხლებით ითვისისწინებს ადმინისტრაციულ სახდელს – ჯარიმას.

წარმოების ეტაპის შემდგომ ადგილობრივ სამომხმარებლო ბაზარზე ხორციელდება მონიტორინგი, რაც გულისხმობს ეტიკეტის, სერტიფიკატის შემოწმებას, შერჩევითი მეთოდით ნიმუშის აღებას და სურსათის უვნებლობის კუთხით სახელმწიფო კონტროლის განხორციელებას.

დასკვნის სახით კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ღვინის ხარისხის კონტროლი ღვინის მწარმოებელი კომპანიების მიერ შიდა საწარმოო კონტროლის დროს ხორციელდება. სწორედ მათივე კომერციული ინტერესიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია ხარისხიანი პროდუქტის წარმოება. სახელმწიფოს როლი კი საკანონმდებლო რეგულაციების შემუშავება და დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის დადგენაა. ამ მიზნის განსახორციელებლად მნიშვნელოვანია, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნათა გათვალისწინება, ევროკავშირის სამართლებრივ აქტებთან ქართული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია, რაც ხელს შეუწყობს ქართული ღვინის ექსპორტის ზრდას და უკვე დამკვიდრებული საერთაშორისო რეპუტაციის შენარჩუნებას.



მედიაცია: საადვოკატო საქმიანობის განხორციელების ახალი არმალი

ავტორი: ირაკლი ყანდაშვილი¹
სამართლის დოქტორი, პროფესორი

შესავალი

ყველა დროის საზოგადოებაში² ადამიანურ ურთიერთობებს ახასიათებს დავა³ და კონფლიქტი⁴. დავა საზოგადოების ყველა ფენას ეხება, განურჩევლად სოციალური კუთვნილებისა, დავა ყოველდღიური რეალობაა სამეწარმეო სუბიექტებს თუ მათი საქმიანობიდან გამომდინარე სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის⁵.

თანამედროვე საზოგადოება განსაკუთრებით მიდრეკილია დავებისადმი, რაც ავტომატურად იწვევს სასამართლოს გადატვირთულობას სარჩელეობით, განაპირობებს გახანგრძლივებულ და დროში გაჭიანურებულ მართლმსაჯულების სისტემას და მოდავე მხარეების ფინანსურ დანახარჯებს⁶. დავის მახასიათებელი დაძაბულობის, ნერვიულობის, ფიზიკური და ემოციური დესტაბილიზაციის, დავასთან დაკავშირებული დროის და ფინანსების დანახარჯის გათვალისწინებით საზოგადოება და სამეწარმეო სუბიექტები მუდამ ფიქრობდნენ და დღესაც ფიქრობენ თუ როგორ და რა მექანიზმებით მოახერხონ მათი მიმდინარე კონფლიქტური სიტუაციის განეიტრალება, დაძაბულობის კერების ეფექტური ჩახშობა და იმის მოხერხება, რომ ურთიერთობები კონფლიქტის მეორე მხარესთან გაგრძელდეს ჰარმონიულად.

ამ მიზნით, საზოგადოება დავის გადაწყვეტის ეფექტური გზების ძიებაში იყო მუდამ, რომელიც ყველაზე მე-

ტად დააკმაყოფილებდა მათ საჭიროებებს და მოერგებოდა მხარეთა რეალურ ინტერესებს, მსგავსი ძიება და დაგეგმარება ავტომატურად სამართლებრივ გზებამდე მიდის და ამ მართულებით, მათ შორის, მთავარი არის სახელმწიფოს სამართლებრივი პოლიტიკა ემთხვეოდეს საზოგადოების ინტერესს და საჭიროებას და თანმდევად პასუხობდეს იმ ინტერესს, რაც სახელმწიფოს მთავარ შემადგენელს – მოქალაქეებს აქვთ და ესაჭიროებათ.

საერთაშორისო პერსპექტივიდან მართი, ეფექტური, დროული და ხელმისაწვდომი დავის გადაწყვეტის მექანიზმებისა და ფორმების არსებობა არის დღევანდელი საჭიროება⁷.

შესაბამისად, კონფლიქტში ჩართული მხარეები მუდამ ცდილობდნენ მოეძიებინათ ის გზები და საშუალებები, რაც მათ კონფლიქტს, ნაცვლად გახანგრძლივებული პროცესისა და დამატებითი ფინანსური რესურსის ხარჯვისა, უფრო ეფექტურად გადაწყვეტდა და, მათ შორის, შეამცირებდა რისკებს⁸, დავის მხარეებს შეუნარჩუნებდა ერთმანეთთან შემდგომი ურთიერთობის გაგრძელების შესაძლებლობას⁹, რაც, როგორც წესი, შეუძლებელია გახანგრძლივებულ და არაპროგნოზირებადი სასამართლო საქმისწარმოების დროს¹⁰, თუმცა ობიექტურობა მოითხოვს, ამ ეტაპზე ვაღიაროთ, რომ კონფლიქტში მყოფ მხარეებს შორის დავის გადაწყვეტის უფრო გავრცელებული ფორმა სასამართლო საქმისწარმოებაა, ვიდრე მისი რომელიმე ალტერნატიული



საშუალებით მხარეებს შორის დავის გადაწყვეტის მცდელობა¹¹.

აღსანიშნავია, რომ ამ ყველაფრის ფონზე სახელმწიფოებრივი ინტერესიც თანხვედრი იყო და არის იმ საჭიროებისა, რაზეც ზემოთ არის საუბარი, რადგან ერთი მხრივ, მსგავსი შესაძლებლობების განვითარებით, სასამართლო ხელისუფლებას ეძლევა ერთგვარი განმუხტვის საშუალება, მასთან აკუმულირებული და მიმდინარე საქმისწარმოებების თვალსაზრისით, ხოლო მეორე მხრივ, სრულდება

დიდი სოციალური ფუნქცია, როდესაც მხარეები სასამართლოს ნაცვლად, სხვა კანონიერი გზებით დავის ამოწურვის მცდელობისას უფრო მეტად ინარჩუნებენ ერთმანეთთან ურთიერთობის რესურსს, რადგან ამ ალტერნატიული მექანიზმების გამოყენებით მხარეებს შორის მოგებული და წაგებული მხარის სინდრომი მათ არ ეუფლებათ, რაც უადვილებს საზოგადოების წარმომადგენლებს და ბიზნესს, ორმაგად, კონფლიქტში მყოფ მეორე მხარესთან გააგრძელონ თანაცხოვრება თუ საქმიანი ურთიერთობა. სხვა სიტყვებით

რომ ითქვას, როგორც სახელმწიფოს ინტერესშია მაკრო დონეზე, ასევე თითოეული დავის მხარის ინტერესშია მიკრო დონეზე¹² გამოინახოს დროის და ფინანსების კუთხით დავის ეფექტური გადაწყვეტის ისეთი მექანიზმი, რომელიც მისცემს მხარეებს, მათ შორის, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს, რესურსების რეალურად დაზოგვის საშუალებას და იქნება სოციალური მშვიდობის წინაპირობა.

აქვე აღსანიშნავია, რომ მოქალაქეებს შორის თუ პირებს შორის არსებული

სამართლებრივი დავის კანონიერი აღმოფხვრის სისტემის შექმნა სახელმწიფოს ვალდებულებაა. შესაბამისად, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების შექმნა, (რაც ერთგვარი კრებსითი¹³ სახელწოდებაა სხვადასხვა ალტერნატიული მექანიზმისა), ორგანიზება და ინსტიტუციონალიზაცია სახელმწიფოს მიერ¹⁴ ორკესტრირებული პროცესი უნდა იყოს ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოში, შესაბამისად, მართივითაა ლოგიკა, რადგან სახელმწიფო წარმოადგენს დავის ალტერნატიული საშუალებების სერვისების რეალურ

მიმწოდებელს მომხმარებლებსთვის, სასამართლო, თავის მხრივ, როგორც სახელმწიფო ხელისუფალი ვალდებულია იმ სამართლებრივი პოლიტიკის გატარებაზე, რაც არის დაკავშირებული დავის ალტერნატიული საშუალებების გამართულ საქმიანობას შეუწყოს ყოველმხრივ ხელი¹⁵, თუმცა ეს არ უნდა გახდეს სასამართლოსთვის მიმართვის და სასამართლოს ხელმისაწვდომობის გარანტირებული და აღიარებული უფლების ხელის შემშლელი¹⁶.

ზემოაღნიშნული საჭიროებების და რეალობის გათვალისწინებით, სავსებით ლოგიკური და შედეგობრივად პროგნოზირებადი იყო და არის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების, რომლებიც რეალურად წარმოადგენენ სოციალური¹⁷ დაძაბულობის და საზოგადოებაში არსებული კონფლიქტების შედეგიანი აღმოფხვრის ეფექტურ მექანიზმებს, ფართო გავრცელება და გამოყენება საზოგადოების წარმომადგენლების მხრიდან, ისევე როგორც სახელმწიფოების, მათ შორის საერთაშორისო დონეზე მათი პოლიტიკური თუ სამართლებრივი გაერთიანებების მყარად გამოვლენილი ნება, ხელი შეეწყოს მედიაციის მაგალითზე დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების დანერგვას ყოველდღიურობაში¹⁸. რაც თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბოლო წლების მანძილზე მართლაც მკვიდრდება თითქმის ყველა სახელმწიფოში, როგორც დავის გადაწყვეტის ყველაზე ეფექტური ალტერნატიული საშუალება, მედიაციისთვის მახასიათებელი ფორმების¹⁹ ჩათვლით. ამ კუთხით ისიც გასათვალისწინებელია, რომ რიგ ქვეყნებს ისტორიულად მოსდევთ მედიაციის მეთოდით ან მსგავსი ფორმებით დავების გადაწყვეტის გამოცდილება, რაც, როგორც წესი, დადებით როლს თამაშობს ამ ინსტიტუტის დღევანდელ სამართლებრივ სისტემაში ინტეგრირების თვალსაზრისით²⁰. მედიაცია განიმარტება, როგორც პროცესი²¹, რომელიც ხელს უწყობს კონფლიქტის მონაწილე მხარეებს თავად აღმოფხვრან სადავო საკითხები.

დღეისათვის მედიაცია წარმოადგენს ყველაზე სწრაფად განვითარებად დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებას მსოფლიოში²², რომელსაც ახასიათებს მესამე²³ დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ნეიტრალური პირის ჩართულობით²⁴, კონფიდენციალური და სტრუქტურირებული პროცესის ფარგლებში²⁵, კონფლიქტის მხარეებისათვის დავის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობის დელეგირება, რაც მედიაციის ევროპული²⁶ და არამხოლოდ აღქმის

კონფლიქტში ჩართული მხარეები მუდამ ცდილობენ მოემივიზნათ ის გზები და საშუალებები, რაც მათ კონფლიქტს, ნაცვლად გახანგრძლივებული პროცესისა და დამატებითი ფინანსური რესურსის ხარჯვისა, უფრო ეფექტურად გადაწყვიტდა

მთავარი მახასიათებელი თვისებაა. მედიაცია კონფლიქტის რეგულირების ეფექტურ ალტერნატიულ ინსტრუმენტს წარმოადგენს²⁷.

მედიაციის დამკვიდრების მთავარი მიზანია მხარეებს მიეცეთ შესაძლებლობა მათი ინტერესებისთვის საუკეთესო გადაწყვეტილებით დაასრულონ დავა და აღმოფხვრან კონფლიქტი საკუთარი ხელით²⁸, რა დროსაც უზრალოდ კი არ ასრულებენ მეორე მხარესთან დავას, არამედ ქმნიან წინაპირობას მხარესთან საქმიანი თუ პირადი ურთიერთობის სამომავლოდ ცივილურ ფორმებში გაგრძელების, რამაც მედიაცია რეალურად ეხმარება მხარეებს²⁹, რადგან მედიაციის დროს ის კი არ უნდა გაირჩეს თუ ვინ რა გააკეთა წარსულში, არამედ მხარეებმა საუკეთესო გამოსავალი უნდა მოიძიონ არსებული

ჩიხური სიტუაციიდან, რათა გაგრძელდეს სამომავლო ურთიერთბა მათი ინტერესების შესაბამისად³⁰; მედიაცია ეხმარება მხარეებს თვითგამორკვევაში, მოდავე მხარეების ერთმანეთისადმი მოთხოვნების რეალური მიზეზების და მიდგომის ამოცნობაში³¹. ხშირად შეხვედებით იურიდიულ ლიტერატურაში, რომ მედიაცია „მომავალზე ორიენტირებული პროცესის“³² სახელით მოიხსენიება³³; მედიაცია იძლევა საშუალებას მხარეებმა ხანგრძლივადიანი³⁴ შედეგი მიიღონ პროცესის წარმატებით წარმართვის და დასრულების შემთხვევაში, მით უფრო, რომ მედიაციის გამოყენება კონფლიქტში მყოფ მხარეებს დავის ნებისმიერ ეტაპზე შეუძლიათ, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ რაც უფრო ადრეულ³⁵ სტადიაზე მოხდება მედიაციის ინიცირება, მით უფრო მაღალია დავის შეთანხმებით დასრულების პერსპექტივა³⁶.

მედიაციის მეშვეობით მხარეები ცდილობენ საკუთარი სიმართლე შეათანხმონ ერთმანეთთან³⁷, რათა სამართლის ნორმებმა არ გადაწყვიტოს ის, რაც მათ მიაჩნიათ რომ არის სწორი, რადგან კარგად მოეხსენება ყველას, რომ რიგ შემთხვევაში სამართლიანობა და კანონიერება არ არის თანხვედრი თეზები, შესაბამისად, მედიაციის გამოყენებით მხარეები სწორედ საკუთარი სიმართლის დაფიქსირებას ცდილობენ შეთანხმების გზით, ხოლო რამდენად არის ეს სამართლიანი³⁸ ორივე მხარისთვის, ამაზე საბოლოო გადაწყვეტილება მხარეების მიერ არის მისაღები, ზოგადად სამართლიანობა მედიაციის ცნების მახასიათებელი სტანდარტია³⁹.

მედიაციის სწორედ აღქმისთვის მნიშვნელოვანია მხარეებს კარგად ესმოდეთ, რომ მედიაციით ისინი მუდამ სარგებელს იღებენ. კერძოდ, შესაძლოა მედიაცია კონკრეტული შეთანხმებით ვერ დაასრულონ, თუმცა მათ იმაზე კარგად ეცოდინებათ კონფლიქტის მიზეზების და დავის შესახებ ვიდრე ეს მედიაციის დაწყებამდე იყო, რაც შესაძლოა შემდგომში დავის დასრულების წინაპირობა გახდეს. შესაბამისად

მედიაციის პროცესში მონაწილეობას მხარეებისთვის ყოველთვის მოაქვს დადებითი შედეგი თუ მხარეს ესმის მედიაციის შინაარსი და იცის თუ როგორ გამოიყენოს ის ინფორმაცია, რაც ამ პროცესმა მისცა მას⁴⁰. ხშირია ლიტერატურაში, როდესაც მედიაციას ახასიათებენ ორივე მხარისთვის მომგებიან პროცესად (win-win Ldsung⁴¹), რადგან მედიაციის სწორი და ეფექტური გამოყენებით ორივე მხარეს შეუძლია საკუთარი ინტერესების სასარგებლო შეთანხმებას მიაღწიოს⁴²; მაშინ, როდესაც სასამართლო თუ საარბიტრაჟო საქმისწარმოების შედეგად დახარჯული ადამიანური თუ ფინანსური დანახარჯით ორივე მხარე დაზარალებულია, ხოლო ერთ-ერთი მხარის მიერ მიღწეული გამარჯვება მოჩვენებითი⁴³.

ადვოკატის როლი

დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებებზე როდესაც მიდის მსჯელობა, ხშირად მოისმენთ მოსაზრებას, რომ ამ ეტაპზე და განსაკუთრებით მედიაციაში ადვოკატის საჭიროება არ დგას, რადგან მხარეებს თავად შეუძლიათ სამართლისგან დაეცლილ და არაშეჯიბრებით პროცესში დაიცვან საკუთარი ინტერესები, რის ხარჯზეც ფინანსებიც დაეზოგებათ; არის ასევე მოსაზრება, რომ ადვოკატები, თავისი ბუნებით, კლიენტის ინტერესებზე იქნებიან ორიენტირებულნი და ხელს ვერ შეუწყობენ შეთანხმებელი პროცესის წარმატებით წარმართვას, თუმცა საკითხის არსის სწორად ანალიზის შემთხვევაში მივლივართ იმ დასკვნამდე, რომ ადვოკატი მხოლოდ დამატებითი ღირებულების შემქმნელია მსგავს პროცესში, რადგან მას შეუძლია მოახდინოს ინფორმაციის გადამუშავება, ფაქტობრივი გარემოებების უკან მდგომი სამართლებრივი რისკების ანალიზი, რაც სწორი პოზიციის ჩამოყალიბებაში დაეხმარება კლიენტს⁴⁴, ხოლო მეორე მხრივ, ადვოკატის გარეშე, მხარე მედიაციაში არ არის დაცული და ხშირ შემთხვევაში დამოუკიდებლად ვერ იღებს გადაწყვეტილებას ამა თუ იმ შეთანხმების პირობაზე, რომელიც თავისი ბუნებით სამართ-

ლებრივი შედეგის მომტანია მისთვის. წარმომადგენელი მედიაციაში ერთგვარად მშვიდობის „დამწყარბელია“⁴⁵ და მისი როლი შეუცვლელია.

დღეისათვის მრავალი იურისტი არის მედიაციაში ჩართული როგორც მედიატორი⁴⁶ ან მხარეების წარმომადგენელი მედიაციაში, ეს უკანასკნელი იურიდიულ პრაქტიკაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს⁴⁷. იურისტების ჩართულობა მედიაციაში ფუნდამენტური მნიშვნელობის არის⁴⁸,

დღეისათვის მედიაცია წარმოადგენს ყველაზე სწრაფად განვითარებად დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებას მსოფლიოში, რომელსაც ახასიათებს მესამე დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ნეიტრალური პირის ჩართულობით, კონფიდენციალური და სტრუქტურირებული პროცესის ფარგლებში, კონფლიქტის მხარეებისათვის დავის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობის დელეგირება

რადგან იურისტებს აქვთ უშუალო შესაძლებლობა მარწმუნებლებს გაუჩინონ მედიაციისადმი სწორი აღქმა და მოახდინონ მათი ეფექტური ჩართულობა მედიაციის პროცესში⁴⁹. მეორე მხრივ, იურისტები მხარეებისთვის მედიაციის შესახებ პირველადი წყაროს წარმოადგენენ და განმსაზღვრელ ფაქტორს დავის გადაწყვეტის აღნიშნული ალტერნატიული საშუალებისადმი ნდობის გაჩენის. მართალია, მედიაციის ფუნქციისა და შედე-

გებისადმი საზოგადოების გარკვეულ ნაწილს მცდარი წარმოდგენა აქვს⁵⁰, თუმცა ეს ახალი ინსტიტუტი ყოველდღიურად უფრო პოპულარული ხდება.

იმისათვის, რომ მედიაციამ, როგორც ახალმა ინსტიტუტმა გაამართლოს და პრაქტიკული შედეგები მოიტანოს, იგულისხმება ერთი მხრივ, დავების რეალურად შეთანხმებით დასრულების სტატისტიკა, რაც მეორე მხრივ, ავტომატურად უკავშირდება სასამართლოს გადატვირთულობის განტვირთვის მიზანს, მნიშვნელოვანია მასში ჩართულმა ყველა მხარემ სრულყოფილად და ზუსტად შეასრულოს მასზე ნაკისრი ვალდებულებები, იგულისხმება, რა თქმა უნდა, უპირველესად მედიატორი და პროცესის მონაწილე მხარეები, თუმცა თამამად შეიძლება ითქვას, რომ გადაწყვეტი რილი ამ პროცესში მხარეთა წარმომადგენლებს ენიჭებათ, რადგან სწორედ ადვოკატი არის ის პირი, რომელიც განსაზღვრავს მედიაციის წარმატებულად მიმდინარეობას, შესაბამისად მხარეთა მხრიდან მედიაციის მიზნებისთვის ადვოკატის შერჩევას დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს, რადგან ერთი მხრივ, ადვოკატს კარგად უნდა ესმოდეს მედიაციის არსი და მეორე მხრივ, ჰქონდეს მედიაციაში წარმომადგენლობის შესაბამისი გამოცდილება პრაქტიკული სახით, რადგან ადვოკატის თუნდაც ერთი შეუსაბამო სიტყვით და მიდგომით მეორე მხარისადმი, მედიაცია შეიძლება წარუმატებლობით⁵¹ დასრულდეს, ამაში მოიაზრება, რა თქმა უნდა, ადვოკატის მხრიდან თავისი კლიენტის მომზადება მედიაციისთვის. მედიაციაში წარმომადგენლის ფუნქციით აღჭურვილმა პირმა, რომელიც ხშირ შემთხვევაში სწორედ ადვოკატია, უნდა მოახერხოს და მხარეს დაანახოს სხვაობა⁵² მის რეალურ ინტერესებსა და მის მიერ დაყენებულ სამართლებრივ მოთხოვნებს შორის, რათა მხარემ, თავის წარმომადგენელთან ერთად, საკუთარ რეალურ ინტერესებზე მოახდინოს აქცენტირება და ოფციების შემუშავება შეთანხმების მიღწევის მიზნით.

ჯერ კიდევ მედიაციის თავდაპირველი ინიცირების ეტაპზე მარწმუნებელი სწორედ ადვოკატთან გადის კონსულტაციას იმის შესახებ, თუ რამდენად არის მედიაცია დადებითი მოვლენა მისი დავისთვის და ალბათ მარტივი წარმოსადგენია, რომ ქართულ რეალობაში, როდესაც მედიაცია არ არის დავის გადაწყვეტის ტრადიციული ალტერნატიული მექანიზმი და საზოგადოებრივი ინფორმირებულობის დონე მედიაციის შესახებ საკმაოდ დაბალია, ადვოკატის როლს და დანიშნულებას კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება. თუ არა ადვოკატის რეკომენდაცია⁵³ მედიაციის ინიცირების თაობაზე, მხარე მედიაციის გამოყენებისგან თავს შეიკავებს⁵⁴. მედიაცია არის ყველაზე კარგი საშუალება, რათა ადვოკატმა ერთი მხრივ, გაივარჯიშოს მოლაპარაკებებში და მეორე მხრივ, კლიენტის ინტერესებს მოემსახუროს, რადგან აძლევს მათ საშუალებას თავად გადაწყვიტონ საკუთარი ბედი⁵⁵. თუმცა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ადვოკატის ფუნქცია არის არა ის რომ „კარგი“ ან „ცუდი“ უთხრას მედიაციის შესახებ კლიენტს, არამედ დავის არსის და მოცემულობის საფუძველზე მოახდინოს იმის შეფასება, რამდენად არის კლიენტის ინტერესებისთვის მედიაცია ყველა კონკრეტულ შემთხვევაში დავის გადაწყვეტის სწორი მექანიზმი, ანუ ადვოკატი უნდა დაეხმაროს კლიენტს, რომ ამ უკანასკნელმა მიიღოს მედიაციის გამოყენების შესახებ ინფორმირებული გადაწყვეტილება.

ბევრი ადვოკატი მედიაციაში იღებს მონაწილეობას⁵⁶, ან როგორც მხარის წარმომადგენელი ან როგორც უშუალოდ მედიატორი და მათი პროცესში ჩართულობა ხელს უწყობს მედიაციის დამატებით პოპულარიზაციას და ცნობადობის გაზრდას საზოგადოებაში. მედიაციის პროცესში წარმომადგენლის სტატუსით ჩართული ადვოკატები ერთგვარად პროცესში მონაწილეობით იღებენ ვალდებულებას კონსტრუქციული⁵⁷ ჩართულობის და მხარეებისათვის მოლაპარაკების წარმოებაში დახმარების, რათა საკუთარი როლის წინა პლანზე წამოწევიტ ხელი არ შე-

ეშალოს მხარეთა შორის მორიგების მიღწევის პერსპექტივას.

აღსანიშნავია, რომ მედიაციის დანერგვის პარალელურად ყველა იურისდიქციაში ადვოკატის ერთგვარ ვალდებულებად⁵⁸ იქცა მხარეს მიაწოდოს სრული და ამომწურავი ინფორმაცია დავის გადაწყვეტის აღნიშნული ალტერნატიული საშუალების შესახებ, რათქმა უნდა, საბოლოო გადაწყვეტილება აღნიშნული მექანიზმის გამოყენების შესახებ მხარის პრეროგატივაა⁵⁹, თუმცა ადვოკატი თავის მხრივ ვალდებულია მინიმუმ ინფორმაცია მიაწოდოს ასეთი საშუალების არსებობის და მისი დადებითი თუ უარყოფითი მხარეების შესახებ, კონკრეტული დავის მიზნებისთვის მისცეს მარწმუნებელს რჩევა. ადვოკატმა მარწმუნებელს ისიც ნათლად უნდა აუხსნას, რომ მედიაციაში მხარემ საკუთარ ინტერესებზე და არა სამართლებრივ საფუძვლებზე უნდა გააკეთოს მთავარი აქცენტი, ისევე როგორც თავად უნდა განსაზღვროს მედიაციის შინაარსი და მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება, რა კუთხითაც ადვოკატი იქნება მისი მრჩეველი და წარმომადგენელი, თუმცა სრული პასუხისმგებლობა შედგებე მხარეს ეკისრება. მედიაციაში წარმომადგენლობა, მათ შორის ადვოკატის მხრიდან, გულისხმობს საკუთარი მარწმუნებლისთვის პროცესის შესახებ სრული ინფორმაციის მიწოდებას, სწორი რჩევის მიცემას მედიაციის საჭიროების შესახებ კონკრეტული დავის მიზნებისთვის და ასევე, დავის შინაარსიდან გამომდინარე, შესაფერისი ცოდნის, გამოცდილების და უნარების მქონე მედიატორის შერჩევას⁶⁰.

ამ კუთხით არც საქართველო წარმოადგენს გამონაკლისს და 2012 წლის 8 დეკემბრის ცვლილებებით, რაც განხორციელდა ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კოდექსში, მსგავსი ეთიკური ვალდებულება გაჩნდა ასევე საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კოდექსში⁶¹.

მედიაცია არ წარმოადგენს ყველაფერის მკურნალს⁶², მედიაციის მიუ-

ხედავად მხარეები მაინც შეიძლება სასამართლოს იურისდიქციამდე მივიდნენ⁶³, თუმცა მის შესახებ ყველა იმ პირმა უნდა იცოდეს ვისაც დავასთან აქვს შემხებლობა, განსაკუთრებით ადვოკატებმა კარგად უნდა იცოდნენ მედიაციის ადგილის და როლის შესახებ სამართლებრივ სისტემაში, რადგან მისი გამოუყენებლობით კარგავენ ახალი შესაძლებლობებით სარგებლობის საშუალებას. მედიაცია შეიძლება გახდეს მკურნალი, თუ მოხდება მიმდინარე დავის სწორი ანალიზი, ერთგვარი „კონფლიქტის სკრინინგი“⁶⁴, რაც გახდება მისი გადაწყვეტის, მინიმუმ გადაწყვეტის სწორი გზების დასახვის წინაპირობა.

მედიაციაში ადვოკატებს უწევთ სამართლებრივი მიდგომის ტრანსფორმირება და წლების მანძილზე გამოუმუშავებული მიდგომების დროებითი ცვლა, კერძოდ, ისეთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი დავისთვის საკითხი, როგორც არის სამართლებრივი საქმისწარმოების მთავარი არსი, თუ ვინ ვის რას სთხოვს და რის საფუძველზე⁶⁵, მედიაციაში დროებით ერთგვარად ნიველირდება, რადგან მედიაციაში შეთანხმების მიღწევის მიზნებისთვის მხარეებს უწევთ ერთგვარ კომპრომისებზე წასვლა, თუ მათთვის შეთანხმების მიღწევა და საკითხის საფუძვლიანად ამოწურვა წარმოადგენს მთავარ პრიორიტეტს, რის შესაძლებლობას მედიაცია აძლევს მხარეებს. ამ პროცესში მხარეები არიან ის პირები⁶⁶, რომლებმაც ყველაზე კარგად იციან თუ რა არის შესაძლებელი შეთანხმების მიღწევისთვის და რისთვის არიან მზად, რომ შეთანხმდნენ. მედიაციაში არ ხდება საკითხის სამართლებრივი სისწორის მიხედვით გადაწყვეტა, არამედ ხდება კონფლიქტის, დაპირისპირების, დავის შესახებ მხარეების მხრიდან შეთანხმება⁶⁷. შესაბამისად, ალბათობა მაღალია, რომ ამ ნაწილში გაჟღერებულ მთავარ კითხვას – თუ ვინ ვის რას და რის საფუძველზე სთხოვს, მედიაციაში დასახული მიზნებისთვის ამა თუ იმ მხარისთვის არ იყოს მთავარი პრიორიტეტი, რის სწორად კონსტრუირებაში ადვოკატმა აუნ-

და შესარულოს მნიშვნელოვანი როლი მარწმუნებლის სასარგებლოდ და ინტერესების გათვალისწინებით.

იმისთვის, რომ ადვოკატი იყოს წარმატებული წარმომადგენელი მედიაციაში მას ესაჭიროება სპეციალური მომზადება, რადგან ის უნარები რაც ადვოკატს აქვს საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისთვის შეძენილი, არ არის საკმარისი მედიაციაში სრულფასოვანი წარმომადგენლობისთვის⁶⁸. ამ პროცესში, რასაც მედიაცია ჰქვია, ადვოკატს უნდა ჰქონდეს ზუსტი წარმოდგენა თუ რასთან აქვს შემხებლობა; მას უნდა ჰქონდეს ერთი მხრივ, სრული ინფორმაცია მედიატორების შესახებ, მათი საქმიანობის შესახებ, ისევე როგორც, იცოდეს თუ როგორ უნდა შეარჩიოს საქმისთვის სწორი და საჭირო მედიატორი⁶⁹, რას უნდა მოელოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში აღმოჩნდება წამგებიან მდგომარეობაში, რითიც მისი კლიენტის ინტერესი ზარალდება. გასათვალისწინებელია, რომ იურიდიული სკოლები მედიაციის პრაქტიკულ უნარებში არ ამზადებენ⁷⁰ მომავალ იურისტებს და შესაბამისად, ჩნდება ლოგიკური კითხვა – თუ როგორ შეიძლება იურისტი იყოს წარმატებული მედიაციაში?

ხშირია, როდესაც ადვოკატები ამა თუ იმ საქმის წარმოებას და მის შედეგს თავის თავს უკავშირებენ და საკუთარ საქმედ აღიქვამენ, მაშინ როდესაც ეს საქმე კონკრეტული კლიენტის საქმეა და ის იგებს ან აგებს დავას⁷¹, შესაბამისად, კლიენტებს ყოველთვის ურჩევნიათ ნაკლები დროის და ფინანსების დანახარჯით მოუგვარდეთ კონფლიქტი და თუ ამაში ადვოკატი ეფექტურად დაეხმარება, კლიენტი ამ ყველაფეს ორმაგად ითვალისწინებს. შესაბამისად, მედიაციის სწორი გამოყენება ადვოკატების მხრიდან და მისი სწორი აღქმა ურთიერთსასარგებლო პროცესია დავის მიმდინარეობისას; მთავარია, ადვოკატს სწორად ესმოდეს მედიაციის მიზნები და მხოლოდ ამის შემდგომ გაუადვილდება მედიაციის პროცესის აღქმა⁷².

შესაბამისად, ერთი მხრივ ადვოკატებს უნდა სჯეროდეთ მედიაციის ეფექტურობის, რომ მედიაცია რეალურად შედეგის მომტანია, და ადვოკატებს არ უნდა ჰქონდეთ მედიაციის მიმართ საკუთარი თავის კონკურენტის ან საქმიანობის „წარმომევის“ განცდა. ამ მიმართულებით ადვოკატთა ასოციაციის სწორი პოლიტიკის გარეშე, მედიაცია საქართველოში, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვერ გაამართლებს ან გაცილებით დიდი დრო დასჭირდება მის რეალურ, წარმატებულ ინსტიტუტად ჩამოყალიბებას, ვიდრე ადვოკატთა

მედიაციის დანერგვის კარალელურად ყველა იურისდიქციაში ადვოკატის ერთგვარ ვალდებულებად იქცა მხარეს მიაწოდოს სრული და ამომწურავი ინფორმაცია დავის გადწყვეტის ალტერნატიული საშუალების შესახებ, რათქმა უნდა, საბოლოო გადაწყვეტილება აღნიშნული მექანიზმის გამოყენების შესახებ მხარის პრეროგატივაა

ასოციაციის სწორი ჩართულობით ამ დიდ პროცესში, რასაც მედიაციის საქართველოში დამკვიდრება ჰქვია.

საერთაშორისო დონეზე საინტერესო დისკუსია მიმდინარეობს იმასთან დაკავშირებით, რომ მედიაციაში ჩართული წარმომადგენელი უნდა იყოს თუ არა სავალდებულოდ ადვოკატი⁷³, რაზეც იურიდიული საზოგადოების დიდი ნაწილი შეგერდა, რომ ეს ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში ქვეყნის შიდა კანონმდებლის გადასაწყვეტია, ყველა კონკრეტული ქვეყნის საჭიროებების და რეალობის გათვალისწინებით⁷⁴. თუმცა, წლებია დამკვიდრდა პრაქტიკა

საერთაშორისო დონეზე, რომ ადვოკატი-წარმომადგენლის შემთხვევაში დამატებითი ღირებულება აქვს პროცესს, განსაკუთრებით რთული კომერციული დავების მედიაციის დროს, რადგან დარგის სპეციალისტი ადვოკატის⁷⁵ მიერ შესრულებული მედიაცია მხარეებს ხშირ შემთხვევაში წარმატების წინაპირობად მიაჩნიათ. თუმცა, ადვოკატი მედიაციაში უპირატესად მხარეების ინტერესებზე ორიენტირებულ დიალოგს აწარმოებს და არა სამართლებრივი ნორმების⁷⁶ შინაარსზე და სამართლებრივ შეფასებებზე აკეთებს აქცენტებს, რაც, თავის მხრივ, მათ მარწმუნებელსაც უადვილებთ საკითხში გარკვევას და პროცესის მიმდინარეობაში აქტიურად ერთგვიან. უფრო მეტიც, არა-ადვოკატი წარმომადგენლებიც ხშირ შემთხვევაში ადასტურებენ, რომ ადვოკატის ჩართულობით მედიაცია უფრო წარმატებული პროცესია⁷⁷.

იურისტების ჩართულობა მედიაციაში ფუნდამენტური მნიშვნელობის არის⁷⁸, რადგან იურისტებს აქვთ უშუალო შესაძლებლობა მარწმუნებლებს გაუჩინონ მედიაციისადმი სწორი აღქმა და მოახდინონ მათი ეფექტური ჩართულობა მედიაციის პროცესში. მეორე მხრივ, იურისტები მხარეებისთვის მედიაციის შესახებ პირველად წყაროს და დავის გადაწყვეტის აღნიშნული, ალტერნატიული საშუალებისადმი ნდობის გაჩენის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენენ.

ამასთანავე, ადვოკატი-წარმომადგენლის შემთხვევაში მედიაციაში, მასზე ვრცელდება ის ეთიკური წესები და სტანდარტები, რაც იმ კონკრეტულ ქვეყანაში ადვოკატთა ეთიკის კოდექსით⁷⁹ არის გათვალისწინებული, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ, როგორც წესი, შესაძლებელია წარმომადგენლის ფუნქცია შესარულოს არაადვოკატმა პირმაც, უპირაინა მედიაციის კუთხით დაწესდეს ის მინიმალური სტანდარტები, რასაც მედიაციაში ჩართული მონაწილე პირები, როგორც წარმომადგენლები დაექვემდებარებიან. ფაქტი ერთია, წარმომადგენელი იქნება ადვოკატი თუ არაადვოკატი პირი, მათ



თანაბრად ეკისრებათ ის ვალდებულებები, რაც წარმომადგენლის მთავარი ფუნქციაა მედიაში:

► სწორად შეაფასონ საქმე და ურჩიონ მარწმუნებელს თუ რამდენად შესაფერისია აღნიშნული დავა მედიაციისთვის⁸⁰;

► აუხსნან მარწმუნებელს მედიაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები და დანიშნულება;

► მარწმუნებლის ინტერესებისთვის „მებრძოლის“ ფუნქცია „სწორი მრჩევლის“ ფუნქციით უნდა ჩაანაცვლოს, რათა მარწმუნებელს შეთანხმების მიღწევაში დაეხმარონ⁸¹;

► სწორ დროს⁸² ურჩიონ მარწმუნებელს მედიაციის ინიცირება, რადგან ხშირია შემთხვევა, როდესაც მხარეები არ არიან მზად მედიაციისთვის და მის ინიცირებას ასეთ დროს როგორც წესი არ მოჰყვება წარმატება. შესაბამისად, ის თუ რამდენად შესაფერისი დრო და ეტაპია მედიაციის დაწყებისთვის კარგად უნდა შეაფასოს ადვოკატმა და ურჩიოს თავის კლიენტს;

► მოახდინონ საკითხის სწორი ანალიზი, კერძოდ, მეორე მხარის მიერ მედიაციის ინიცირებას ხომ არ აქვს ის მიზანი, რომ მედიაციის პროცესში შესწავლილ იქნეს მეორე მხარის სუსტი პოზიციები⁸³ და მედიაცია რეალურად არ ემსახურება საქმეზე შეთანხმების მიღწევას, ან პირიქით, ასეთის საჭიროების შემთხვევაში თავად მოახდინოს მსგავსი პროცესუალური ნაბიჯის ინიცირება, კლიენტთან შეთანხმებით და თანხმობით (ე.წ. „თევზაობის პრინციპი“⁸⁴);

► შეარჩიონ სწორი მედიატორი საქმეზე;

► განსაზღვრონ პირთა წრე თუ ვინ არის საჭირო მედიაციაში ჩართვის მიზნით;

► გასწიონ სრული კონტროლი მედიაციის ყველა ეტაპზე;

► იმუშაონ მედიაციის პროცესში გაფორმებული შეთანხმების პირობებზე;

► შეარჩიონ და შეათანხმონ კლიენტისთვის საუკეთესო პირობა მხარესთან;

► იურიდიულ მრჩევლებს მედიაციაში კარგად უნდა ესმოდეთ, რომ ის რჩევა, რაც მედიაციის დაწყებამდე აქვთ მხარისთვის მიცემული, შესაძლოა რამდენჯერმე შეცვალონ⁸⁵ უშუალოდ მედიაციის დაწყების შემდგომ, რადგან მხარეების მიერ შეთანხმების მიზნებისთვის გაცვლილი პირობები ხშირად მოითხოვს სამართლებრივად პოზიციის ტრანსფორმირებას. შესაბამისად, ერთი მხრივ იურიდიული წარმომადგენლები ამისთვის მზად უნდა იყვნენ, თუმცა, მეორე მხრივ, საკუთარი მარწმუნებელი ასევე გაფორმებული უნდა ჰყავდეთ წინასწარ, რომ მედიაციას მსგავსი თავისებურება ახასიათებს, რათა თავად არ დაკარგონ კლიენტის რწმენა მისი კვალიფიკაციისადმი;

► შეადგინონ შეთანხმების აქტი და სამართლებრივად უზრუნველყონ მისი გამართულობა;

► დროულად მოახდინონ მედიაციის გაგრძელების უპერსპექტივობის იდენტიფიცირება და შეწყვიტონ მედიაცია.

იმის გათვალისწინებით, რომ დღეს რეალურად მართლმსაჯულებისთვის

გამოწვევად რჩება სამოქალაქო დავებზე პირველ ინსტანციაში ნებისმიერი პირის წარმომადგენლად დაშვების შესაძლებლობა, რაც ხარისხიანი მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს და თუ გავითვალისწინებთ იმ პოზიციას, რაც ერთი მხრივ ადვოკატთა ასოციაციის ღია პოზიციას, ისევე როგორც იურიდიული საზოგადოების დიდი ნაწილის, რომ სავალდებულო უნდა გახდეს ადვოკატის ყოლა პირველი ინსტანციის სასამართლოებში, გასაგები ხდება, რომ უახლოეს პერიოდში მედიაციის პროცესის წარმოებაც ადვოკატის გარეშე შეიძლება წარმოუდგენელი გახდეს, რაც დამატებით ზრდის ადვოკატთა როლს და მნიშვნელობას მედიაციის, როგორც დავის ალტერნატიული საშუალების, წარმატებით გამოყენებაში ქართულ რეალობაში.

ამ ყველაფერზე ბევრი შეიძლება ითქვას და დაიწეროს, თუმცა ამ ეტაპზე დავაინტროვებ სათქმელს იმ უალტერნატიულო საკითხზე, რასაც მედიაციაში ჩართული ადვოკატისთვის უნდა იყოს მახასიათებელი თვისება⁸⁶, რაც მათ თავად, როგორც მედიაციაში წარმომადგენლებს, შეუწყობთ ხელს მიმდინარე დავის შეთანხმებით დასრულებისკენ წაიყვანონ პროცესი, რადგან ადვოკატებისთვის ერთგვარი გამოწვევაა მედიაცია, იმის გათვალისწინებით, რომ მათი მთავარი ფუნქცია იყო კლიენტის ინტერესებისთვის ბრძოლა და იმის მტკიცება, რომ კლიენტის მოთხოვნები სრულად უნდა კმაყოფილდებოდეს, ხოლო მედიაციაში მათ სხვაგვარად უნდა შეხედონ რეალობას, რაც მათში გარკვეულ ფსიქოლოგიურად⁸⁷ სწორ მიდგომას და ანალიზს საჭიროებს, რაც სიახლეა მოქმედი, მით უფრო დიდი გამოცდილების მქონე ადვოკატებისთვის.

მსგავსი უნარები და მედიაციის წარმოების ტექნიკა რთულია ამოწურვადი იყოს, თუმცა რამდენიმე ძირითად საკითხს შეიძლება შევხვით, რაც, მათ შორის, აღიარებულია საერთაშორისო პრაქტიკაში გამოყენებით⁸⁸:

► იმის გათვალისწინებით, რომ მედიაციაში მედიატორის ფუნქცია არის მიმდინარე პროცესისთვის ფასილიტაციის გაწევა, რა დროსაც ძირითად საქმეს მხარეები და მათი წარმომადგენლები ახორციელებენ, თავისთავად ცხადია, რომ ადვოკატს და მისი კომუნიკაციის უნარს გადაწყვეტი დატვირთვა ენიჭება, რადგან ერთი მხრივ, ადვოკატის მხრიდან უშუალოდ თავის მარწმუნებელთან სწორ და დროულ კომუნიკაციას შეუძლია გადაწყვიტოს მედიაციის საბოლოო ბედი. აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ მედიაციაში მედი-

ადვოკატი-წარმომადგენლის შემთხვევაში მედიაციაში, მასზე ვრცელდება ის ეთიკური ნუსები და სტანდარტები, რაც იმ კონკრეტულ ქვეყანაში ადვოკატთა ეთიკის კოდექსით არის გათვალისწინებული

ტორს რაიმე სახის სამართლებრივი რჩევის ან შეფასების მიცემის შესაძლებლობა მხარეებისათვის შეზღუდული აქვს, ამიტომ, რა თქმა უნდა, მხარე სრულად დამოკიდებულია თავისი წარმომადგენლის რჩევასა და ანალიზის უნარზე, რაც, მათ შორის, დროულ კომუნიკაციას მოითხოვს ადვოკატების მხრიდან კლიენტთან, მათ შორის მედიატორთან და რა თქმა უნდა მეორე მხარესა და მის ადვოკატთან ურთიერთობის პროცესში.

► მედიაციაში მონაწილე ადვოკატი კარგად უნდა ფლობდეს მოლაპარაკებების ტექნიკას, კარგად იცოდეს თუ როგორ შეუძლია მედიატორის სწორედ გამოყენება კლიენტის ინტერესების მიზნებისათვის და კარგად უნდა ფლობდეს ინფორმაციის მიღების და გადამუშავების უნარს, რადგან სწორედ ინფორმაციის სწორი ანალიზი აძლევს მხარეს მედიაციაში საკუთარი ინტერე-

სების გათვალისწინებით შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობას⁸⁹.

► ძალიან მნიშვნელოვანია ადვოკატი ფლობდეს კითხვის დასმის ტექნიკას⁹⁰, რათა სწორად გააანალიზოს პროცესის მიმდინარეობისას ინფორმაცია, რომელიც ჯერ უნდა მიიღოს მედიატორისგან და მეორე მხარისგან. აქ ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ მედიაციის პროცესში მედიატორს აქვს, როგორც წესი, სრული ინფორმაცია ორივე მხარისგან, თუმცა მისი გამჟღავნების უფლებამოსილება ჯერ მისთვის მხარეებს არ მიუციათ, ამიტომ ორმაგად მნიშვნელოვანია ადვოკატის უნარი, დაუსვას მედიატორს სწორი კითხვა და ის ინფორმაცია მიიღოს, რისი ანალიზი მის მარწმუნებელს გარკვეულ დასკვნებს გააკეთებინებს პროცესის შემდგომი დაგეგმარების კუთხით.

► მნიშვნელოვანია ასევე ადვოკატის უნარი, იყოს „აქტიური მსმენელი“⁹¹, რადგან მედიაციის პროცესში გროვდება დიდი ინფორმაცია და ამ ინფორმაციას, რომელიც მომდინარეობს მეორე მხარისგან და პროცესის მედიატორისგან, სჭირდება სრულად მიღება. როგორც პრაქტიკა აჩვენებს, ხშირია შემთხვევები, როდესაც წარმომადგენელი იღუბა ინფორმაციის მიღებისგან ან მიაჩნია, რომ ისმენს არარელევანტურ ინფორმაციას, რაც შეიძლება იყოს კიდევ სახეზე, თუმცა მას უნდა გააჩნდეს უნარი მოისმინოს სრულად, ხოლო შემდგომ ამისა განახორციელოს მნიშვნელოვან და მეორე მხარისთვის ინფორმაციას შორის დიფერენცირება.

ე) ზემოაღნიშნული თვისებიდან ურთიერთგამომდინარე ადვოკატისთვის სავალდებულოდ საჭირო თვისება, რაც მედიაციის პროცესში წარმომადგენელს სჭირდება – ეს არის ანალიტიკური აზროვნების უნარი, რაც რიგ შემთხვევაში განსაზღვრული ფაქტორი ხდება პროცესის სწორად განვითარებისთვის. მოსმენილი და დაგროვილი ინფორმაცია ითხოვს მხარისგან სწორ ანალიზს, რასაც მხარე ცხელ

გულზე ვერ მოახდენს და ეს ფუნქცია და ვალდებულება ადვოკატმა უნდა იტვირთოს. როგორც წესი, როდესაც ანალიზზე მიდის საუბარი, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ადვოკატი არის ის ფიგურა, რომელიც მედიაციის პროცესში მეორე მხარისგან უხვად შეთავაზებული შეთანხმების პირობებს აანალიზებს, და ახდენს მათგან მისი მარწმუნებლისთვის საუკეთესოს არჩევას.

ვ) მნიშვნელოვანია ადვოკატს ჰქონდეს კრეატიული აზროვნების უნარი, რადგან, რიგ შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ მედიაციაში არ ხდება საკითხის სამართლებრივი გადაწყვეტა და რიგ შემთხვევაში ხდება მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი მოთხოვნებისგან ალტერნატიულ პირობებზე შეთანხმება, მნიშვნელოვანია ადვოკატს შეეძლოს აღნიშნული ოფციების შემუშავება, მხარის სამართლებრივი მიზნის გათვალისწინებით, რაც მართლაც მოითხოვს საკითხისადმი კრეატიულად და შემოქმედებითად მიდგომას, და არა შაბლონური სამართლებრივი დოგმატიკით საკითხის გადაწყვეტის მცდელობას.

ზ) ამასთანავე, მნიშვნელოვანია ადვოკატს გააჩნდეს უნარი მოახდინოს ვიზუალიზება იმ ინფორმაციის, რაც მედიაციის პროცესში იცვლება, რადგან ხშირია შემთხვევები, როდესაც ვიზუალური საშუალებების გამოყენებისას, მათ შორის მარწმუნებელი ახდენს აღქმას თუ რა პირობები იცვლება შეთანხმების პროცესში და რომელი პირობა როგორი შინაარსის შემცველია, შესაბამისად, ამ ყველაფერში ვიზუალიზაციის უნარების ქონას, რიგ შემთხვევაში გადაამწყვეტი როლი ეკისრება.

თ) მედიაციაში ადვოკატი ყველა სხვა ფუნქციასთან ერთად აწარმოებს მოლაპარაკებას მეორე მხარესთან და მის წარმომადგენელთან, რაშიც რა თქმა უნდა იყენებს მედიატორს, თუმცა მოლაპარაკების დამგვემავი, სტრატეგიის განმსაზღვრელი და უშუალოდ განმხორციელებელი თავად ადვოკატი გახლავთ. მედიატორების

როის როლს და გამოყენების ყველაზე ეფექტურ შემთხვევებს და საჭიროებებს ასევე ადვოკატი გეგმავს და შესაბამისად ათანხმებს კლიენტთან. მედიაციაში ადვოკატს ერთდროულად მრავალ საკითხთან უწევს შემხებლობა, გამკლავება, დაგეგმარება და შესაბამისად, ამ ყველაფრის ნაწილში ადვოკატის მომზადება აუცილებელია იურიდიული პროფესიის მიერ, შეიძლება ითქვას, რომ წარმომადგენლის ფუნქცია კიდევ უფრო რთულია მედიაციაში, მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით, ვიდრე ის ფუნქცია,

**მოლაპარაკების
დამგვემავი, სტრატეგიის
განმსაზღვრელი
და უშუალოდ
განმხორციელებელი
თავად ადვოკატი
გახლავთ. მედიატორის
როლს და გამოყენების
ყველაზე ეფექტურ
შემთხვევებს და
საჭიროებებს ასევე
ადვოკატი გეგმავს და
შესაბამისად ათანხმებს
კლიენტთან**

რასაც ადვოკატი სასამართლოებში ახორციელებს, როდესაც სამართლებრივ ჩარჩოში ათავსებს მხარის მოთხოვნებს და პოზიციებს და შემდგომ ამ პოზიციის დასაბუთებას ახდენს უშუალოდ პროცესზე. მედიაციაში წარმომადგენლად ჩართულ პირს კარგად უნდა ესმოდეს²¹ თუ რა სახის დავის მოლაპარაკებაშია ჩართლი, ვისთან აქვს უშუალოდ შეხება, იგულისხმება მეორე მხარე თავისი ინტერესებით და რიგ შემთხვევაში მეორე მხარის წარმომადგენელი მისი უნარებით მოლაპარაკებაში, თავად მის მარწმუნებელს რა ინტერესების შეთანხმება და გაწერა სურს მედიაციის შეთანხმებაში, რა კონკრეტული ნა-

ბიჯების გადადგმა ესახება ადვოკატს საჭიროდ, რომ მიიღოს დაგეგმილი შედეგი და რა არის ის კონკრეტული ამ დავისთვის მახასიათებელი ფაქტობრივი გარემოებები, რითაც წარმატებით შეუძლია „ვაჭრობა“ მეორე მხარესთან და რამდენად არის ეს ყოველივე მყარი და რა სუსტი წერტილები შეიძლება გამოუჩნდეს მის ამ გეგმას.

მედიაციაში ჩართულმა ადვოკატებმა, იმისთვის, რომ მიაღწიონ წარმატებას დამატებით²² რამდენიმე საკითხს უნდა მიაქციონ ყურადღება, კერძოდ:

ა) ადვოკატებმა უნდა გააკონტროლონ მედიაციაში ერთმანეთის მიმართ და მოწინააღმდეგე მხარისადმი გამოსაყენებელი ლექსიკა, უფრო მეტიც, რაიმე სახის ბრალდებითი შინაარსის მიმართვა და წინადადებების გამოყენება შეიძლება გახდეს მეორე მხარის მხრიდან უარყოფით მიდგომის გამომწვევი, შესაბამისად, ამ გარემოებას მედიაციაში ჩართულმა ადვოკატებმა დიდი მნიშვნელობა უნდა მიაქციონ, რათა უნებლიედ ნაცვლად შეთანხმებისკენ სვლისა, არ გამოიწვიონ მხარეების ერთმანეთსადმი კიდევ უფრო გაუცხოება და დაძაბულობა;

ბ) ადვოკატებმა თავი უნდა ჩააყენონ მეორე მხარის ადგილას და ამ კუთხით შეაფასონ საკუთარი შეთავაზებები მეორე მხარისადმი, თუ რამდენად შეიძლება მეორე მხარისთვის მისაღები იყოს ის შეთავაზება, რასაც თავად აჟღერებენ;

გ) ადვოკატებმა უნდა გააკეთონ ის, რაც ყველაზე კარგად ეხერხებათ: მოემზადონ, კერძოდ, კარგად იცოდნენ საკუთარი საქმის ყველა ძლიერი და სუსტი მხარე და საკუთარი კლიენტის ყველა ინტერესი და სურვილი, ისევე როგორც მისი შეთანხმების შესაძლებლობების მაქსიმუმი და მინიმუმი, რაზეც კლიენტი არის შეთანხმების მიღწევის მიზნით წამსვლელი. მედიაციის შესახებ ჩატარებული არაერთი კვლევა აჩვენებს, რომ მედიაციისთვის კარგად მომზადებული მხარეები არის უპირო-

ბო წინაპირობა²⁴ დავის შეთანხმებით დასრულებისა;

დ) მედიაციის პროცესში ადვოკატმა უნდა მოახდინოს სწორი დროის შერჩევა იმისთვის, რათა მისმა მხარემ (თავად ან ადვოკატის მეშვეობით) მეორე მხარეს გაუკეთოს პირველი შეთავაზება კონკრეტული პირობებით დავის შეთანხმებით დასრულების მიზნისათვის, ისევე როგორც სწორედ იყოს ის გააზრებული თუ რა მოცულობის შეთავაზება უნდა გაკეთდეს, ანუ მაქსიმალური თუ მინიმალური, რათა საკუთარი მხარისთვის ლავირების შესაძლებლობა დაიტოვოს, შეთავაზების ფარგლებში მოისმენს რა მეორე მხარის უკუგებას განხორციელებულ შეთავაზებაზე²⁵;

ე) თავისი ვერბალური და არავერბალური გამოხატვით, აქსტიკულაციით და მიმართვით დაუფიქსიროს პატივისცემა პროცესში ჩართულ ყველა მხარეს²⁶.

მედიაციისთვის მომზადების ეტაპად განიხილება, მათ შორის, დავისთვის სწორი მედიატორის შერჩევა მხარის მიერ. ხშირია იურისდიქციები, სადაც მხარეების შეთანხმებლობის შემთხვევაში მედიატორს ნიშნავს სასამართლო. შესაბამისად, უპრიანია ორივე მხარე თავად შევარდეს მათი დავის სპეციფიკიდან და შინაარსის გათვალისწინებით იმ მედიატორის კანდიდატურაზე, რომელიც მათ დავასთან თავისი გამოცდილებით და ცოდნით ყველაზე ახლოს მდგომია, რადგან შეთანხმებლობის შემთხვევაში, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით საქმეში დანიშნული მედიატორი შეიძლება არ აღმოჩნდეს შესაფერისი ცოდნის და უნარების მქონე მედიატორი და საბოლოოდ დაზარალდება მხარის ინტერესი²⁷.

ადვოკატის მიერ სწორი ფორმით მოლაპარაკებების წარმართვა, არის მთავარი ინსტრუმენტი²⁸ კლიენტის ინტერესების გასატარებლად მედიაციაში შეთანხმების მიღწევის მიზნით. მოლაპარაკება არის პროცესი, რო-

მელშიც ერთმანეთს ერწყმის ერთდროულად იურიდიული მომზადება, გამოცდილება და პიროვნულ უნარებო და მხოლოდ ამ ყველაფრის კარგი ნაზავი იძლევა რეზულტატის მიღების საშუალებას მოლაპარაკებების გზით²⁹. დამკვიდრებული აღქმადობა აქვს საზოგადოებაში ადვოკატის პერსონას, რომ ის „უნდა იყოს“ კარგი მომლაპარაკებელი. ამ აღქმადობის ქვეშ, მათ შორის, ექცვიან სახელმწიფოები, როდესაც, მათ შორის, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა¹⁰⁰, რიგი სამართლებრივი დავების (ისეთი რო-

**მედიაციის შესახებ
ჩატარებული არაერთი
კვლევა აჩვენებს,
რომ მედიაციისთვის
კარგად მომზადებული
მხარეები არის
უპირობო წინაპირობა
დავის შეთანხმებით
დასრულებისა**

გორიც არის საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების მიზნით მოლაპარაკებები, მაგ: North American Free Trade Agreement, მოლაპარაკებები საავტორო სამართლის სფეროში ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები (და სხვა) მოლაპარაკებით დასრულების მიზნით ქირაობს ადვოკატს.

ადვოკატებისთვის მედიაციის პროცესში იგივე სტანდარტი ვრცელდება, რაც სასამართლოში წარმომადგენლობის განხორციელებისას, კერძოდ, დაიცვან საკუთარი მარწმუნებლის საუკეთესო ინტერესი¹⁰¹, თუმცა განსხვავებაა იმ ფორმაში, რომლის ფარგლებშიც ადვოკატმა უნდა განახორციელოს საკუთარი უფლებამოსილება, რადგან კარგად უნდა ესმოდეს, რომ იმყოფება კლიენტის მიერ არჩეული დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ ფორმატში, რა დროსაც მიმდინარე კონფლიქტის შეთანხმებით დასრულება უნდა მიიწეს კონსენსუსის¹⁰² გზით და არა შვიბ-

რებითი პროცესის ფარგლებში იქნეს მიღწერილი გამარჯვება. ეს რიგ შემთხვევაში ადვოკატებისთვის დიდი გამოწვევაა. ბოლო პერიოდი, ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ვითარდება ადვოკატებისთვის სწავლების პროგრამა რომელსაც ჰქვია meditation advocacy¹⁰³, რის ფარგლებშიც ადვოკატებს ყველა ის უნარი გადაეცემათ, რაც მათ მედიაციის სწორედ და წარმატებით წარმართვაში უნდა დაეხმარათ.

წარმომადგენლის მთავარი ფუნქცია მედიაციაში არის სწორედ შეაფასოს ის, თუ რამდენად შესაფერისია მისი კლიენტის დავა მედიაციისთვის და მედიაციის წარმოებისას რა სტრატეგია იქნეს შერჩეული მედიაციის კონკრეტული ფორმის გამოყენების თვალსაზრისით.

მედიაციის პროცესში შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, შეთანხმების პროექტის შედგენა¹⁰⁴ და მეორე მხარესთან მის გარშემო მუშაობა სწორედ ადვოკატის პრეროგატივას წარმოადგენს¹⁰⁵.

სამოქალაქო და კომერციული დავების მედიაციის მაგალითზე, ევროპაში მკვიდრდება მიდგომა, რომ მედიაციაში წარმომადგენლობა¹⁰⁶ აბსოლუტურად საადვოკატო საქმიანობით დაკავებული პირების განსხვავებული მიმართულებაა და გარდა სპეციფიკური მომზადებისა საჭიროებს, ამასთანავე, შესაბამის საბაზრო მარკეტინგს, რათა მომხმარებლებსაც ჰქონდეთ წვდომა იმ პირებზე, რომლებიც მედიაციაში წარმომადგენლობას ახორციელებენ.

ადვოკატები ტრადიციულად ასოცირდებიან სასამართლოსთან და შეჯიბრებით პროცესთან, რაც უკვე საადვოკატო საქმიანობის ისტორიულ შეფასებად მიიჩნევა. თუმცა, თანამედროვე აღქმა და გაგება ადვოკატის საქმიანობისა მედიაციით, მათგან ეფექტურ ჩართულობას და მოქმედებას მოითხოვს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების მატერიაში¹⁰⁷.

1 სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ თავმჯდომარე; სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ საგანმანათლებლო საბჭოს თავმჯდომარე

2 *Wode M., Rabe C.S., Mediation*, Springer, Berlin, 2014, 1.

3 *Trenczek T.M.A., Berning D., Lenz C., Will H.D.*, Mediation und Konfliktmanagement, Handbuch, 2.Auflage, Nomos, Baden-Baden, 2017, 35.

4 *Deixler-Hübner A., Schauer M.*, (Hrsg) Alternative Formen der Konfliktbereinigung, MANZ'sche Verlags- und Universitätsbuchhandlung, Wien, 2016, 1.

5 *Moore C.W.*, The Mediation Process, 3rd Ed, Jossey-Bass Publishing, San Francisco, 2003, 3, 5.

6 *Esplugues C., Marquis L.*, New Developments in Civil and Commercial Mediation, Springer, Vol. 6, 2015, 2.

7 *Carvalho J.M., Carvalho C.*, Online Dispute Resolution Platform in Alberto de Franceschi (ed), European Contract Law and the Digital Single Market –The Implications of the Digital Revolution, Intersentia, 2016, 245, 246.

8 *Poon G.P.*, The Corporate Counsel's Guide to Mediation, First Chair Press, American Bar Association, United States of America, 2010, 9.

9 იქვე, 100.

10 *Alexander N.*, International and Comparative Mediation, Wolters Kluwer, 2009, 1.

11 *Pfisterer T.*, Einigung und Mediation in Posch W., Schleifer W., Ferz S., Konfliktlösung im Konsens, Schiedsgerichtsbarkeit, Diversion, Mediation, Leykam BuchVerlag, Graz, 2010, 78.

12 *Steffek F.*, Mediation, in The Max Planck Encyclopedia of European Private Law, Volume II, Basedow J., Hopt J.K., Zimmermann R., Stier A., Oxford University Press, Oxford, 2012, 1163.

13 *Genn H.*, Judging Civil Justice, Cambridge University Press, New York, 2010, 80.

14 *De Palo G., Trevors M.B.*, Arbitration and Mediation in the Southern Mediterranean Countries, Kluwer Law International, 2007, 15.

15 *Caponi R.*, „Just Settlement“ or „Just About Settlement“?, Mediated Agreements: A comparative Overview of the Basics, Rabels Zeitschrift, The Rabel Journal of Comparative and International Private Law, Max-Planck-Institute für ausländisches und internationales Privatrecht, Mohr Siebeck,

79.Jahrgang 2015, 121.

16 *Deixler-Hübner A.*, Schauer M., (Hrsg) Alternative Formen der Konfliktbereinigung, MANZ'sche Verlags- und Universitätsbuchhandlung, Wien, 2016, 105.

17 *Steffek F.*, Mediation, in The Max Planck Encyclopedia of European Private Law, Vol. II, Basedow J., Hopt J.K., Zimmermann R., Stier A., Oxford University Press, Oxford, 2012, 1162.

18 *Esplugues C., Marquis L.*, New Developments in Civil and Commercial Mediation, Springer, Vol. 6, 2015, 2.

19 *Jeong S.*, Kritische Betrachtung über die Gerichtsmediation in Korea, in Brinkmann M., Effer-Uhe D.O., Völzmann-Stickelbrock B., Wesser S., Weth S., Festschrift für Hanns Prütting, Dogmatik im Dienst von Gerechtigkeit, Rechtssicherheit und Rechtsentwicklung, Carl Heymanns Verlag, Köln, 2018, 831.

20 *Creutzfeldt N.*, Vertrauen in Außergerichtliche Streitbeilegung, Zeitschrift für Konflikt-Management, Verlag Otto Schmidt, Köln, Heft 1/2016, 15.

21 *Trossen A.*, Mediation (un)gerregelt, Win-Management Verlag, Mühlberg, 2014, 37, 49.

22 *Alexander N.*, International and Comparative Mediation, Wolters Kluwer, 2009, 1.

23 *Blake S., Browne J., Sime S.*, The Jackson ADR Handbook, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2016, 144.

24 *Trenczek T.M.A., Berning D., Lenz C., Will H.D.*, Mediation und Konfliktmanagement, Handbuch, 2.Auflage, Nomos, Baden-Baden, 2017, 50.

25 *Tutzel S., Wegen G., Wilske S.*, Commercial Dispute Resolution in Germany, 2nd Ed, C.H.BECK, München, 2016, 191.

26 EU-Mediationsrichtlinie 2008, Art. 3a.

27 *Berkel G.*, Zur Diskussion gestellt: Deal Mediation als Konfliktbeilegung, Zeitschrift für Konfliktmanagement (ZKM), Verlag Otto Schmidt, Köln, 2018, 61.

28 *Greger R., Unberath H.*, MediationsG: Recht der Alternativen Konfliktlösung, Kommentar, C.H.BECK, München, 2012, 97.

29 *Jones G., Pexton P.*, ADR and Trusts: an International Guide to Arbitration and Mediation of Trust Disputes, Spiramus Press, 2015, 33.

30 *Wode M., Rabe C.S.*, Mediation, Springer, Berlin, 2014, 27.

31 *Alexander N.*, Global Trends in Mediation, 2nd Ed, Kluwer Law International, the Netherlands, 2006, 10.

32 *Trossen A.*, Mediation (un)gerregelt, Win-Management Verlag, Mühlberg, 2014, 470.

33 *Deixler-Hübner A., Schauer M.*, (Hrsg) Alternative Formen der Konfliktbereinigung, MANZ'sche Verlags- und Universitätsbuchhandlung, Wien, 2016, 188.

34 *Kaiser P., Gabler A.M.*, Prozessqualität und Langzeiteffekte in der Mediation, Zeitschrift für Konflikt-Management, Verlag Otto Schmidt, Köln, Heft 6/2014, 180.

35 *Fenn P.*, Commercial Conflict Management and Dispute Resolution, Routledge, New York, 2017, 68.

36 *Roberts M.M.*, Mediation in Family Disputes, Ashgate Publishing Ltd, Burlington, 2014, 180.

37 *Wendland M.*, Mediation und Zivilprozess, Mohr Siebeck, Tübingen, 2017, 216, 217.

38 *Windisch K.*, Fair und/oder gerecht? Fairnesskriterien in der Mediation, Zeitschrift für Konflikt-Management, Verlag Otto Schmidt, Köln, Heft 2/2015, 55.

39 *Steffek F., Unberath H., (eds), Genn H., Greger R., Menkel-Meadow C.*, Regulating Dispute Resolution ADR and Access to Justice at the Crossroads, Hart Publishing, Oxford and Portland Oregon, 2013, 17.

40 *Ahmed M.*, An Investigation into the Nature and Role of Non-Settled ADR in International Journal of Procedural Law, Vol. 7, intersentia, Cambridge-Antwerp-Portland, 2017, 216, 217.

41 *Deixler-Hübner A., Schauer M.*, (Hrsg) Alternative Formen der Konfliktbereinigung, MANZ'sche Verlags- und Universitätsbuchhandlung, Wien, 2016, 21.

42 *ჭულაძე ა.*, ქართული სასამართლო მედიაციის მედარებთი ანალიზი, გამოქვეყნდება „იურისტების სამყარო“, თბ, 2017, 14.

43 *Bevan A.*, Alternative Dispute Resolution, Sweet & Maxwell, London, 1992, 1.

44 *Menkel-Meadow J.C., Love P.L., Schneider A.K., Sternlight R.J.*, Dispute Resolution Beyond the Adversarial Model, Wolters Kluwer Law&Business, Aspen Publishers Inc, 2011, 53.

45 *Walker S., Smith D.*, Advising and Representing Clients at Mediation, Wildy, Simmonds & Hill Publishing, London, 2013, 3.

46 *Haft F., von Schlieffen K.G.*, Handbuch Mediation, C.H.BECK, München, 3 Auflage, 2016, 107, 108.

47 *Reuben C.R.*, The Lawyer Turns Peacemaker, A.B.A.J., 1996, 54, 55.

48 *Margaret S.H.*, The Blackwell Handbook of Mediation, Blackwell Publishing, Great Britain, Oxford, 2006, 89.

49 *Dingle J., Kelbie J.*, The Mediation Handbook, 2nd Ed, Unity Press, 2014, 114.

50 *Leung E.*, Mediation: A Cultural Change, Asian Pacific Law Review, 2009, 17.

51 *McLaren H.R., Sanderson J.*, Innovative Dispute Resolution: The Alternative, Thomson Carswell, 2006, 4-12.

52 *von Maik B.*, Güterichter und Mediatoren im Wettbewerb, Duncker & Humblot, Berlin, 2015, 23.

53 *Goodman A.*, Mediation Advocacy, 2nd Ed, Nova, 2010, 5.

54 *McLaren H.R., Sanderson J.*, Innovative Dispute Resolution: The Alternative, Thomson Carswell, 2006, 4-2.

55 *Hollander J.*, Mediation for Civil Litigators, Irwin Law Inc, 2013, xviii.

56 *Englert K., Franke H., Grieger W.*, Streitlösung ohne Gericht – Schlichtung, Schiedsgericht und Mediation in Bausachen, Werner Verlag, 2006, 253.

57 *Pruckner M.*, Recht der Mediation, Linde Verlag Wien, Wien, 2003, 32.

58 *Steffek F.*, Mediation und Justiz in Das Neue Mediationsgesetz, Fischer Christian., Unberath Hannes., Verlag C.H.Beck, München, 2013, 35.

59 *Schmidt F., Lapp T., Monßen H.G.*, Mediation in der Praxis des Anwalts, Verlag C.H.Beck, München, 2012, 22.

60 იქვე, 23.

61 იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კოდექსი. <www.gba.ge/uploads/files/regulaciebi/eTikis_kodexi.pdf>. [28.06.2018]

62 *Brand J., Steadman F., Todd C.*, Commercial Mediation, Iuta&Company, 2nd Ed, 2016, v.

63 *Niedostadek A.*, Mediation bei Arbeitsplatzkonflikten und der Grundsatz der Freiwilligkeit, Zeitschrift für Konflikt-Management, 17 Jahrgang, Heft 2/2014, Januar/Februar, Seiten 1-32, PVSt 47561, 55.

64 *Ponschab R.*, Verhandlungsführung: Mutter aller Konfliktlösungen, ADR-Verfahren im Vergleich –Teil 9, Zeitschrift für Konflikt-Management, 17 Jahrgang, Heft 1/2014, Januar/Februar, Seiten 1-32, PVSt 47561, 7.

65 იქვე, 4.

66 *Wendenburg F.*, Mediation –flexible Gestaltung innerhalb fester Strukturen, Zeitschrift für Konflikt-Management, 17 Jahrgang, Heft 2/2014, Januar/Februar, Seiten 1-32, PVSt 47561, 36.

67 *Ponschab R.*, Verhandlungsführung: Mutter aller Konfliktlösungen, ADR-Verfahren im Vergleich –Teil 9, Zeitschrift für Konflikt-Management, 17 Jahrgang, Heft 1/2014, Januar/Februar, Seiten 1-32, PVSt 47561, 4.

68 *Goodman A.*, Mediation Advocacy, 2nd Ed, Nova, 2010, 1.

69 იქვე, 6.

70 *Hollander J.*, Mediation for Civil Litigators, Irwin Law Inc, 2013, xix.

71 იქვე, 1.

72 *Stephen W.J.*, Principles of Alternative Dispute Resolution, West Academic Publishing, 2016, 391.

73 *Goodman A.*, Mediation Advocacy, 2nd Ed, Nova, 2010, 25.

74 §1 Abs. 1 RBERG; zur Frage der Erlaubnispflicht im Falle 'gerichtsnaher' Mediation ausführlich Volkmann, SchiedsVZ, 2004, S.245 ff.

75 *Goodman A.*, Mediation Advocacy, 2nd Ed, Nova, 2010, 1.

76 *Greger R., Unberath H.*, Die Zukunft der Mediation in Deutschland, 2008, Verlag C.H.Beck München 2008, 5.

77 *Walker S., Smith D.*, Advising and Representing Clients at Mediation, Wildy, Simmonds & Hill Publishing, London, 2013, 55.

78 *Margaret S.H.*, The Blackwell Handbook of Mediation, Blackwell Publishing, Great Britain, Oxford, 2006, 89.

79 *Chern C.*, International Commercial Mediation, Informa London, 2008, 122.

80 *Eberhardt H.*, Rechtschutzversicherung und außergerichtliche Konfliktlösung, Zeitschrift für Konflikt-Management, Verlag Otto Schmidt, Köln, Heft 3/2014, 85.

81 *Pramhofer K.*, Gerichtsnaher Mediation beim Handelsgericht Wien – ein Erfolgsprojekt, Zeitschrift für Konflikt-Management, Verlag Otto Schmidt, Köln, Heft 3/2014, 82.

82 *McLaren H.R., Sanderson J.*, Innovative Dispute Resolution: The Alternative, Thomson Carswell, 2006, 4-2.

83 *Genn H.*, Judging Civil Justice, The Hamlyn Lectures 59th series, Cambridge University Press, Cambridge, 2010, 113.

84 *Kwan Lun M.I.*, Alternative Dispute Resolution of Shareholder Disputes in Hong Kong., Cambridge University Press., Cambridge, 2017, 95.

85 *Arthur W.R.*, Contemporary Issues in International Arbitration and Mediation, Martinus Nijhoff Publishers, Netherlands/Leiden, 2013, 349.

86 *Dingle J., Kelbie J.*, The Mediation Handbook, 2nd Ed, Unity Press, 2014, 113.

87 *Goodman A.*, Mediation Advocacy, 2nd Ed, Nova, 2010, 17.

88 *Eidenmuller H., Wagner G.*, Mediationsrecht, Verlag Otto Schmidt, Köln, 2015, 35.

89 *Abramson H., Ingen-Housz A.*, ADR in Business, Vol. II, Wolters Kluwer Law&Business, the Netherlands, 2011, 312.

90 *Picker B.*, Mediation Practice Guide : A Handbook for Resolving Business Disputes, American Bar Association, 2nd ED, Washington, 2003, 91.

91 *Eidenmuller H., Wagner G.*, Mediationsrecht, otoschmidt, 2015, 36.

92 *Frascoagna J., Hetherington H.L.*, The Lawyer's Guide to Negotiation, American Bar Association, 2009, 11.

93 *Hollander J.*, Mediation for Civil Litigators, Irwin Law Inc, 2013, 6, 7.

94 *Hollander J.*, Mediation for Civil Litigators, Irwin Law Inc, 2013, 28.

95 *Ponschab R.*, Verhandlungsführung: Mutter aller Konfliktlösungen, ADR-Verfahren im Vergleich –Teil 9, Zeitschrift für Konflikt-Management, 17 Jahrgang, Heft 1/2014, Januar/Februar, Seiten 1-32, PVSt 47561, 5.

96 *Nelson M.R.*, Nelson on ADR, Thomson Carswell, 2003, 58.

97 *Hollander J.*, Mediation for Civil Litigators, Irwin Law Inc, 2013, 27.

98 *Frascoagna J., Hetherington H.L.*, The Lawyer's Guide to Negotiation, American Bar Association, 2009, 1.

99 იქვე, 2.

100 იქვე, 2.

101 *Brown H., Marriott A.*, ADR Principles and Practice, Sweet & Maxwell, Thomson Reuters, 2011, 405.

102 იქვე, 405.

103 <<http://www.mediationadvocates.org.uk>>. [15.05.2018]

104 *Blake S., Browne J., Sime S.*, The Jackson ADR Handbook, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2016, 40.

105 *Brown H., Marriott A.*, ADR Principles and Practice, Sweet & Maxwell, Thomson Reuters, London, 2011, 423.

106 *Goodman A.*, Mediation Advocacy, 2nd Ed, Nova, 2010, 175.

107 *Boulle L., Field R.*, Australian Dispute Resolution, Lexis Nexis Butterworths, 2017, 152.



შრომის ხელშეკრულების არსებითი პირობები

ავტორი: თამარ გაბისონი
დასაქმებულთა უფლებების დამცველ საერთაშორისო ადვოკატთა ქსელი
ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების რეგიონალური კოორდინატორი
ამერიკის სოლიდარობის ცენტრი

შესავალი

შრომითი ურთიერთობა ადამიანების მიერ თავისუფალი ნების გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმებაა.¹ შრომის სამართლის განსაკუთრებული თავისებურება კი, იმაში მდგომარეობს, რომ ამ ურთიერთობაში ჩართული პირები არიან სოციალური პარტნიორები, დამსაქმებლისა და დასაქმებულების სახით, რომლებსაც მართალია საერთო მიზანი აერთიანებს, შეიქმნას საბოლოო პროდუქტი, თუმცა, ამ მიზნისკენ მისასვლელი გზა განსხვავებულად ესახებათ. კერძოდ, დამსაქმებლის მიზანია ნაკლები დანახარჯებით მიიღოს რაც შეიძლება მეტი მოგება, ხოლო დასაქმებულის ცდილობს ღირსეული შრომის პირობებითა და სათანადო ანაზღაურებით იყოს უზრუნველყოფილი, რაც დამსაქმებლის მხრიდან ხარჯების გაწვევასთანაა დაკავშირებული და სწორედ აქ ცდება მხარეთა ინტერესები ერთმანეთს. აქედან გამომდინარე, შრომით ურთიერთობებში კრიტიკულად მნიშვნელოვანია სოციალურ პარტნიორებს შორის ინტერესების მაქსიმალური დაახლოება, რისი რესურსიც ყოველთვის არსებობს, რადგან ამ სამართალურ-თიერთობაში ჩართული მხარეებს, როგორც პარტნიორებს საერთო მიზანი აერთიანებს. მიუხედავად ამისა, ცხადია, რომ ამ ურთიერთობაში დამსაქმებელი ყოველთვის უფრო „ძლიერ მხარედ“ გვევლინება, ხოლო დასაქმებული მასზე ეკონომიკუ-

რად დამოკიდებული უფრო „სუსტი“ მხარეა, რაც ქმნის „ძლიერი“ მხარის მიერ თავისი უფლებამოსილების გაუმართლებლად გადამეტების საფრთხეს და მისი უპირატესობის მეორე მხარის საზიანოდ გამოყენების საშიშროებას. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, სწორედ ამგვარ „უთანასწორობაში“ ბალანსის აღდგენასა და დაცვას ემსახურება შრომის სამართალი.²

შრომითი ხელშეკრულებით არ შეიძლება განისაზღვროს შრომის კანონით გათვალისწინებული სათანადო ნორმები, რომლებიც აუარესებს დასაქმებულის მდგომარეობას.

შესაბამისად, ვინაიდან, შრომით ურთიერთობებში დამსაქმებულის მიერ დასაქმებულების საზიანოდ უფლებამოსილების გადამეტების საფრთხე ამკარა და რეალურია, სწორედ სახელმწიფოა ვალდებული შექმნას ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული იმგვარი გარანტიები, რითაც ამ ურთიერთობის „ძლიერ მხარეს“ შეზღუდვას კანონისმიერი ვალდებულებებით. სწორედ ამ მიზნის მისაღწევად შეიქმნა შრომის კო-

დექსი და მისი პირველივე მუხლი დაეფუძვნა ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებულ უმნიშვნელოვანეს პრინციპს, რომლის მიხედვითაც, შრომითი ხელშეკრულებით არ შეიძლება განისაზღვროს შრომის კანონით გათვალისწინებულისაგან განსხვავებული ნორმები, რომლებიც აუარესებს დასაქმებულის მდგომარეობას³. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებითაც, „ადამიანთა შრომის თავისუფლების გარანტირებისათვის, საჭიროა შრომითი ურთიერთობების სახელმწიფოს მიერ რეგულირება, დასაქმებულის დასაცავად გარკვეული იმპერატიული ნორმების დადგენა, რომელიც დაიცავს მას დამსაქმებლის თვითნებობისაგან და გამოირიცხავს დამსაქმებლის შესაძლებლობას, აიძულოს დასაქმებულები, იმუშაონ მათ ღირსებასა და შრომის თავისუფლებასთან არათავსებად პირობებში“⁴.

აქედან გამომდინარე, რა პირობებზეც არ უნდა შეთანხმდნენ დამსაქმებელი და დასაქმებული, თუკი, ეს შეთანხმება ეწინააღმდეგება შრომის კოდექსს და აუარესებს კოდექსით გარანტირებულ მინიმალურ სტანდარტს მოქმედებს კოდექსით გათვალისწინებული რეგულაციები, ხოლო ინდივიდუალური შეთანხმების ის კონკრეტული პირობა, რომელიც დასაქმებულის კანონით გათვალისწინებულ უფლებას ართმევს ან მის საწინააღმდეგოდ მოქმედებს ბათილია. ამასთანავე, აღსანიშნა-



ვია, რომ ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს შრომის კანონისგან განსხვავებული დებულებები, თუკი, ის აუმაჯობებს დასაქმებულის მდგომარეობას⁵.

შრომის კოდექსის ზოგადი წესის თანახმად, შრომის ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება თუ მხარეები ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდებიან კანონით დადგენილი წესით. შრომის კოდექსის მე-6 მუხლის მე-9 ნაწილი კი, განსაზღვრავს შრომის ხელშეკრულების 7 არსებითი პირობის ზუსტ და ამომწურავ ჩამონათვალს:

► მუშაობის დაწყების თარიღი და შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა;

► სამუშაო დრო და დასვენების დრო;

► სამუშაო ადგილი;

► თანამდებობა და შესასრულებელი სამუშაოს სახე;

► შრომის ანაზღაურების ოდენობა და გადახდის წესი;

► ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი;

► ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულებების ხანგრძლივობა და შვებულების მიცემის წესი.

მუშაობის დაწყების თარიღი და შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა

შრომის ხელშეკრულება უნდა განსაზღვრავდეს მუშაობის დაწყების თარიღსა და შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობას, როგორც შრომის ხელშეკრულების ერთ-ერთ არსებით პირობას. თუმცა, ამ პირობების მიუთითებლობა არ იწვევს შრომის ხელშეკრულების ბათილო-

ბას და ის მაინც დადებულად ჩაითვლება.

თუ ხელშეკრულებაში არ არის მითითებული მუშაობის დაწყების თარიღი, შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულების ფაქტობრივად დაწყების მომენტიდან, ხოლო თუ შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა არ არის მითითებული, მაშინ იგი განუსაზღვრელი ვადით დადებულად მიიჩნევა⁶.

შრომის კოდექსის მიზნიდან და პრინციპებიდან გამომდინარე, ვინაიდან კანონი ორიენტირებულია დასაქმებულის დაცვაზე, მისი არცერთი ნორმის შინაარსი უნდა განიმარტოს დასაქმებულის საწინააღმდეგოდ. შესაბამისად, შრომის ხელშეკრულების არსებითი პირობის გაუთვალისწინებლობამ რომ გამოიწვიოს მთლიანად შრომის კონტრაქტის ბათილობა, ამგვარი განმარტება წინააღმდეგობაში მოვა შრომის სამართლის ბუნებასთან და მის ძირითად პრინციპთან, რადგან ცალსახად დასაქმებულის საწინააღმდეგო შინაარსის შემცველი იქნება. კერძოდ, შრომითი ხელშეკრულება ბათილობა იწვევს დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის მთლიანად შეწყვეტას, ანუ დასაქმებულმა შესაძლოა დაკარგოს სამსახური და ვერ ისარგებლოს იმ გარანტიებით, რითაც ის კონტრაქტის მოქმედების პირობებში სარგებლობდა. გარდა ამისა, აზრს დაკარგავს შრომის კოდექსის მე-11 მუხლის ის დებულება, რომელიც განსაზღვრავს, რომ „თუ შრომითი ხელშეკრულება არ ითვალისწინებს რომელიმე არსებით პირობას, ასეთი პირობის განსაზღვრა შესაძლებელია დასაქმებულის თანხმობით“. ეს დებულება ცალსახად უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ შრომის ხელშეკრულებაში, რომელიმე არსებითი პირობის გაუთვალისწინებლობა ამ კონტრაქტის ბათილობას კი არ იწვევს, არამედ მისი შევსების, მასში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესაძლებლობას იძლევა.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაშიც აუცილებელია დასაქმებულთან შეთანხმება⁷.

შრომის ხელშეკრულების არსებითი პირობების ამომწურავი ჩამონათვალის კანონმდებლობაში ასახვა კვლავ დასაქმებულის, როგორც „სუსტი მხარის“ ინტერესების დაცვას ემსახურება და ერთგვარი ორიენტირია დასაქმებულისთვის, რათა მას შეექმნას წარმოდგენა იმ მინიმალურ გარანტიებსა და უფლებებზე, რაც დასაქმებულისთვის უნდა იყოს ცნობილი და შეთანხმებული შრომითი ურთიერთობის დაწყებისთანავე. გარდა ამისა, კანონით დადგენილი რომელიმე არსებითი პირობის შრომის ხელშეკრულებაში გაუთვალისწინებლობა დამსაქმებლის მხრიდან კანონით დადგენილი ნორმის უგულვებელყოფის მაჩვენებელია, რაც სასამართლოში დავის შემთხვევაში დასაქმებულის სასარგებლოდ უნდა განიმარტოს და უფრო მეტიც, ასეთ შემთხვევაში კონკრეტული პირობის ან შეთანხმების არსებობის შესახებ მტკიცების ტვირთი სწორედ დამსაქმებულს უნდა დაეკისროს.

სამუშაო დრო და დასვენების დრო

სამუშაო დრო შრომის ხელშეკრულების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი არსებითი პირობაა. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში გაუმართლებლად ხანგრძლივი და გადაჭარბებული სამუშაო დრო, დასვენებისა და შესვენების დერეგულაცია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველ ფაქტორად მიიჩნეოდა. შესაბამისად, ამ საკითხების რეგულირება ოდიდგანვე გამოწვევა იყო მთელი მსოფლიოსთვის და მათ შორის საქართველოსთვისაც. სწორედ ამ მიზეზით, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ყველაზე პირველი კონვენცია სწორედ სამუშაო დროის რეგულირების საკითხს ეხება⁸. ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა, როგორცაა გლობალიზაცია და ინფორმაცი-

ული ტექნოლოგიების გაუმჯობესება, დემოგრაფიული ცვლილებები და ეკონომიკური ან/და ფინანსური კრიზისი, სამუშაო დროის ახლებულად რეგულირების ტენდენციები გამოავლინა. ზოგიერთი ქვეყანა მოქნილ სამუშაო დროზე გადავიდა და ამასთანავე, სამსახურეობრივი მოვალეობებისა და ოჯახური ურთიერთიერთობების შეთავსების აუცილებლობაც დღის წესრიგში დადგა⁹.

აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში მთელს მსოფლიოში შეინიშნება სამუშაო დროის შემცირების ტენდენცია, თუმცა, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, სადაც 44 ქვეყანა იქნა შესწავლილი, სამუშაო დროის ხანგრძლივობა კვირაში 35-დან 45 საათამდე მერყეობს, რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა სამუშაო საათები უფრო ნაკლებია, აზიის ქვეყნები კი, უფრო ხანგრძლივი სამუშაო კვირით გამოირჩევა¹⁰.

საქართველოს შრომის კოდექსის მიხედვით კი, ნორმირებული სამუშაო დრო ზრდასრული დასაქმებულისთვის არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 საათს, ხოლო სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე საწარმოში, სადაც წარმოების ან შრომითი პროცესი ითვალისწინებს 8 საათზე მეტი ხანგრძლივობის უწყვეტ რეჟიმს არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 48 საათს. სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის დარღვევის ჩამონათვალი კი, საკმაოდ ვრცელია და საქართველოს მთავრობის დადგენილებით არის განსაზღვრული¹¹.

შრომის კოდექსით დასაშვებია, ასევე, არასრულწლოვანთა დასაქმება იმ პირობით, თუ 16 წლიდან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ აღემატება კვირაში 36 საათს, ხოლო 14 წლიდან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ აღემატება კვირაში 24 საათს.

შრომის კოდექსი უშვებს, ასევე, ცვლაში მუშაობის შესაძლებლობასაც, თუ დამსაქმებლის საქმიანობა ითვალისწინებს წარმოების/შრომითი პროცესის 24-საათიან უწყვეტ რეჟიმს, იმ პირობით, რომ ცვლებს შორის დასვენების ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 12 საათზე ნაკლები.

უფლებებზე, რაც დასაქმებულისთვის უნდა იყოს ცნობილი და შეთანხმებული შრომითი ურთიერთობის დაწყებისთანავე. ბარდა ამისა, კანონით დადგენილი რომელიმე არსებითი პირობის შრომის ხელშეკრულებაში გაუთვალისწინებლობა დამსაქმებლის მხრიდან კანონით დადგენილი ნორმის უგულვებელყოფის მაჩვენებელია, რაც სასამართლოში დავის შემთხვევაში დასაქმებულის სასარგებლოდ უნდა განიშარტოს

წილოს 40 ან სპეციფიკური რეჟიმის შემთხვევაში 48 საათიანი სამუშაო დრო კვირის ნებისმიერ დღეზე.

საქართველოს მოქმედი შრომის კოდექსი არც შესვენების აუცილებლობას ადგენს. ხოლო, დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად შესვენების დრო ეს არის სამუშაო დღის ფარგლებში განსაზღვრული დროის ის ლიმიტი, რა დროსაც დასაქმებული ფაქტობრივად არ ასრულებს სამუშაოს და არ იმყოფება დამსაქმებლის განკარგულებაში. აქვე უნდა აღინიშნოს, შესვენებასთან დაკავშირებული ერთადერთი რეგულაცია, რასაც მოქმედი კოდექსი ცნობს ეს არის ერთ წლამდე ასაკის ბავშვის კვებისთვის მეძუძური დედის უფლება მისი მოთხოვნის შემთხვევაში ისარგებლოს დამატებით 1 საათიანი შესვენების უფლებით¹².

აღსანიშნავია, რომ სამუშაო დრო შრომის ხელშეკრულების არსებით პირობას წარმოადგენს და ნებისმიერი ცვლილება შეთანხმებული უნდა იყოს დასაქმებულთან. კანონი უშვებს გამოწვევის იმ შემთხვევაში, თუკი, სამუშაოს დაწყების ან დამთავრების დრო არ აღემატება 90 წუთს დღეში. დროის ამ მონაკვეთში განხორციელებული ცვლილება მიიჩნევა კონტრაქტის არაარსებითი პირობის ცვლილებად და დამსაქმებელი უფლებამოსილია ცალმხრივად, დასაქმებულთან შეუთანხმებლად მიიღოს ეს გადაწყვეტილება¹³.

სამუშაო დროის მნიშვნელობაზე საკმაოდ ვრცელ განმარტებას აკეთებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც, მის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: „სამუშაო დროის ხანგრძლივობა მნიშვნელოვანი ელემენტია ადამიანის შრომის თავისუფლების ეფექტიანი რეალიზებისათვის. გადაჭარბებულად დიდმა სამუშაო დროის ხანგრძლივობამ, რომელიც არ აძლევს დასაქმებულს ნორმალურად დასვენებისა და ენერჯის აღდგენის შესაძლებლობას, შეიძლება, საფრ-

თხე შეუქმნას მის ჯანმრთელობას ან ნორმალურ სოციალურ ყოფა-ცხოვრებას. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო არ დაიცავს ადამიანებს ასეთ პირობებში მუშაობისაგან, ის ფაქტობრივად იძულებს მათ, იმუშაონ თავიანთი ჯანმრთელობის ან სოციალური (პირადი) ცხოვრების ხარჯზე, ან დარჩნენ შემოსავლის გარეშე. ამკარაა, რომ პირის მიერ ასეთ პირობებში მუშაობის არჩევა გამოწვეულია მხოლოდ მისთვის სხვა არჩევანის არარსებობით. შესაბამისად, მის მიერ სამუშაოს შესრულება უფრო მეტად ემსგავსება იძულებას, ვიდრე შრომის თავისუფლების რეალიზებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამკარაა, რომ გარკვეულ პირობებში საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტები ავალდებულებს სახელმწიფოს, [მოქმედი კონსტიტუციის 26-ე მუხლი] შეზღუდოს დამსაქმებლის მიერ სამუშაო დროის ხანგრძლივობის თავისუფლად არჩევა. ეს უკანასკნელი დასაქმებულისათვის ქმნის მნიშვნელოვან გარანტიას, არ იყოს მსხვერპლი შეუზღუდავი დროის განმავლობაში მუშაობის იძულებისა, რაც შესაძლებელია, დამსაქმებლის მხრიდან როგორც პირდაპირი, ისე ირიბი ფორმით. გარდა ამისა, მისი მაქსიმალური ხანგრძლივობის საკანონმდებლო რეგლამენტაცია სწორედ დამსაქმებელთა შეუზღუდავი დისკრეციის და საკუთარი ძალაუფლებისა თუ დომინანტური მდგომარეობისთვის ერთგვარ ზღუდვად გვევლინება და განსაზღვრავს იმ საზღვრებს, რომლის ფარგლებშიც დამსაქმებელი თავისუფალია, იმოქმედოს".¹⁴

ზემოაღნიშნული მსჯელობის შესაბამისად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ, თუკი, დასაქმებულს უწევს სამუშაოს შესრულება გაუმართლებლად გადაჭარბებული სამუშაო დროის პირობებში, რომელიც რეალურად არ გამოხატავს მის ნებას, თუმცა, სამუშაოს დაკარგვის შიშით ან სხვა მიზეზით თანხმდება შესასრულებელ სამუშაოს, ის მონობის

ჩატარებული კვლევის შედეგად, სადაც 44 ქვეყანა იქნა შეხსავლილი, სამუშაო დროის ხანგრძლივობა კვირაში 35-დან 45 საათამდე მერყეობს, რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა სამუშაო საათები უფრო ნაკლებია

თანამედროვე ფორმის მსხვერპლად შესაძლოა მივიჩნიოთ, რომელსაც სამუშაოს გარდა არ რჩება დრო პიროვნული განვითარებისა და ოჯახური ცხოვრებისთვის. ამ შემთხვევაში კი, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს, როგორც კანონმდებლის როლი მიიღოს და დანერგოს იმგვარი კანონმდებლობა და ამ კანონის აღსრულებაზე ზედამხედველი ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც ერთი მხრივ, უზრუნველყოფს ღირსეულ შრომის პირობებსა და ნორმირებული სამუშაო დროის ფარგლებში დასაქმებას და მეორე მხრივ, მაქსიმალურად შეზღუდოს დამსაქმებელს და გამორიცხავს მის თვითნებობას ამუშაოს დასაქმებული გაუმართლებლად ხანგრძლივი დროის განმავლობაში, რაც საბოლოოდ ადამიანის ცხოვრების ხარისხს გააუმჯობესებს და აღმოფხვრის დასაქმებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველ ფაქტორებს.

სამუშაო ადგილი

სამუშაო ადგილი შრომის ხელშეკრულების არსებით პირობას წარმოადგენს და მისი შეცვლა დაუშვებელია დასაქმებულთან შეთანხმების გარეშე. ამ წესს აქვს ერთადერთი გამოწვევის, თუკი, ხელმისაწვდომი საზოგადოებრივი ტრანსპორტით სახლიდან სამსახურამდე და პირიქით მისასვლელი დრო არ აღემატე-

ბა 3 საათს და ამასთანავე არ იწვევს არათანაზომიერ ხარჯებს, მაშინ, სამუშაო ადგილის ცვლილება კონტრაქტის არაარსებით ცვლილებად მიიჩნევა და დამსაქმებელს უფლება აქვს დასაქმებულთან შეთანხმებლად, ცალმხრივად მიიღოს ამგვარი გადაწყვეტილება¹⁵.

სამუშაო ადგილსა და დროსთან დაკავშირებით საინტერესო მიდგომა აქვს ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს, რომელმაც მის მიერ 2015 წელს ესპანეთის წინააღმდეგ მიღებულ გადაწყვეტილებაში სამუშაო დროდ მიიჩნია სახლიდან სამუშაოს შესასრულებლად კონკრეტულ დანიშნულების ადგილამდე მისასვლელი დრო, რადგან კომპანიის რეგიონალურ წარმომადგენლობას არ გააჩნდა კონკრეტული სამუშაო ადგილი. კერძოდ, კომპანია უსაფრთხოების სისტემის მონტაჟზე მუშაობდა და ესპანეთის მთელს ტერიტორიაზე ჰქონდა ფილიალები, მოგვიანებით, ყველა ფილიალი, გარდა მადრიდში არსებული ცენტრალური ოფისისა, დაიხურა. რეგიონში დასაქმებულ ადამიანებს სახლში უწევდა საკმაოდ მძიმე აღჭურვილობის შენახვა და მხოლოდ სატელეკომუნიკაციო საშუალებებით მიღებული დავალების შესაბამისად გადაადგილდებოდნენ კონკრეტულ ადგილას უსაფრთხოების სისტემის დასამონტაჟებლად. აღსანიშნავია, რომ მანამ, სანამ რეგიონალური ოფისები არსებობდა დასაქმებულები ცხადდებოდნენ სამუშაო ადგილზე, იწყებოდა მათი სამუშაო დღე და შემდგომ გადიოდნენ კონკრეტულ ობიექტებზე სამუშაოს შესასრულებლად, ხოლო ფილიალის დახურვის შემდგომ მათ უკვე უწევდათ სახლიდან აღჭურვილობის გადატანა და კონკრეტული დანიშნულების ადგილას მისვლა მიღებული დავალების შესასრულებლად. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში დანიშნულების ეს ადგილი ათეული ან ასეული კილომეტრით იყო დაშორებული სახლიდან, უფრო მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში კვლავ დამსაქმებლის განკარგულებით უკვე

თითქმის ადგილზე მისულ დასაქმებულებს უწევდა დაბრუნება და სხვა ადგილზე მისვლა, ხოლო დამსაქმებელი სამუშაო დროის ათვლას იწყებდა დანიშნულების ადგილას მისვლისა და უშუალოდ სამუშაოს შესრულების მომენტიდან. სამუშაო დროისა და ადგილის ამგვარი განმარტება გასაჩივრდა ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოში, რომელმაც იმჯერა და დაადგინა, რომ ამ კონკრეტულ საქმეში ვინაიდან არ არსებობდა რეგიონალური ოფისი, და ადამიანებს უწევდათ სახლიდან დამსაქმებლის განკარგულების მიღება, რაც თავის მხრივ, დაკავშირებული იყო ზოგიერთ შემთხვევაში საკმაოდ ხანგრძლივ მგზავრობასთან, მძიმე ტექნიკის ტარებასა და დამსაქმებლის მიერ განკარგულების გაცემასთან სამუშაო დროდ მიიჩნია სახლიდან დანიშნულების პირველ პუნქტამდე მისვლისა და ბოლო პუნქტიდან წამოსვლის დრო¹⁶.

ამდენად, დამსაქმებლის განკარგულებაში ყოფნა, მათ შორის, დისტანციურად მუშაობა იქ სადაც სამუშაოს ტიპი ამის შესაძლებლობას იძლევა, უნდა განიმარტოს სამუშაო დროდ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა ამგვარ ჩანაწერს არ ითვალისწინებს.

თანამდებობა და შესასრულებელი სამუშაოს სახე

შრომითი ურთიერთობის სუბიექტებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონკრეტულად განისაზღვროს შესასრულებელი სამუშაოს ხასიათი და მოცულობა.

შრომის კოდექსის ეს მოთხოვნა სოციალური პარტნიორებს ავალდებულებს მიიღონ კარგად გააზრებული და შეთანხმებული გადაწყვეტილება. შესაბამისად, ერთი მხრივ, დამსაქმებელი ვალდებული ნათლად და მკაფიოდ განსაზღვროს შრომის ხელშეკრულებაში თანამდებობა და სამუშაოს მოცულობა, რასაც დასაქ-

მებულის სთავაზობს, ხოლო დასაქმებული თავის მხრივ, ვალდებულია კარგად გაეცნოს შესასრულებელი საქმის მოცულობას და შინაარსს და მხოლოდ ამის შემდგომ მიიღოს გადაწყვეტილება შემოთავაზებულ პირობაზე დათანხმების ან უარის თქმის შესახებ.

შრომის ანაზღაურების ოდენობა და გადახდის წესი

შრომის ანაზღაურების ოდენობა და გადახდის წესი შრომის ხელშეკრუ-

სამუშაო დრო შრომის ხელშეკრულების არსებით პირობას წარმოადგენს და ნებისმიერი ცვლილება შეთანხმებული უნდა იყოს დასაქმებულთან

ლების ერთ-ერთი არსებითი პირობაა და უნდა იყოს გათვალისწინებული და შეთანხმებული სამუშაოს დასრულებისთანავე დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის. შეთანხმებული პირობის შეცვლა დაუშვებელია ცალმხრივად დამსაქმებლის მიერ დასაქმებულთან შეთანხმების გარეშე.

შრომის კოდექსის მიხედვით შრომის ანაზღაურება უნდა გაიცეს თვეში ერთხელ, ხოლო ანაზღაურების ყოველი დაყოფილი დღისათვის დამსაქმებელი ვალდებულია გადაუხადოს დასაქმებულს გადასახადელი თანხის 0.07 პროცენტი. ამასთანავე, მხარეებს შეუძლიათ თვითონ განსაზღვრონ, როგორც ანაზღაურების გაცემის პერიოდულობა, ისე ხელფასის დაყოფისათვის გადასახადელი პროცენტის ოდენობა, თუმცა, პირგასამტეხლოს ოდენობა არ შეიძლება იყოს კანონის მოთხოვნაზე, ანუ 0.07 %-ზე ნაკლები.

დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენის დროს დასაქმებულს შრომის ანაზღაურება მიეცემა სრული ოდენობით, ხოლო დასაქმებულის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენა არ ანაზღაურდება.

დამსაქმებელს უფლება აქვს დასაქმებულის შრომის ანაზღაურებიდან დაქვითოს ზედმეტად გაცემული თანხა ან ნებისმიერი სხვა თანხა, რომელიც შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე, მისთვის დასაქმებულს აქვს გადასახდელი. თუმცა, შრომის კოდექსის მიხედვით, რა მოცულობისაც არ უნდა იყოს ზიანი, შრომითი ანაზღაურებიდან ერთჯერადად დაქვითვის საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შრომის ანაზღაურების 50 პროცენტს.

შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას კი, დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულთან მოახდინოს საბოლოო ანგარიშსწორება არა უგვიანეს 7 კალენდარული დღისა, თუ შრომითი ხელშეკრულებით ან კანონით სხვა რამ არ არის განსაზღვრული¹⁷.

ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი

საქართველოს შრომის კოდექსის მე-17 მუხლის თანახმად, ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევა მხარეთა შეთანხმებით დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა სრულწლოვნისთვის აღემატება კვირაში 40 საათს, 16 წლიდან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისთვის – კვირაში 36 საათს, ხოლო 14 წლიდან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისთვის – კვირაში 24 საათს. კანონის ამ დანაწესიდან გამომდინარე აუცილებელია აღინიშნოს, რომ ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულება მხარეთა შეთანხმებაზე დამოკიდებულია. შესაბამისად, ზეგანაკვეთური სამუშაოს შესასრულებლად აუცილებელია დასაქმებულის თანხმობა.

ამ წესიდან არსებობს გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც დასაქმებული ვალდებულია შეასრულოს ზეგანაკვეთური სამუშაო და ის ორ პირობასთან არის დაკავშირებული:

სტიქიური უბედურების თავიდან ასაცილებლად ან/და მისი შედეგების ლიკვიდაციისთვის, ამ შემთხვევაში ანაზღაურების გარეშე;

ხოლო, საწარმოო ავარიის თავიდან ასაცილებლად ან/და მისი შედეგების ლიკვიდაციისთვის სათანადო ანაზღაურებით.

სავალდებულო შემთხვევებთან მიმართებითაც, დამატებით გამონაკლისს აწესებს შრომის კოდექსი, რომლის თანახმადაც, აკრძალულია ორსული ან ახალნამშობიარები ქალის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, არასრულწლოვნის ზეგანაკვეთურ სამუშაოზე დასაქმება, მათი თანხმობის გარეშე.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ზეგანაკვეთური შრომა ყოველთვის ანაზღაურებადია. ანაზღაურების წესი კი განსხვავებულია, ზეგანაკვეთური ტარიფის ოდენობა შრომის ხელშეკრულებით უნდა განისაზღვროს და ამასთანავე, ზეგანაკვეთური სამუშაო უნდა ანაზღაურდეს მინიმუმ ხელფასის საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით.

მიუხედავად იმისა, რომ შრომის კოდექსის მე-17 მუხლი, რომელიც ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებისა და ანაზღაურების წესს არეგულირებს, არ ითვალისწინებს დებულებას, სპეციფიკური რეჟიმის ქვეშ მომუშავე დასაქმებულისთვის კვირაში 48 საათს ზევით ნამუშევარი დროის ზეგანაკვეთური ტარიფით ანაზღაურების შესახებ, ჯერ კიდევ 2014 წლიდან საქართველოს ეროვნული სასამართლოების პრაქტიკა ამ კუთხით შემდეგნაირად განვითარდა: „ზეგანაკვეთურ სამუშაოდ უნდა ჩაითვალოს მხარეთა შეთანხმებით დასაქმებულის მიერ სამუშაოს

შესრულება დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა აღემატება კვირაში 40 საათს ან სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე საწარმოებში – 48 საათს. ანუ სრულწლოვან დასაქმებულთან ზეგანაკვეთური სამუშაოს დროის ათვლა უნდა დაიწყოს 41-ე ან 49-ე საათიდან“¹⁸.

მხარეები შესაძლოა შეთანხმდნენ ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების სანაცვლოდ დასაქმებულისათვის დამატებითი დასვენების დროის მიცემაზე.

შრომის კოდექსის მიხედვით შრომის ანაზღაურება უნდა გაიცეს თვეში ერთხელ, ხოლო ანაზღაურების ყოველი დაყოვნებული დღისათვის დამატებული ვალდებულება გადაუხადოს დასაქმებულს გადასახადელი თანხის 0.07 პროცენტი

ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულებების ხანგრძლივობა და შვებულების მიცემის წესი.

შვებულების განმარტებას მოქმედი შრომის კოდექსი არ ცნობს, თუმცა სასამართლოს განმარტებით: „შვებულება არის თავისუფალი დრო, ანუ დრო, როდესაც დასაქმებული დროებით არ ასრულებს მასზე დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობას. შვებულება ეძლევა დასაქმებულს ყოველწლიურად, სამუშაო ადგილისა და ხელფასის შენარჩუნებით“.¹⁹

საქართველოს შრომის კოდექსი განასხვავებს ანაზღაურებად და ანაზღაურების გარეშე შვებულებას.

დასაქმებულს უფლება აქვს, ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით წელიწადში, სულ მცირე, 24 სამუშაო დღით და ანაზღაურების გარეშე შვებულებით წელიწადში, სულ მცირე, 15 კალენდარული დღით²⁰. ეს ნორმა იმპერატიული შინაარსისაა. ამასთანავე, შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება, განისაზღვროს ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების განსხვავებული ვადები და პირობები, რომლებიც არ უნდა აუარესებდეს დასაქმებულის მდგომარეობას.

გარდა ამისა, მძიმე, მავნე ან საშიშპირობებიან სამუშაოზე მომუშავე დასაქმებულს ეძლევა დამატებითი ანაზღაურებადი შვებულება წელიწადში 10 კალენდარული დღის ოდენობით. მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოთა ნუსხა კი, დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით²¹.

შვებულებით სარგებლობის უფლების წარმოშობა დაკავშირებულია დასაქმებული მიერ ფაქტობრივად მუშაობის დაწყებასთან, რადგან კოდექსის მიხედვით, დასაქმებულს შვებულების მოთხოვნის უფლება წარმოეშობა მუშაობის დაწყებიდან თერთმეტი თვის შემდეგ. თუმცა, დამსაქმებელთან შეთანხმებით დასაქმებულს შვებულება შეიძლება მიეცეს ამ ვადის გასვლამდეც. მეორე წლიდან კი, დასაქმებულს დამსაქმებელთან შეთანხმებით შვებულება შეიძლება მიეცეს სამუშაო წლის ნებისმიერ დროს. შვებულების გამოყენება დასაშვებია ასევე ნაწილ-ნაწილ. აღსანიშნავია, რომ შვებულების ვადაში არ ითვლება ავადმყოფობის პერიოდი, როცა დასაქმებული დროებით შრომისუუნაროა, შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო და დამატებითი შვებულება ბავშვის მოვლის გამო²².

ანაზღაურებადი შვებულების გადატანა დასაშვებია დასაქმებულის

თანხმობით თუ მიმდინარე წელს ანაზღაურებადი შვებულების მიცემა შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს სამუშაოს ნორმალურ მიმდინარეობაზე, თუმცა, აკრძალულია არასრულწლოვნის ანაზღაურებადი შვებულების გადატანა მომდევნო წლისათვის. აკრძალულია, ასევე, ზრდასრული ადამიანისათვის ანაზღაურებადი შვებულების გადატანა ზედიზედ 2 წლის განმავლობაში.

ანაზღაურების გარეშე შვებულებით სარგებლობისას დასაქმებული ვალდებულია 2 კვირით ადრე გააფრთხილოს დამსაქმებელი შვებულების აღების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაფრთხილება შეუძლებელია გადაუდებელი სამედიცინო ან ოჯახური პირობების გამო.

შვებულების უფლებით სარგებლობა არის დასაქმებული და არა დამსაქმებლის გამოსაყენებელი უფლება. შესაბამისად, დასაქმებული აყენებს მოთხოვნას შვებულების გამოყენების შესახებ, ხოლო დამსაქმებელი მასთან შეთანხმებით ადგენს შვებულების გამოყენების გრაფიკს. ამასთანავე, მოქმედი კოდექსი არ განასხვავებს სამუშაოს განაკვეთს ან ტიპს, შესაბამისად, არასრულ განაკვეთზე მომუშავე დასაქმებულებსაც აქვთ სრული უფლება ისარგებლონ შრომის კოდექსით გათვალისწინებული შვებულების უფლებით.

დასკვნა

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ შრომის ხელშეკრულების არსებით პირობებზე შეთანხმება შრომითი ურთიერთობის სუბიექტებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნულ 7 არსებით პირობაზე შეთანხმების ვალდებულება კანონის იმპერატიული მოთხოვნაა და ამასთანავე, ხაზგასასმელია ის ფაქტორიც, რომ შრომის ურთიერთობაში ჩართული მხარეები ამავდროულად არიან სოციალური

პარტნიორები, რომელთაც საერთო მიზანი აერთიანებთ. შესაბამისად, პარტნიორულ შეთანხმებაზე დაფუძნებული ურთიერთობა, კონსენსუსით მიღებული გადაწყვეტილება და დამსაქმებლისა და დასაქმებულების ინტერესების მაქსიმალურად დაახლოება ყოველთვის იძლევა ორივე მხარისთვის საუკეთესო შედეგს. იმ შემთხვევაში, როდესაც დასაქმებული ღირსეული შრომის პირობებითაა უზრუნველყოფილი, ის უფრო სწრაფად და ხარისხიანად დებს საბოლოო პროდუქტს, რაც დამსაქმებლისთვის უფრო მეტი მოგების

მძიმე, მავნე ან საშიშპირობებიან სამუშაოზე მომუშავე დასაქმებულს ეძლევა დამატებითი ანაზღაურებადი შვებულება წელიწადში 10 კალენდარული დღის ოდენობით

მიღების წინაპირობაა. შესაბამისად, რაც უფრო მეტად გაცნობიერებული გადაწყვეტილებაა მიღებული სამუშაოს დაწყების მომენტიდან, რაც მეტი პასუხისმგებლობა აქვთ ადებული საკუთარ თავზე ორივე მხარეს, როგორც დამსაქმებელს, ასევე, დასაქმებულს და რაც უფრო მეტად და შეთანხმებულად არიან ჩართულნი, თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მით უფრო სწრაფად და ხარისხიანად მიიღწევა საუკეთესო შედეგი. შრომითი ურთიერთობების სპეციფიკის გათვალისწინებით კი, ამ შედეგის დადგომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა დასაქმებულის ღირსეული შრომის პირობებით უზრუნველყოფა, შრომის ხელშეკრულების არსებითი პირობების განსაზღვრა და მასზე შეთანხმების მიღწევაა.

- 1 საქართველოს შრომის კოდექსი. მუხლი 2.2
- 2 საქართველოს უზენაესი სასამართლო-განჩინება საქმეზე Nას-864-1150-09. 28.04.2010
- 3 საქართველოს შრომის კოდექსი. მუხლი 1.3
- 4 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო – გადაწყვეტილება N2/2/565 19.04.2016
- 5 საქართველოს შრომის კოდექსი. მუხლი 6.10
- 6 საქართველოს შრომის კოდექსი. მუხლი 7
- 7 საქართველოს შრომის კოდექსი. მუხლი 11.2
- 8 შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია კონვენცია N. 1. 1919
- 9 https://www.ilo.org/global/topics/working-time/WCMS_305938/lang--en/index.htm
- 10 International Labour Organization. Working Time Around the World. Trends in working hours, laws and policies in a global comparative perspective Sangheon Lee, Deirdre McCann and Jon C. Messenger 2007. p.27
- 11 საქართველოს შრომის კოდექსი. მუხლი 14.1
- 12 საქართველოს შრომის კოდექსი. მუხლი 19
- 13 საქართველოს შრომის კოდექსი. მუხლი 11.4
- 14 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო – გადაწყვეტილება N2/2/565 19.04.2016
- 15 საქართველოს შრომის კოდექსი. მუხლი 11.4
- 16 Court of Justice of the European Union. Judgment C-266/14. 10.09.2015.
- 17 საქართველოს შრომის კოდექსი. მუხლი 31.1
- 18 თბილისის საქალაქო სასამართლო – გადაწყვეტილება N2/17354. 30.05.2014.
- 19 საქართველოს უზენაესი სასამართლო განჩინება Nას-581-552-2013. 13.11.2013 წ.
- 20 საქართველოს შრომის კოდექსი. მუხლი 21
- 21 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N147/ნ 2007 წ.
- 22 საქართველოს შრომის კოდექსი. მუხლი 22

ბიზნესი და ადამიანის უფლებები: ახალი მარეგულირებელი ჩარხი საქართველოში?





ავტორი: სალომე ზურაბიშვილი
გლობალური შეთანხმების
საქართველოს ქსელის
აღმასრულებელი დირექტორი

ნის უფლებებს; ზიანის ანაზღაურების მექანიზმები.

სახელმწიფოს ვალდებულება

გაეროს ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, მიიღოს შესაბამისი რეგულაციები და წარმართოს შესაბამისი პოლიტიკა ისე, რომ ეფექტურად დაიცვას მოსახლეობის ადამიანის უფლებები და მოახდინოს კერძო სექტორის, მათ შორის ბიზნეს საწარმოების, მხრიდან უფლებების დარღ-

საერთაშორისო ქართია, რომელშიც შედის: საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და საერთაშორისო პაქტი ეკონომიური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ; (3) შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დეკლარაცია სამუშაო ადგილზე ფუნდამენტური პრინციპებისა და უფლებების შესახებ და საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის რვა ძირითადი კონვენცია.

ბიზნესის ვალდებულება

ბიზნესს აქვს ვალდებულება პატივი სცეს საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო ადამიანის უფლებათა სტანდარტებს, რაც გულისხმობს, რომ მათ: არ უნდა დაარღვიონ აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ადამიანის უფლებები; მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა შეაჩერონ ადამიანის უფლებათა დარღვევისკენ მიმართული ქმედებები; არ უნდა გამოიწვიონ და არც წვლილი შეიტანონ თავისი ქმედებებით ადამიანის უფლებათა დარღვევაში; ხელი შეუწყონ დარღვეული უფლებების აღდგენას.

საქართველოში დაარსებული ან/და საქართველოს ტერიტორიაზე ფუნქციონირებადი ბიზნესს საწარმოები ვალდებული არიან დაიცვან საქართველოს კანონმდებლობა, მიუხედავად იმისა ახორციელებს თუ არა სახელმწიფო აღნიშნულის ეფექტურ მონიტორინგს.

ზიანის ანაზღაურება

მნიშვნელოვანია, სახელმწიფოში არსებობდეს ეფექტური სასამართლო მექანიზმი, რათა მოხდეს ბიზნესის მიერ მიყენებული ზიანის დროულად ანაზღაურება დაზარალებული პირებისთვის. აღნიშნული მექანიზმი უნდა იყოს ხელმისაწვდომი, ლეგიტიმური, განჭვრეტადი, სწრაფი და გამჭვირვალე.

საჭიროა, არსებობდეს სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი მექანიზმები ბიზნესისგან მიყენებული ზიანის სწრაფად და ეფექტურად ანაზღაურების მიზნით.

ასევე სასურველია არსებობდეს ეფექტური შიდა საჩივრის მექანიზმი კომპანიაში, რომელიც სწრაფად და ეფექტურად განიხილავს დასაქამებულების, მომხმარებლების თუ სხვა დაინტერესებული მხარეების განაცხადებებს ბიზნესის მხრიდან ადამიანის უფლებების სფეროში მიყენებული ზიანის საპასუხოდ.

უკეთესად გავიზაროთ, თუ რას გულისხმობს ბიზნესი და ადამიანის უფლებების ჩარჩო, რა არის ბიზნესის ვალდებულება პატივის სცეს ადამიანის უფლებებს სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად?

გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ ბიზნესის პასუხისმგებლობას პატივი სცეს ადამიანის უფლებებს განმარტავს შემდეგნაირად: „ბიზნესს საწარმოებმა პატივის უნდა სცენ ადამიანის უფლებებს. ეს ნიშნავს იმას, რომ მათ თავიდან უნდა აირიდონ ადამიანის უფლებების დარღვევა და რეაგირება მოახდინონ იმ უფლებების ხელყოფაზე, რაშიც თვითონ წვლილი მიუძღვით“.

როგორც ამ მუხლის კომენტარი განმარტავს: აღნიშნული ვალდებულება ბიზნესს აკისრია იმის მიუხედავად, შეძლებს თუ არა სახელმწიფო ამის მონიტორინგს.

აქვს თუ არა ბიზნესს საქართველოს კანონმდებლობით ზუსტად იგივე ვალდებულება, რაც ზემოთ სახელმძღვანელო პრინციპებმა განგვიმარტა? – რა თქმა უნდა აქვს!

ადამიანის უფლებები გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით, ნორმატიული აქტებით და საერთაშორისო ხელშეკრულებებით. საქართველოში მცხოვრები ყველა

ფიზიკური თუ იურიდიული პირი ვალდებულია, პატივი სცეს და არ დაარღვიოს საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით გაარანტირებული უფლებები.

შესაბამისად, სახელმძღვანელო პრინციპები ბიზნესს მოუწოდებს გააკეთოს ის, რაც მას უკვე კანონმდებლობით ისედაც აკისრია. სახელმძღვანელო პრინციპები ადამიანის უფლებების ახალ სტანდარტს არ ქმნის. ეს არის მექანიზმი, იარაღი, იმისთვის, რომ კომპანიამ ისედაც არსებული სტანდარტები უკეთესად და უფრო ჯეროვნად განახორციელოს.

„ბიზნესს სანარმოებმა პატივის უნდა სცენ ადამიანის უფლებებს. ეს ნიშნავს იმას, რომ მათ თავიდან უნდა აირიდონ ადამიანის უფლებების ხელყოფაზე, რაშიც თვითონ წვლილი მიუძღვით“

კანონი ავალდებულებს კომპანიას არ დაარღვიოს ადამიანის უფლებები და დარღვევის შემთხვევაში აანაზღაუროს ზიანი. თუმცა, სახელმწიფო არ ეუბნება კომპანიას თუ როგორც უნდა გააკეთოს ეს.

პასუხისმგებელიანი ბიზნესს ქცევა, სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, გულისხმობს კომპანიის მხრიდან პოლიტიკის დონეზე შიდა მექანიზმის შექმნას, რომელიც მას ეხმარება წინასწარ შეაფასოს თავისი საქმიანობა და განსაზღვროს თუ რომელ აქტივობას შეიძლება მოჰყვეს ადამიანის უფლებების დარღვე-

ვა. შემდეგ, მოახდინოს აღნიშნულის პრევენცია, პერიოდული მონიტორინგი და ანგარიშგება. ასევე, ჰქონდეს შიდა ზიანის ანაზღაურების მექანიზმი, რათა უფლების დარღვევის შემთხვევაში, სწრაფად და ეფექტურად მოხდეს ზიანის ანაზღაურება.

არის თუ არა გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები, რომელიც რბილი სამართლის მექანიზმია, მარეგულირებელი ჩარჩო საერთაშორისო დონეზე? საქართველოში?

სახელმძღვანელო პრინციპები გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს სხდომაზე მიღებისთანავე, 2011 წელს, ფართოდ იქნა აღიარებული საერთაშორისო დონეზე, წამყვანი სამთავრობო და არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციების და სახელმწიფოების მიერ.

ევროკავშირმა სახელმძღვანელო პრინციპებს შეუსაბამა კორპორაციული პასუხისმგებლობის სტრატეგია და მოუწოდა წევრ ქვეყნებს სახელმძღვანელო პრინციპების შესრულებისთვის ადგილობრივი პოლიტიკის მექანიზმები მიეღოთ.

ევროპარლამენტის 2018 წლის 4 ოქტომბრის რეზოლუციაში (2018/2763(RSP)) ვკითხულობთ:

► არსებობს მტკიცებულებები, რომ იმ ქვეყნებში, სადაც სახელმძღვანელო პრინციპების იმპლემენტაციას სახელმწიფო უწყობს ხელს, ბიზნესის მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები შემცირებულია.

► ევროპარლამენტი მხარს უჭერს სახელმძღვანელო პრინციპების განხორციელებას ევროკავშირის წევრ ქვეყნებში და მის გარეთ. პარლამენტი მოუწოდებს წევრ ქვეყნებს, მიიღონ სახელმძღვანელო პრინციპების შესრულებისთვის შესაბამისი ადგილობრივი სამოქმედო გეგმები, სადაც მკაფიოდ იქნება განსაზღვრული მთავრობების ვალდებულებები და პასუხისმგებლობები, ასევე, გა-

დასადგმელი ნაბიჯები. სამოქმედო გეგმა უნდა მოიცავდეს აქტივობების შესრულების გაზომვად ინდიკატორებს, რათა ეფექტურად მოხდეს გეგმის შესრულების მონიტორინგი.

ევროკავშირის 2015-2019 წლების სამოქმედო გეგმა ადამიანის უფლებების და დემოკრატიის შესახებ (10875/15 COHOM 80 CFSP/PESC 395 COSCE 4 FREMP 158 INF 131 JAI 558 RELEX 597 DEV-GEN 131 CONUN 141) ასევე მკაფიოდ განსაზღვრავდა ევროკავშირის წევრი ქვეყნების პასუხისმგებლობას გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების იმპლემენტაციის მიმართულებით და ავალდებულებდა წევრ ქვეყნებს, ემუშავათ მესამე ქვეყნებთან, რათა სახელმძღვანელო პრინციპების შესრულება პარტნიორ ქვეყნებშიც მომხდარიყო.

დღეის მდგომარეობით მსოფლიოს 24 ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, არის მიღებული სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისი სამოქმედო გეგმა ბიზნესის და ადამიანის უფლებების შესახებ, 16 ქვეყანა არის ასეთი გეგმის მიღების პროცესში, ხოლო 13 ქვეყანაში სხვა არასახელმწიფო ინიციატივები არსებობს, რაც ხელს უწყობს სახელმძღვანელო პრინციპების შესრულებას ეროვნულ დონეზე.

ბიზნესი და ადამიანის უფლებების სამოქმედო გეგმები ევროკავშირში

ევროპაში არსებულ ბიზნესი და ადამიანის უფლებების სამოქმედო გეგმებს მსგავსი სტრუქტურა აქვთ. ისინი იყოფა სამ ძირითად თავად, როგორც ეს გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებში არის მოცემული:

1) სახელმწიფოს ვალდებულება დაიცვას ადამიანის უფლებები – სადაც საუბარია სახელმწიფოს მხრიდან გადასადგმელ ნაბიჯებზე, რათა წახალისდეს პასუხისმგებლიანი ბიზნესქცევა. მაგალითად, სახელმწი-

ფო შესყიდვებსა თუ საინტეგრაციო ხელშეკრულებებში სოციალური სტანდარტების ინტეგრირება, სახელმწიფო საწარმოების პასუხისმგებლიანი ქცევის უზრუნველყოფა და სხვა.

2) ბიზნესის ვალდებულება პატივი სცეს ადამიანის უფლებებს – საუბარია სახელმწიფოს მოლოდინის მკაფიო კომუნიკაციაზე ბიზნეს სექტორთან, მაგალითად, გაიდლაინებისა და ინსტრუქციის შემუშავების გზით, რათა კომპანიებმა დანერგონ გულმოდგინე შემოწმების (due diligence) მექანიზმი პოლიტიკის დონეზე და მოახდინონ აღნიშნული

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმებით საქართველოს ეკისრება ვადლებულება, ნაახალისოს ქვეყანაში კორკორაციული პასუხისმგებლობა საქართველოსად ალიარეპულ პრინციპებისა და სახელმძღვანელოების შესაბამისად

მექანიზმის საშუალებით ადამიანის უფლებების დაცვა და წახალისება კომპანიის შიგნით და დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის დროს.

3) ზიანის ანაზღაურების მექანიზმები – აღნიშნულ თავში ძირითადად საუბარია სახელმწიფო მექანიზმების, კერძოდ კი, სასამართლო ხელისუფლების ხელმისაწვდომობის და ეფექტურობის გაუმჯობესებაზე და არასასამართლო, ასევე, სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი მექანიზმების შექმ-

ნაზე, რათა მოხდეს დაზარალებულთათვის სწრაფად და ეფექტურად ზიანის ანაზღაურება.

დანის ბიზნესისა და ადამიანის უფლებების სამოქმედო გეგმა

დანის სამოქმედო გეგმის ზიანის ანაზღაურების ნაწილში აღსანიშნავია ორი მექანიზმი:

▶ სახელმწიფო დონეზე არსებული შრომის სასამართლო, რომელიც მხოლოდ შრომითი უფლებების დარღვევის საქმეებს განიხილავს მოკლე ვადაში. თუმცა, აქ სასამართლო ხარჯების საკითხი მაინც დგას დღის წესრიგში, როგორც მექანიზმის ეფექტურობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა.

▶ დანის მთავრობამ შექმნა “მედიაციისა და სარჩელების განხილვის მექანიზმი პასუხისმგებლიანი ბიზნესისთვის” OECD სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად.

შვედეთის ბიზნესისა და ადამიანის უფლებების სამოქმედო გეგმა

შვედეთის სამოქმედო გეგმა დამტკიცებამდე ოთხჯერ იქნა განხილული მრავალმხრივ კონსულტაციებზე, რომელსაც ესწრებოდნენ 100-მდე სხვადასხვა კომპანია, მთავრობის წარმომადგენლები, პროფკავშირები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა დაინტერესებული პირები.

შვედეთი ბიზნესი და ადამიანის უფლებების წახალისებას უწყობს ხელს პარტნიორ ქვეყნებში, კერძოდ კი, მას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი ჩილესთან და ჩინეთთან კონკრეტულად ბიზნესი და ადამიანის უფლებების მიმართულებით. ასევე, ის ცდილობს წახალ-

ლისოს სხვა ქვეყნებშიც, რათა მათ მიიღონ ბიზნესი და ადამიანის უფლებების სამოქმედო გეგმები.

შვედეთის მთავრობა ზრუნავს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ კომპანიების თანამშრომლების გადამზადებაზე, ბიზნესი და ადამიანის უფლებების მიმართულებით, მათთვის ერთგვარი პლატფორმის შექმნაზე ცნობიერების ამაღლების მიზნით და აღნიშნულ სფეროში გამოცდილების გაზიარებისთვის.

ყველა საინვესტიციო ხელშეკრულება მოიცავს მდგრადობის თავს, სადაც ინვესტორის ვადლებულებები სოციალური და გარემოსდაცვითი მიმართულებით მკაფიოდ არის გაწერილი.

ჰოლანდიის ბიზნესისა და ადამიანის უფლებების სამოქმედო გეგმა

ჰოლანდიის სამოქმედო გეგმა ეროვნული ადამიანის უფლებების სამოქმედო გეგმის ნაწილია. სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის მკოლორდინებული უწყება არის ჰოლანდიის საგარეო საქმეთა სამინისტრო.

2012 წელს შეიქმნა სამოქმედო გეგმაზე მომუშავე უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან წარმომადგენლები შემდეგი სახელმწიფო უწყებებიდან: ეკონომიკის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, უსაფრთხოებისა და იუსტიციის სამინისტრო, სოციალური დაცვისა და დასაქმების სამინისტრო. ჯგუფმა მოახდინა გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებისა და არსებული პოლიტიკის შედარებითი ანალიზი და შემდგომ, ბიზნეს სექტორთან და სამაქალაქო საზოგადოებასთან კონსულტაციებისა და ინტერვიუების შედეგად, განსაზღვრის მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც აისახა სამოქმედო გეგმაში.

ეს საკითხებია: სახელმწიფოს აქტიური როლი სახელმძღვანელო პრინციპების იმპლემენტაციის კუთხით; ნათლად განსაზღვრული პოლიტიკა ბიზნესისა და ადამიანის უფლებების სფეროში; შეფასების (due diligence) ელემენტის მკაფიოდ განსაზღვრა; გამჭვირვალობა და ანგარიშგება; ზიანის ანაზღაურების მექანიზმის ჩარჩო.

საქართველო

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმებით საქართველოს ეკისრება ვადლებ-

წელს მთავრობა 2021-2030 წლების ადამიანის უფლებების სტრატეგიაზე მუშაობს და ადგილობრივი თუ საქართველოს ორგანიზაციების მოთხოვნით ბიზნესი და ადამიანის უფლებების სავარაუდოდ აღნიშნული სტრატეგიული დოკუმენტის ნაწილიც გახდება

ბულება, წახალისოს ქვეყანაში კორპორაციული პასუხისმგებლობა საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნით ბიზნესი და ადამიანის უფლებები სავარაუდოდ აღნიშნული სტრატეგიული დოკუმენტის ნაწილიც გახდება.

აღნიშნულ საკითხს ასოცირების შეთანხმების 5 მუხლი ეთმობა – 231, 239, 348, 349, 352. ევროკავშირის კორპორაციული პასუხისმგებლობის სტრატეგიაში განსაზღვრულია კორპორაციული პასუხისმგებლობის საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების ჩამონათვალი და, როგორც ზემოთაც აღინიშნა, გაეროს სახელ-

მძღვანელო პრინციპები მოწინავე პოზიციას იკავებს.

სწორედ ასოცირების შეთანხმების მოთხოვნების შესრულების მიზნით, 2015 წელს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნომ 2016-2017 წლების ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმას დაამატა ბიზნესი და ადამიანის უფლებების თავი. 2017 წელს მთავრობის ადმინისტრაციამ, არასამთავრობო ორგანიზაცია სიდასთან და სახალხო დამცველის აპარატთან პარტნიორობით, განახორციელა საქართველოს კანონმდებლობისა და აღსრულების მექანიზმების კვლევა ბიზნესი და ადამიანის უფლებების ჭრილში. სწორედ აღნიშნულ კვლევაზე დაყრდნობით მიღებული იქნა ახალი თავი ბიზნესი და ადამიანის უფლებების შესახებ 2018-2020 წლების ადამიანის უფლებების სამოქმედო გეგმაში.

წელს მთავრობა 2021-2030 წლების ადამიანის უფლებების სტრატეგიაზე მუშაობს და ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნით ბიზნესი და ადამიანის უფლებები სავარაუდოდ აღნიშნული სტრატეგიული დოკუმენტის ნაწილიც გახდება.

პოლიტიკის დოკუმენტების არსებობა ბიზნესი და ადამიანის უფლებების მიმართულებით არის მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი, თუმცა მხოლოდ ეფექტური აღსრულების და მონიტორინგის მექანიზმები უზრუნველყოფს ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვას, ქვეყნის მდგრად განვითარებასა და ევროინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობას. აღსრულების და მონიტორინგის მექანიზმების გამართული ფუნქციონირებისთვის კი, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ცნობიერება და განათლება სახელმწიფო და კერძო სექტორში ბიზნესი და ადამიანის უფლებები სახელმძღვანელო ჩარჩო დოკუმენტებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესახებ.



ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტებისა და ადვოკატთა როლი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების პროცესში

ავტორი: ლევან მესხორაძე
ასოცირებული პროფესორი (ევროპის უნივერსიტეტი)
ევროკავშირის პროექტის ხელმძღვანელი

შესავალი

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომში „ევროპული სასამართლო“) გადაწყვეტილებების აღსრულება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით (შემდგომში „კონვენცია“) გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტია.

კონვენციის წევრ სახელმწიფოებს გააჩნიათ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების სწრაფი და ეფექტიანი აღსრულების ვალდებულება. ეს ვალდებულება უპირობოა. მოპასუხე ხელისუფლება ვერ მიუთითებს ეროვნული სამართლებრივი სისტემის სპეციფიკურობაზე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გასამართლებლად. სავალდებულოა, რომ კომპეტენტურმა ორგანოებმა, იქნება ეს სასამართლო, საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი ხელისუფლება, გადადგან კონკრეტული ნაბიჯები კონვენციის დარღვევის აღმოსაფხვრელად.

წინამდებარე სტატია ეხება იმ საშუალებებს, რომელთა გამოყენებით, სამოქალაქო საზოგადოება, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები (NHRI), მომჩივნები ან მათი წარმომადგენლები/ადვოკატები ახდენენ რეაგირებას აღსრულების პროცესზე, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც

სახეზეა ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების აღსრულების გაჭიანურების/აღუსრულებლობის შემთხვევები. მათი როლის უკეთ წარმოსაჩვენად, განხილული იქნება ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების სისტემა, აღსრულების ზედამხედველობის პროცედურა და საზედამხედველო ორგანოს, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის შესაბამისი პრაქტიკა.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების ვალდებულების არსი

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 46-ე მუხლის თანახმად, კონვენციის წევრ სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, დაემორჩილონ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას ნებისმიერ საქმეზე, რომლის მხარეებიც ისინი არიან. მინისტრთა კომიტეტის ზედამხედველობის ქვეშ, მოპასუხე სახელმწიფო თავისუფალია, აირჩიოს ღონისძიებები, რომელთა მეშვეობითაც ის შეასრულებს კონვენციის 46-ე მუხლიდან გამომდინარე ვალდებულებას.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა სრულფასოვანი აღსრულების მიზნით, სახელმწიფოებს შესაძლოა დაეკისროთ ინდივიდუალური ან/და ზოგადი ღონისძიებების იმპლემენტაციის ვალდებულება.

ინდივიდუალური ღონისძიებების ხასიათი, დარღვევის ბუნებიდან და მომჩივნის კონკრეტული მდგომარეობიდან გამომდინარეობს. მათი მიზანია, მოცემული მომჩივნის დარღვეული უფლების გამოსწორება ისე, რომ შეძლებისდაგვარად აღდგეს პირვანდელი მდგომარეობა (restitutio in integrum). თუ დარღვევის ნეგატიურ შედეგს განგრძობადი ხასიათი აქვს და დარღვევის შედეგი არ იქნა აღმოფხვრილი მომჩივნისთვის სამართლიანი დაკმაყოფილების მიკუთვნების გზით, მინისტრთა კომიტეტი განიხილავს მოპასუხე სახელმწიფოს მიერ სხვა ინდივიდუალური ღონისძიებების გატარების აუცილებლობის საკითხს. ამის მიზანია, მოხდეს განგრძობადი ხასიათის დარღვევის აღმოფხვრა და შეძლებისდაგვარად გამოსწორდეს დარღვევის შედეგად დამდგარი ზიანი.

ზოგადი ღონისძიებების მიზანია, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში გამოვლენილი სისტემური/სტრუქტურული ხარვეზების აღმოფხვრა და მსგავსი დარღვევების პრევენცია.

ზოგიერთ შემთხვევაში, საქმის გარემოებები ნათლად მიუთითებს, რომ დარღვევა არსებული კანონმდებლობის ხარვეზებიდან გამომდინარეობს, ზოგჯერ კი, დარღვევას შესაბამისი კანონმდებლობის ან რეგულაციების არარსებობა იწვევს. ასეთ შემთხვევებში, სახელმწიფოს მოვალეობაა, გაატაროს ზოგადი ღონისძიებები და შეიტანოს ცვლილებები არსებულ კანონმდებლობაში ან მიიღოს ახალი კანონები და რეგულაციები



იმ მიზნით, რომ ისინი შესაბამისობაში მოვიდნენ სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებთან. ამ მიზნით, მოპასუხე სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი დარღვევის მიზეზების დეტალური ანალიზი.

ინდივიდუალური ღონისძიებები: მომჩივნის დარღვეული უფლების აღდგენა

სამართლიანი დაკმაყოფილება

თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი დამატებითი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშეკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორე-

ბის შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს. დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, ეს ძირითადად გულისხმობს განცდილი მატერიალური და არამატერიალური ზიანის, ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურებას.

მატერიალური ზიანის ანაზღაურება მოიცავს როგორც რეალურად დამდგარ (damnum emergens), ასევე მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებას (lucrum cessans).

არამატერიალური ზიანის ანაზღაურება მიზნად ისახავს განცდილი მორალური ზიანის ანაზღაურებას. ევროპული სასამართლო არამატერიალური ზიანისათვის კომპენსაციის ოდენობას განსაზღვრავს სამართლიანობის

პრინციპისა და პრეცედენტული სამართლით დადგენილი წესების შესაბამისად.

რაც შერხება ხარჯებსა და დანახარჯებს, ევროპული სასამართლოს შეუძლია დააკისროს ფაქტობრივად გაწეული ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურება – ეს მოიცავს ეროვნულ დონეზე და შემდგომ, ევროპული სასამართლოს წინაშე სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას.

როდესაც ზემოთ ჩამოთვლილი სამი ელემენტის ზუსტად შეფასება შეუძლებელია, ევროპული სასამართლო შეუძლია გლობალური თანხის მინიჭება კომპენსაციის სახით. სასამართლო ზოგჯერ მიიჩნევს, რომ დარღვევის დადგენა თავისთავად საკმარისია დარღვეული უფლების აღსადგენად.

სხვა ინდივიდუალური ღონისძიებები

ევროპული სასამართლოს მიერ მიკუთვნებული სამართლიანი დაკმაყოფილება ყოველთვის არ აღმოფხვრის დადგენილი დარღვევის ყველა შედეგს. შესაბამისად, შეიძლება საჭირო გახდეს დამატებითი ინდივიდუალური ღონისძიებების გატარება, რათა უზრუნველყოფილი იქნეს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა.

ინდივიდუალური ღონისძიებების ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება სახელმწიფოებმა გაატარონ, არ არის ამომწურავი და მათი არჩევანი დამოკიდებულია კონკრეტული საქმის ფაქტობრივ გარემოებაზე. მაგალითად:

▶ ქვეყნიდან გაძევების (ექსტრადიცია, დეპორტაცია) ბრძანების გაუქმება, როდესაც მიმღებ ქვეყანაში არსებობს მომჩივნის წამებისა და არაადამიანური მოპყრობის რეალური რისკი (Harkins v. the United Kingdom (application no. 71537/14), 15 June 2017);

▶ ქონების დაბრუნება, რომელიც კონვენციის დარღვევით იქნა ჩამორთმეული (Vasilescu v. Romania (application no. 53/1997/837/1043), 22 May 1998);

▶ უკანონოდ დაკავებული პირის უპირობო გათავისუფლება (Fatullayev v. Azerbaijan (application no. 40984/07), 22 April 2010);

▶ აშშ-ს სახელისუფლებო ორგანოებისგან გარანტიის მიღება, რომ მომჩივანი არ დაექვემდებარება სიკვდილით დასჯას (Al Nashiri v. Poland (application no. 28761/11), 24 July 2014);

▶ სამართალწარმოების განახლება ქვეყნის შიგნით (Londa Taktakishvili v. Georgia (application no. 46055/06), 16 October 2012.

თავიდან ეროვნულ დონეზე სამართალწარმოების განახლება გამო-

ნაკლისი ღონისძიება იყო, მაგრამ ამჟამად, ეს პრაქტიკა საკმაოდ გავრცელებულია. ეს ინსტრუმენტი ხელს უწყობს დარღვევამდე არსებული მდგომარეობის მიღწევას.

მინისტრთა კომიტეტმა თავის რეკომენდაციაში CM 2000 (2) მოუწოდა სახელმწიფოებს გადაესინჯათ თავიანთი სამართლებრივი სისტემები იმის უზრუნველსაყოფად, რომ არსებობს restitutio in integrum-ის მიღწევის შესაბამისი შესაძლებლობები, კერძოდ კი, სამართალწარმოების განახლების გზით.

თავიდან ეროვნულ დონეზე სამართალწარმოების განახლება გამონაკლისი ღონისძიება იყო, მაგრამ ამჟამად, ეს პრაქტიკა საკმაოდ გავრცელებულია. ეს ინსტრუმენტი ხელს უწყობს დარღვევამდე არსებული მდგომარეობის მიღწევას

თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში სამართალწარმოების განახლების აუცილებლობის შესახებ გადაწყვეტილებას, როგორც წესი, კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოები იღებენ მინისტრთა კომიტეტის ზედამხედველობის ქვეშ. სამართალწარმოების განახლების აუცილებლობის დადგენის ძირითადი კრიტერიუმებია: დარღვევის ბუნება და მისი შედეგები მომჩივნისათვის (მისი გამოსწორება არ არის შესაძლებელი მხოლოდ სამართლიანი დაკმაყოფილების გზით). შემდგომში, ეს კრიტერიუმები კიდევ უფრო დაიხვეწა პრაქტიკაში, მათ შორის, იმ გადაწყვეტილებებში, რომლებიც ევროპულმა სასამართლომ მიიღო საქართველოსთან მიმართებით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში ზოგჯერ მიუთითებს კონკრეტული გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, უმეტესწილად რეკომენდაციის სახით. თუმცა, თუ მოპასუხე სახელმწიფოს არ გააჩნია არჩევანი გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს შეუძლია გასცეს კონკრეტული ღონისძიებების გატარების ბრძანება, მაგ. უკანონოდ დაკავებული პირის გათავისუფლება ან არასამართლიანად განთავისუფლებული მოსამართლის თანამდებობაზე აღდგენა (Oleksandr Volkov v. Ukraine (application no. 21722/11), 27 May 2013).

ზოგადი ღონისძიებები: მსგავსი დარღვევების კრეშენცი

როგორც ზემოთ აღინიშნა, ზოგადი ღონისძიებების მიზანია, გადაწყვეტილებაში გამოვლენილი სისტემური/სტრუქტურული ხარვეზების აღმოფხვრა.

პრაქტიკაში არაერთხელ დამდგარა ზოგადი ღონისძიებების გატარების საჭიროება, მაგალითად:

▶ ცილისწამების დეკრიმინალიზაცია კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების გზით (Dalban group of cases v. Romania (application no. 28114/9), 28 September 1999);

▶ ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის დისკრიმინაციის აკრძალვა მემკვიდრეობის უფლებასთან დაკავშირებით (Metzinger v. Germany, (application no. 29762/10, 9 February 2017);

▶ ეროვნულ დონეზე უფლებათა დაცვის ქმედითი სამართლებრივი საშუალების შექმნა გაჭიანურებული სამართალწარმოებისთვის (Martins Castro and Alves Correia de Castro v. Portugal (application no. 33729/06), 6 October 2008).

ასევე, გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფო უფლებამოსილია თავად აარჩიოს ის საშუალებები, რომელთა გამოყენებითაც უზრუნველყოფს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას (სუბსიდიარობის პრინციპი). ამასთან, ეს თავისუფლება იზღუდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებში ასახული დასკვნებით და მინისტრთა კომიტეტის მიერ აღსრულებაზე ზედამხედველობის შედეგებით.

გადაწყვეტილება ადამიანის უფლებების სისტემაში

მინისტრთა კომიტეტი

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 46-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად, მინისტრთა კომიტეტი ზედამხედველობას უწევს წევრი სახელმწიფოების მიერ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას. მე-14 დამატებითი ოქმით გაფართოვდა მინისტრთა კომიტეტის უფლებამოსილება და მას მიენიჭა კონვენციის 39-ე მუხლის შესაბამისად (მეგობრული მორიგება) გამოტანილი განჩინებების აღსრულებაზე ზედამხედველობის ფუნქციაც.

მინისტრთა კომიტეტი ევროპის საბჭოს აღმასრულებელი ორგანოა, რომლის როლი და ფუნქციები განსაზღვრულია ევროპის საბჭოს წესდების IV თავით. კომიტეტი შედგება ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებისაგან. ევროპის საბჭოს წესდების მე-15 მუხლის შესაბამისად, მინისტრთა კომიტეტი უფლებამოსილია მიიღოს რეკომენდაციები წევრი სახელმწიფოების მიმართ.

გადაწყვეტილებაზე აღსრულების ზედამხედველობის პროცესში მინისტრთა კომიტეტს დახმარებას უწევს გადაწყვეტილებების აღსრულების დეპარტამენტი. დეპარტამენტი აფასებს სახელმწიფოების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს (სამოქმედო გეგმები და ანგარიშები); ამზადებს სააღსრულებ-

ბო მასალებს, მათ შორის, მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილებებისა და რეზოლუციების პროექტებს; ამყარებს კომუნიკაციას დაზარალებულ მხარესთან, ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ აქტორებთან.

გადაწყვეტილებების აღსრულების დეპარტამენტი მუდმივ კონტაქტშია ეროვნულ ხელისუფლებასთან, რათა ხელი შეუწყოს აღსრულების პროცესს მიზნობრივი აქტივობების განხორციელების გზით, როგორცაა არის – იურიდიული ექსპერტიზა, ორმხრივი შეხვედრები, კონსულტაციები და სხვა.

გადაწყვეტილებების აღსრულებისთან დაკავშირებული მინისტრთა კომიტეტის შეხვედრები (CM-DH სხდომები) წელიწადში ოთხჯერ იმართება (მარტში, ივნისში, სექტემბერში და დეკემბერში) და გრძელდება მინიმუმ სამი დღის განმავლობაში. შეხვედრების განმავლობაში კომიტეტი მიმოიხილავს შერჩეული საქმეების აღსრულების თვალსაზრისით არსებულ პროგრესს და საჭიროების შემთხვევაში, იღებს გადაწყვეტილებებს, რაც მოიცავს შეფასებებსა და რეკომენდაციებს. თუმცა, წარმოქმნილ პრობლემებზე რეაგირება შესაძლოა სხვა ფორმითაც განისაზღვროს.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 დამატებითი ოქმით გაფართოვდა მინისტრთა კომიტეტის უფლებამოსილება სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებების აღსრულებასთან მიმართებით. როგორც ზემოთ აღინიშნა, მინისტრთა კომიტეტს დაევალა ზედამხედველობა მორიგების შედეგად, სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების აღსრულებაზე. სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებლობის შემთხვევაში, მინისტრთა კომიტეტს შეუძლია მიმართოს სასამართლოს იმის დასადგენად, დაირღვა თუ არა ხელშეშეკრული სახელმწიფოს მიერ ნაკისრი თანამშრომლობის ვალდებულება. კომიტეტი ასევე უფლებამოსილია, მიმართოს სასამარ-

თლოს გადაწყვეტილებების განმარტების მოთხოვნით.

აღსრულების გაძლიერებული და სტანდარტული პროცედურა

2011 წლის პირველ იანვარს ამოქმედდა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებაზე ზედამხედველობის ახალი – ორ საფეხურიანი სისტემა, რომლის მიხედვით, მინისტრთა კომიტეტის წინაშე აღსრულებაზე ზედამხედველობა ორი სახის პროცედურის შესაბამისად მიმდინარეობს, ესენია: ზედამხედველობის სტანდარტული და გაძლიერებული პროცედურები.

სტანდარტული პროცედურის ფარგლებში, ზედამხედველობა ხორციელდება ყველა განჩინების/გადაწყვეტილების აღსრულებაზე. გამოწვევის წარმოადგენს ცალკეული კატეგორიის საქმე, რომელიც ავტომატურად ექვემდებარება გაძლიერებული პროცედურით ზედამხედველობას, კერძოდ:

▶ ე.წ. „პილოტური გადაწყვეტილება“;

▶ საქმე, რომელიც ეხება სისტემურ ან სტრუქტურულ პრობლემას;

▶ სახელმწიფოთაშორისი საქმე.

გარდა ამისა, კონკრეტულ განჩინებასთან/გადაწყვეტილებასთან მიმართებით, გაძლიერებული ზედამხედველობის განხორციელება შეიძლება მოითხოვოს სხვა წევრმა სახელმწიფომ ან მინისტრთა კომიტეტის სამდივნომ.

მინისტრთა კომიტეტის მონაწილეობა სტანდარტულ პროცედურაში შემოიფარგლება მხოლოდ იმის გადამოწმებით, შეასრულა თუ არა მოპასუხე მთავრობამ მის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა. ამ პროცედურაში არსებულ საქმეზე, მინისტრთა კომიტეტის ერთადერთი ფუნქციაა საქმეზე საბოლოო რეზოლუციის მიღება, მას

შემდეგ, რაც გადაწყვეტილებების აღსრულების დეპარტამენტი მოამზადებს მთავრობის ანგარიშის შეფასებას და მიიჩნევს, რომ მიღებული ღონისძიებები საკმარისია. პროცედურის ასეთი გამარტივება მიზნად ისახავს იმის უზრუნველყოფას, რომ კომიტეტის საქმიანობა მიმართულია ყველაზე მნიშვნელოვან და რთულ საქმეებზე.

გაძლიერებული ზედამხედველობა მხოლოდ ისეთ საქმეს ეხება, რომელსაც მინისტრთა კომიტეტი ანიჭებს პრიორიტეტს. ასეთ შემთხვევებში, მინისტრთა კომიტეტი უფრო აქტიურ როლს ასრულებს აღსრულების მონიტორინგში, CM-DH სხდომებზე საქმეების განხილვის გზით.

აღსრულებაზე ზედამხედველობის პროცედურა

სტანდარტული პროცედურის ეფექტიანად წარმართვის მიზნით, გადაწყვეტილების/განჩინების საბოლოო ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს ექვსი თვისა, მოპასუხე მთავრობამ მინისტრთა კომიტეტს უნდა წარუდგინოს აღსრულების სამოქმედო გეგმა/აღსრულების ანგარიში.

სამოქმედო გეგმა წარმოადგენს დოკუმენტს იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელთა გატარებასაც სახელმწიფო აპირებს კონკრეტული განჩინების/გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით. აღსრულების ანგარიში მოიცავს ინფორმაციას სახელმწიფოს მიერ უკვე გატარებული ღონისძიებების შესახებ, მათი პრაქტიკული ეფექტურობის დამადასტურებელ მტკიცებულებებთან ერთად.

როდესაც მიჩნეული იქნება, რომ საჭირო აღარ არის სხვა ღონისძიებების გატარება, ხელისუფლება მინისტრთა კომიტეტს წარუდგენს აღსრულების ანგარიშს და მოითხოვს საქმის დახურვას. თუ კომიტეტი მიიღებს ამ ანგარიშს, სარწმუნოდ და საკმარისად მიიჩნევს მასში მოცემულ ინფორმაცი-

მე-9 წესის შესაბამისად, მომჩივნები და მათი წარმომადგენლები უფლებამოსილი არიან წარადგინონ კომენტარები მხოლოდ ინდივიდუალურ ღონისძიებებთან, მათ შორის, სამართლიან დაკმაყოფილებაასთან დაკავშირებით

ას, საქმეს დახურავს და მიიღებს საბოლოო რეზოლუციას.

სამოქალაქო საზოგადოებისა და ადვოკატის როლი აღსრულების პროცესში

2006 წლიდან არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს ოფიციალურად აქვთ უფლება მინისტრთა კომიტეტს წერილობით წარუდგინონ თავიანთი მოსაზრებები/კომენტარები აღსასრულებელ საქმეებთან დაკავშირებით. კერძოდ, გადაწყვეტილებებისა და მორიგების პირობების აღსრულების ზედამხედველობის წესების მე-9 წესის შესაბამისად, წარდგინებების გაკეთების უფლებამოსილება გააჩნიათ:

- ▶ მომჩივნებსა და მათ წარმომადგენლებს;
- ▶ არასამთავრობო ორგანიზაციებს;
- ▶ ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ ინსტიტუტებს;
- ▶ საერთაშორისო ორგანიზაციებს ან მათ ორგანოებსა და ინსტიტუტებს.

გასათვალისწინებელია, რომ მე-9 წესის შესაბამისად, მომჩივნები და მათი წარმომადგენლები უფლებამოსილი

არიან წარადგინონ კომენტარები მხოლოდ ინდივიდუალურ ღონისძიებებთან, მათ შორის, სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით. რაც შეეხება არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს, მე-9 წესის შესაბამისად, მათ შეუძლიათ მოსაზრებების წარდგენა როგორც ინდივიდუალურ, ისე ზოგად ღონისძიებებთან დაკავშირებით, მაგალითად, კანონმდებლობის ექსპერტიზა, პრაქტიკის ანალიზი, სტატისტიკური ინფორმაცია და სხვა. მინისტრთა კომიტეტი ითვალისწინებს ამ ინფორმაციას და ხშირად მიუთითებს მასზე თავის დოკუმენტებში (შენიშვნები და ანალიზი, რომელსაც ამზადებენ CM-DH სხდომისთვის).

ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციები და ადვოკატები ხშირად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ გადაწყვეტილებათა აღსრულების პროცესში. გარდა ეროვნულ დონეზე ადამიანის უფლებების დაცვის ადვოკატებისა, მათ შეუძლიათ მინისტრთა კომიტეტის წინაშე ფაქტობრივი ინფორმაციის, შეფასებებისა და რეკომენდაციების წარდგენის გზით, ხელი შეუწყონ აღსრულების პროცესს და შესაბამისად, ადამიანის უფლებების დაცვას. მე-9 წესის შესაბამისად წარდგენილი კომენტარები ინფორმაციის განსაკუთრებით ღირებული წყაროა, რადგან ისინი საჭირო ღონისძიებების იდენტიფიცირების და აღსრულების მიმდინარეობის უკეთ შეფასების საშუალებას იძლევა.

ფაქტობრივი ინფორმაციის და სამართლებრივი კომენტარების გარდა, მინისტრთა კომიტეტის წინაშე შესაძლოა მოთხოვნილ იქნეს გარკვეული გადაწყვეტილების მიღება, მაგალითად: საქმის გადატანა სტანდარტული ზედამხედველობის პროცედურიდან გაძლიერებულ პროცედურაზე; საქმის განხილვა CM-DH-ის ერთ-ერთ სხდომაზე; გადაწყვეტილების ან შუალედური რეზოლუციის მიღება; ევროპული სასამართლოსათვის მიმართვა განმარტებისათვის ან დარღვევის პროცედურის წამოწყებისათვის.



ამასთან, მომჩივნებს, პირადად ან ადვოკატის მეშვეობით, შეუძლიათ კომიტეტი პერიოდულად ჩააყენონ საქმის კურსში იმ დაბრკოლებების შესახებ, რომლებსაც ისინი აწყდებიან თავიანთ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების/განჩინების აღსრულების პროცესში და შესთავაზონ ამ პრობლემების გადაჭრის კონკრეტული გზები.

აღსრულების დეპარტამენტის მიერ მომჩივნის ან მისი წარმომადგენლისაგან მიღებული ნებისმიერი შეტყობინება ერთდროულად მიეწოდება მინისტრთა კომიტეტს და მოპასუხე სახელმწიფოს. თუ კომიტეტი სხვაგვარად არ გადაწყვეტს, ცალკეულ საქმეებზე მიწოდებული წარდგინებები ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის. შეიძლება მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული მათი კონფიდენციალურობა ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად.


საგულისხმოა, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციებსა და ადვოკატებს აღსრულების პროცესის ხელშეწყობა ასევე შეუძლიათ ეროვნულ დონეზე სხვადასხვა აქტორთან კოორდინაციის, სახელისუფლებო ორგანოებთან დიალოგის წარმოების, საჯარო განცხადებების, ხელისუფლების მიერ აღსრულების პროცესში გადადგმული ნაბიჯების შესახებ საზოგადოების ინფორმირების გზით.

დასკვნა

მინისტრთა კომიტეტის წესებისა და პრაქტიკის საფუძველზე, სამოქალაქო საზოგადოებასა და ადვოკატებს შეუძლიათ სარწმუნო ინფორმაციის წარდგენისა და ექსპერტიზის გზით, დაეხმარონ მინისტრთა კომიტეტს პრობლემის უკეთ გაცნობიერებაში და ხელი შეუწყონ აღსრულების პროცესს. როგორც ზემოთ

აღინიშნა, მე-9 წესის შესაბამისად წარდგენილი კომენტარები ინფორმაციის ღირებული წყაროა, რადგან ისინი საჭირო ღონისძიებების იდენტიფიცირების და აღსრულების მიმდინარეობის უკეთ შეფასების საშუალებას იძლევა.

პრაქტიკა მოწმობს, რომ ქართულ საქმეებზე სამოქალაქო საზოგადოებისა და ადვოკატების მონაწილეობის მაჩვენებელი ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების პროცედურაში დაბალია. თუ გავითვალისწინებთ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ბუნებას, ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციებსა და ადვოკატებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ არა მხოლოდ დაზარალებულის უფლებების დაცვაში, არამედ წაახალისონ გარკვეული რეფორმების გატარება ზოგადი ღონისძიების სახით.



შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარეობს უდიდესი ტექნოლოგიური განვითარების პროცესი, რაც, თავის მხრივ, გარდაუვალს ხდის თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას და მის აქტიურ გამოყენებას ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში აქტიურად მიმდინარეობს „ელექტრონული მმართველობის“ სისტემების დანერგვა როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში. გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს, კერძოდ კი, უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში, ელექტრონული მმართველობის განვითარებისათვის განხორციელებული პროექტების შედეგად, საქართველომ დააფიქსირა წინსვლის მზარდი დინამიკა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ელ-მმართველობის საერთაშორისო რეიტინგებში, რომელიც ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ქვეყნდება.

„ელექტრონული მმართველობის“ ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს „ელექტრონული მართლმსაჯულება“, რომელიც მისი მნიშვნელობით შესაძლებელია მიჩნეული იქნას „ელექტრონული მმართველობის“ ერთ-ერთ საკვანძო რგოლად, ვინაიდან, სასამართლო ხელისუფლება არის ხელისუფლების ის შტო, რომელიც ყველაზე მჭიდრო კავშირშია სხვა დანარჩენ შტოებთან. ამასთან, „ელექტრონული მართლმსაჯულების“ სისტემის გამართულად და ეფექტურად მუშაობა ხელს შეუწყობს როგორც „ელექტრონული მმართველობის“ სხვა ნაწილების ეფექტურ ფუნქციონირებას, ისე საზოგადოების წვდომას სწრაფ, ეფექტურ, ღია და სამართლიან მართლმსაჯულებაზე.

აღსანიშნავია, რომ დღეისათვის საერთო სასამართლოების სისტემაში ფუნქციონირებს სასამართლოს ელექტრონული საქმის წარმოების პროგრამა, რომელზე მუშაობაც დასრულდა 2010 წელს, ხოლო სატესტო რეჟიმში ჩაეშვა 2011 წლიდან რუსთავის საქა-

ლაქო სასამართლოში. 2014 წელს კი, შეიქმნა ე.წ. „ადვოკატების მოდული“, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა საპროცესო დოკუმენტების (სარჩელის, შესაგებლის, განცხადების და სხვ.) დისტანციურად, ელექტრონული წესით შეტანას, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს მტკიცებულებათა ელექტრონული ფორმით წარდგენის შესაძლებლობას. კოვიდ-19 ვირუსის გავრცელების გამო გამოცხადებული მსოფლიო პანდემიის პირობებში კი, აღნიშნული სერვისით სარგებლობა სამოქალაქო და ადმინისტრაციული წარმოების საქმეთა მხარეთათვის გახდა უფასო.

მიმდინარე წლის დასაწყისში, პროცესის ნებისმიერი მონაწილისათვის ალბათ წარმოუდგენელი იქნებოდა სასამართლო სხდომების ჩატარება მხარეთა სასამართლოში ფიზიკურად გამოცხადების გარეშე. თუმცა, საყურადღებოა, რომ დისტანციური სასამართლო სხდომები არის „ელექტრონული მართლმსაჯულების“ ერთ-ერთ აუცილებელი კომპონენტი, რომელიც არც ისე მორეულ მომავალს წარმოადგენს და რომლის დანერგვის საჭიროებაც განსაკუთრებულად გამოჩნდა კოვიდ-19 გავრცელების გამო გამოცხადებული მსოფლიო პანდემიის პირობებში.

დისტანციური სასამართლო სხდომები-ახალი გამოწვევა მართლმსაჯულების სისტემისთვის

დისტანციური სასამართლო სხდომები უდაოდ წარმოადგენს სამართალწარმოების მომავალს და გააჩნია იმის პოტენციალი, რომ გარკვეული მიმართულებებით ჩაანაცვლოს მხარეთა უშუალო დასწრებით ჩატარებული სასამართლო სხდომები. თუმცა, მათი დანერგვისა და ეფექტურად განხორციელების მიზნით, გასათვალისწინებელია შემდეგი ძირითადი საკითხები:

▶ თანამედროვე ტექნოლოგიების (პლატფორმების, ინტერნეტის) გამოყენება;

▶ სხდომათა საჯაროობის უზრუნველყოფა;

▶ მტკიცებულებათა გამოკვლევა;

▶ მოწმეთა დაკითხვა, განსაკუთრებით ჯვარედინი დაკითხვა.

თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებისას მნიშვნელოვანია სწორად შეირჩეს ან/და შეიქმნას ელექტრონული პლატფორმა შესაბამისი ფუნქციონალით, რომელიც უზრუნველყოფს სრულყოფილი სასამართლო სხდომის ჩატარებას. კერძოდ, მაქსიმალურად უნდა იქნას უზრუნველყოფილი, როგორც მტკიცებულებათა გამოკვლევის უშუალოების პრინციპი, ისე კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობის კონფიდენციალურობის პრინციპი. ამასთან, მნიშვნელოვანია შეირჩეს/შეიქმნას და გამოყენებული იქნას ისეთი ელექტრონული პლატფორმა, რომელიც როგორც სასამართლოს, ისე მხარეებს მისცემს შესაძლებლობას მოახდინონ მხარეთა და მათ წარმომადგენელთა (ადვოკატთა), აგრეთვე, მოწმეთა იდენტიფიცირება. ასევე, აუცილებელია, პროგრამას გააჩნდეს ისეთი ფუნქცია, რომელიც უზრუნველყოფს მოწმის განცალკევებულად ყოფნას და გამორიცხავს მისთვის როგორც ძირითადი პროცესის მიმდინარეობაზე, ისე სხვა მოწმეთა ჩვენებებზე ხელმისაწვდომობას.

ამასთან, ძალიან მნიშვნელოვანია შერჩეული ელექტრონული პლატფორმის ტექნიკურად გამართულობა, მაღალი ხარისხის ინტერნეტ კავშირით უზრუნველყოფა და სასამართლოს მოხელეთა და პროცესში მონაწილე პირთა სათანადო მომზადება ტექნოლოგიური რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით, ვინაიდან მეტწილად სწორედ აღნიშნულ ფაქტორებზეა დამოკიდებული სრულყოფილი და ეფექტური დისტანციური სასამართლო სხდომის ჩატარება.

სხდომათა საჯაროობის უზრუნველყოფა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რათა დაცული იქნას და არ



დისტანციური სასამართლო სხდომები: საქართველოს პრაქტიკა, დადებითი და უარყოფითი მხარეები

ავტორი: სოფო სობახიძე
შპს «United Consultig Group» გენერალური დირექტორი, ადვოკატი

შეიღახოს ერთის მხრივ, ადამიანის ღია სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვის უფლება და მეორეს მხრივ, საქმის განხილვის საქვეყნოობის პრინციპი, რაც უზრუნველყოფს სასამართლო ხელისუფლების ღია და გამჭვირვალე მმართველობას.

როგორც დისტანციური სასამართლო სხდომის წარმართვისთვის, ისე მისი საჯაროობის უზრუნველყოფისთვის აუცილებელია გამოყენებული იქნას ტექნოლოგიური რეჟიმები. მაგალითად, შესაძლებელია მათი ჩანაწერის ონლაინ რეჟიმში გაშვება სასამართლოს ვებ-გვერდზე ან ინტერნეტ არხის ან სოციალური ქსელის მეშვეობით.

მტკიცებულებათა გამოკვლევა სასამართლო სხდომის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ეტაპია, რომლისთვისაც მზადდება ფაქტობრივად სარჩელის/საქმის აღძვრის ეტაპიდანვე იწყება. როგორც უკვე აღინიშნა, დღეისათვის ფუნქციონირებს სასამართლო საქმის წარმოების ელექტრონული სისტემა, რომლის მეშვეობითაც სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე შესაძლებელია მტკიცებულებათა ელექტრონული ფორმით წარდგენა, ხოლო სისხლის სამართლის საქმეებზე უკანასკნელ პერიოდში არსებული პრაქტიკით შესაძლებელია მტკიცებულებათა ელექტრონული ფოსტით გაგზავნის შესაძლებლობა სასამართლოში. თუმცა, მიზანშეწონილია, საქმის წარმოების ელექტრონულ სიტემაში სისხლის სამართლის საქმეებზე მტკიცებულებათა და სხვადასხვა საპროცესო დოკუმენტების (განცხადების, შუამდგომლობის, საჩივრის და სხვა) ელექტრონულად წარდგენის მიზნით, სისხლის სამართლის საქმეების მართვის ფუნქციონალის ჩართვა სრული მოცულობით (დღეისათვის ჩართულია მხოლოდ საგამოძიებო ღონისძიებების ფუნქციონალი). ამასთან, ელექტრონული პლატფორმის გამოყენების საშუალებით, როგორც არის ZOOM-ი და WebEx CISCO, შესაძლებელია ეკრანის გაზიარება, სადაც გამოსახული იქნება შესაბამისი ელექტრონული მტკიცებულება, რაც, თავის მხრივ, ეფექტურად

უზრუნველყოფს მტკიცებულებათა გამოკვლევის პროცესს, ისე რომ არ დაირღვეს მტკიცებულებათა უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევის პრინციპი. რაც შეეხება ნივთიერ მტკიცებულებებს, მათ გამოკვლევასთან დაკავშირებით, აუცილებელია მათი წარდგენა მოხდეს სასამართლოში დისტანციური სხდომის გამართვამდე და მისი გამოკვლევა მოხდეს მოსამართლის ან სასამართლოს მოხელის საშუალებით დისტანციური სხდომის მიმდინარეობისას, რა დროსაც მხარეებს შესაძლებლობა

**მონეტა
დაპითხვის საპითხი,
განსაკუთრებით
კი მნიშვნელოვან
მონეტებთან
მიმართებითა და
ჯვარედინი დაპითხვის
დროს დისტანციური
სასამართლო
სხდომების გამოყენება
წარმოადგენს ერთ-
ერთ მნიშვნელოვან
გამოწვევას
მხარეებისათვის**

ეწევა მონაწილეობა მიიღონ მათ გამოკვლევაში ვიზუალური დაკვირვების გზით. ამ მიზნით აუცილებელი იქნება შესაბამისი ცვლილებების შეტანა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში.

მოწმეთა დაკითხვა, განსაკუთრებით კი მათი ჯვარედინი დაკითხვა ძალიან მნიშვნელოვანი და საფრთხილო საკითხია დისტანციური სასამართლო სხდომის გამართვისას. აღსანიშნავია, რომ დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს, როგორც მოწმეთა

დისტანციურად დაკითხვის, ისე სასამართლო განხილვაში მხარეთა, მათ შორის ბრალდებულის, დისტანციურად მონაწილეობის შესაძლებლობას. თუმცა, მითითებული კოდექსებით გათვალისწინებული რეგულაციები მოწმეთა და მხარეთა დისტანციურად გამოკითხვასთან დაკავშირებით ერთმანეთისგან განსხვავებულია. კერძოდ კი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მხარეთა და მოწმეთა დისტანციურად დაკითხვის შესაძლებლობას ითვალისწინებს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ შესაძლებელია შესაბამისი ორგანოს მიერ პირის იდენტიფიცირება დაკითხვის ადგილას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი კი უფრო ზოგად რეგულაციას გვთავაზობს და განსაზღვრულია, რომ მხარეთა, მათ შორის ბრალდებულის, მონაწილეობა და მოწმეთა დაკითხვა დისტანციურად შესაძლებელია ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილებით. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად არსებული რეგულაციებისა, პანდემიამდე, სასამართლო სხდომაზე პროცესის მონაწილეთა და მოწმეთა დისტანციურად ჩართვა ფაქტობრივად არ მომხდარა, რაც გარკვეულწილად აიხსნება მართლმსაჯულების ყველა მონაწილის (მოსამართლეების, პროკურორების, ადვოკატების) სკეპტიკური დამოკიდებულებით აღნიშნული საკითხის მიმართ. ამასთან, მიმაჩნია, რომ არსებული, განსაკუთრებით კი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული რეგულაციები, საჭიროებს უფრო მეტ დახვეწას და სიცხადის შეტანას პროცედურის აღწერის ნაწილში.

მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ მოწმეთა დაკითხვის საკითხი, განსაკუთრებით კი მნიშვნელოვან მოწმეებთან მიმართებითა და ჯვარედინი დაკითხვის დროს დისტანციური სასამართლო სხდომების გამოყენება წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას მხარეებისათვის. აქედან გამომდინარე ვფიქრობ, რომ აღნიშნული უნდა გახდეს სერიოზული მსჯელობის საგანი.

სამართლისო პრაქტიკა

როგორც უკვე აღინიშნა, კოვიდ-19-ის გავრცელების გამო გამოცხადებული მსოფლიო პანდემიის პირობებში, სასამართლო სხდომების დისტანციურად ჩატარების აუცილებლობის წინაშე დადგა არამხოლოდ საქართველო, არამედ თითქმის მთელი მსოფლიო. შესაბამისად, საუკეთესო პრაქტიკის დანერგვისა და განზოგადების მიზნით, მნიშვნელოვანია, მსოფლიო ქვეყნების გამოცდილებების შესწავლა დისტანციური სასამართლო სხდომების ჩატარებასთან დაკავშირებით იმ ძირითად ოთხ საკითხთან მიმართებით, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

აღსანიშნავია, რომ გაერთიანებულ სამეფოში სასამართლო სხდომების დისტანციურად ჩატარების გამოცდილება არსებობდა პანდემიის გამოცხადებამდეც, ძირითადად სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით. თუმცა, პანდემიის გამო კარანტინის გამოცხადების შემდეგ, განსაკუთრებით აქტუალური გახდა მათი ჩატარება. ქვეყანაში მოღვაწე იურისტების განცხადებით, დაახლოებით ორი კვირის განმავლობაში, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო სხდომების დაახლოებით 85-90% ჩატარდა დისტანციურად, აქედან 1/3 ჩატარდა ვიდეო კონფერენციის საშუალებით, ხოლო 2/3 სატელეფონო კომუნიკაციით. ამასთან, აღსანიშნავია რომ სატელეფონო კომუნიკაციის გამოყენების ზოგიერთ შემთხვევაში, მათი გამოყენების აუცილებლობა დადგა იმის გამო, რომ მხარეებს შეზღუდული ჰქონდათ კომპიუტერთან წვდომა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ვიდეო კონფერენციის ჩასატარებლად იყენებდნენ სხვადასხვა ელექტრონულ პლატფორმებს. საკმაოდ განსხვავებული სიტუაცია იყო ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესებთან დაკავშირებით – მათ მიერ საქმის განხილვა შეჩერდა, სანამ არ მოხდა უფრო დიდი სასამართლო სხდომების დარბაზების გამოყოფა, იმგვარად რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო სოციალური დისტანცირება.

რაც შეეხება სხდომათა საჯაროობას, გაერთიანებულ სამეფოში ერთ-ერთ საქმეზე გამოყენებული იქნა პირდაპირი ეთერი Youtube არხის მეშვეობით, თუმცა, ეს არ არის კანონით პირდაპირ გათვალისწინებული საკითხი, არამედ ამ კონკრეტულ საქმეზე აღნიშნული განხორციელდა მოსამართლის თანხმობით. ზოგადად, გაერთიანებულ სამეფოში სხდომათა საჯაროობის ხელმისაწვდომობის მიზნით, მედია საშუალებებს ან სხვა პირებს შეუძლიათ

**განსხვავებული
სიტუაცია იყო
ნაფიც მსაჯულთა
სასამართლო
პროცესებთან
დაკავშირებით –
მათ მიერ საქმის
განხილვა შეჩერდა,
სანამ არ მოხდა უფრო
დიდი სასამართლო
სხდომების დარბაზების
გამოყოფა, იმგვარად
რომ უზრუნველყოფილი
ყოფილიყო სოციალური
დისტანცირება**


მიმართონ სასამართლოს და მოითხოვონ დისტანციური სხდომის საჯაროობის ან/და მასზე დასწრების უზრუნველყოფა. ქვეყანაში მოღვაწე იურისტების აზრით, საჯაროობა უზრუნველყოფილად ითვლება თუნდაც მხოლოდ ერთი მედიასაშუალების ჩართვით ან მისთვის სხდომის ჩანაწერის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შემთხვევაშიც. ამასთან, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მოსამართლის გადასაწყვეტია თუ რა ფორმით და რომელი ტექნიკური საშუალებით მოახდენს სხდომათა საჯაროობის უზრუნველყოფას. თითქმის ანალოგიური პრაქტიკა აქვ აშშ-ს და კანადას, სადაც ასევე

არის სხდომათა პირდაპირი ეთერით Youtube არხის მეშვეობით ტრანსლირების შემთხვევები. საფრანგეთში კი, ყველა დისტანციურად ჩატარებული სხდომა იყო დახურული.

მსოფლიოს თითქმის ყველა წამყვან ქვეყანაში, საკმაოდ დიდი ხანია ფუნქციონირებს ელექტრონული საქმის წარმოების და ე.წ. „ელექტრონული პაკეტის“ (E-bundle), პროგრამები, რომელთა მეშვეობით ხდება დოკუმენტების წარდგენა სასამართლოში ელექტრონული ფორმით და საქმის მასალების (მტკიცებულებების) ელექტრონული აკინძვა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პროგრამის საშუალებით პროცესის მონაწილეებს და მოსამართლეს შესაძლებლობა აქვთ გააკეთონ მათთვის საინტერესო საქმის მასალების მონიშვნები, ჩანიშვნები, ასევე კომენტარები, ისევე როგორც ეს შესაძლებელია საქმის ქალაქის ვერსიაზე. შესაბამისად, აღნიშნული შესაძლებლობას აძლევს მხარეებს და სასამართლოს მოახდინონ მტკიცებულებათა სწრაფი და ეფექტური დემონსტრირება და გამოკვლევა. მაგალითისთვის შეიძლება აღინიშნოს კანადა, სადაც მტკიცებულებების ელექტრონული გამოკვლევა ხდება არა მხოლოდ დისტანციური სასამართლო სხდომის ჩატარებისას, არამედ უშუალოდ მხარეთა ფიზიკური დასწრებით ჩატარებულ სხდომებზეც.

კანადის ერთ-ერთი პროვინციის – ალბერტას იურისტების მიერ შემუშავებული იქნა „ალბერტას პროტოკოლი დისტანციური გამოკითხვების თაობაზე“. აქვე ჩამოვთვლი იმ საუკეთესო პრაქტიკის რამდენიმე მაგალითს, რაც უნდა განხორციელდეს აღნიშნული პროტოკოლის მიხედვით.

- მოსამართლემ ან სხვა უფლებამოსილმა პირმა დაკითხვის დაწყებამდე უნდა ნახოს, დაათვალიეროს ოთახი სადაც მოწმე იმყოფება ფიზიკურად, რათა დარწმუნდეს იმაში, რომ იგი ოთახში მარტოა და ვერავინ შეძლებს მის ჩვენებაში ჩარევას;



► მოწმე დაკითხვამდე, უნდა იყოს განცალკევებულ ვირტუალურ ოთახში;

► დაკითხვამდე უნდა გადაიდგას შესაბამისი ნაბიჯები, რათა მოხდეს მოწმის პიროვნების დადასტურება;

► მოწმეს ჩვენების მიცემამდე უნდა დადოს ფიცი და განემარტოს დისტანციური გამოკითხვის პროცედურების თავისებურებები და გაფრთხილებული იქნას პასუხისმგებლობაზე მათი დარღვევის შემთხვევაში;

► თუ მოწმეს სხვა მხრივ სჭირდება მესამე პირის დახმარება მისი დაკითხვის დროს, მან აღნიშნულის თაობაზე ნებართვა უნდა აიღოს დაკითხვის დაწყებამდე.

მოწმემ ჩვენების მიცემისას არ უნდა გამოიყენოს არანაირი ჩანაწერი, თუ არ ექნება სასამართლოს ნებართვა აღნიშნულის თაობაზე;

მოწმეთა დისტანციური დაკითხვის სხვა საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები, ჩამოთვლილია ასევე "Lewis & Clark Law"-ს ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიამი „43(a) მუხლის შენიშვნები და კომენტარი: მოწმის დისტანციური დაკითხვა და ცვლილებებისადმი მდგრადი მართლმსაჯულება“, რომელთაგან გამოვყოფდი რამდენიმეს:

ე.წ. „დიაგნოსტიკის“ სესია უნდა ჩატარდეს სასამართლო სხდომის დაწყებამდე, რათა პროცესის მწარმოებელი დარწმუნდეს იმაში, რომ მოწმე კარგად ერკვევა ტექნოლოგიებში და მისი მხრიდან ადგილი არ ექნება ტექნოლოგიურ დაბრკოლებებს;

ნოტარიუსი უნდა იმყოფებოდეს მოწმესთან ფიზიკურად, რათა მოახდინოს მისი იდენტიფიკაცია და ამასთანავე დაადასტუროს, რომ სხვა არავინ იმყოფება მისი დაკითხვის მიმდინარეობისას.

მოწმის დაკითხვა უნდა განხორციელდეს „დისტანციური მედია ოთახიდან“ – ოთახი, რომელსაც ექნება შესაბამისი სასამართლო დარბაზის გამოსახულება, მაგალითად, დროშები და სასამართლოს მანდატური, რათა მოწმეს შეექმნას შესაბამისი შთაბეჭდილება დაკითხვის მნიშვნელობასთან დაკავშირებით.

„დისტანციური მედია ოთახში“ გამოყენებული უნდა იქნას მრავალფუნქციური კამერები რათა უკეთესად მოხდეს მოწმის სანდობის და ქცევის შეფასება, ერთი კამერაზე გამოსახული უნდა იქნა მოწმის სახე, ხოლო მეორეზე მოწმის მთელი სხეული.

აქვე აღსანიშნავია, რომ დისტანციურად მოწმის დაკითხვა, ჩვენი უცხოელი კოლეგების მოსაზრებით, წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემატურ საკითხს, ვინაიდან მოწმის ჩვენების შეფასებისას მნიშე-

ნელოვანია არა მხოლოდ ის თუ რას გადმოსცემს ზეპირად მოწმე, არამედ მისი სხეულის ენაც, რომლის ანალიზიც დისტანციური სასამართლო სხდომის გამართვისას ფაქტობრივად შეუძლებელია და მიაჩნიათ, რომ მოწმეთა დისტანციური დაკითხვა უნდა განხორციელდეს მხოლოდ გამოწვევის შემთხვევებში.

დადებითი და უარყოფითი მხარეები

დისტანციური სასამართლოს სხდომების პრაქტიკაში დანერგვა, ვფიქრობ, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყნის მართლმსაჯულების სისტემის მომხმარებელს მოუტანს არაერთ მნიშვნელოვან სარგებელს, კერძოდ:

სასამართლო სხდომის ტექნიკური საშუალებებით ტრანსლირება უზრუნველყოფს მის ღიაობას და საჯაროებას საზოგადოების უფრო ფართო ფენებისთვის, ვიდრე ეს შესაძლებელია ტრადიციული წესით, სასამართლოს დარბაზში სხდომის გამართვისას, რადროსაც დარბაზში ადგილების არ არსებობის საფუძვლით შეიძლება შეიზღუდოს საზოგადოების წევრთა სხდომაზე დასწრება.

► დაიზოგება მხარეთა, მათ წარმომადგენელთა და მოწმეთა სასამართლოში გამოცხადებისთვის მგზავრობის ანდა საცხოვრებელი უზრუნველყოფისთვის (თუ სხდომა სხვა დასახლებულ პუნქტში ან ქვეყანაში იმართება) აუცილებელი ფინანსური ხარჯები;

► მოხდება პროცესის მონაწილეთა დროის დაზოგვა;

► ამასთან, პირები, რომლებსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო უჭირთ გადაადგილება, ჩაერთვებიან პროცესში დისტანციურად, რაც ერთის მხრივ, მისცემთ მათ დამატებითი დისკომფორტის გარეშე პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობას და მეორეს მხრივ, თავიდან აგვარიდებს პროცესის გაჭიანურებას;

ელექტრონული მტკიცებულებების გამოყენებამ, ასევე გარკვეულწილად მგზავრობების შემცირებამ, შესაძლებელია მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღოს გარემოსდაცვითი კუთხით.

დისტანციური სასამართლო სხდომების უარყოფით მხარეებად შეიძლება გამოვკვეთოთ შემდეგი საკითხები:

► ინტერნეტის დაბალი ხარისხი, რაც ხელს უშლის შესაბამისი ელექტრონული პლატფორმის უხარვეზოდ გამოყენებას;

► როგორც სასამართლოს, ისე პროცესის მონაწილეთა სათანადო ტექნიკური აღჭურვილობის და პროგრამული უზრუნველყოფის არ ქონა ან/და მათი გაუმართავად მუშაობა;

► სატელეფონო კომუნიკაციის გამოყენებით ჩატარებული სხდომისას შეუძლებელი იქნება მოწმის იდენტიფიკაციის შემოწმება, ასევე მისი ღიაობის უზრუნველყოფა.

► სხდომათა ტექნიკური საშუალებებით, ტრანსლირების შემთხვევაში, თუ არ იქნება გამოყენებული შესაბამისი ღონისძიებები, მოწმეს ექნება შესაძლებლობა თვალი ადევნოს, როგორც სრული პროცესის მიმდინარეობას ის სხვა მოწმეთა დაკითხვას, საკუთარი ჩვენების მიცემამდე, რაც დაუშვებელია.

► როგორც საერთაშორისო ისე ადგილობრივი გამოცდილებიდან გამომდინარე, ერთ-ერთ მთავარ პრობლემურ საკითხად რჩება მოწმის დისტანციურად დაკითხვა, განსაკუთრებით ჯვარედინი დაკითხვა. თითქმის ყველა იურისტი, როგორც უცხოელი ისე ადგილობრივი, ერთხმად აღნიშნავს, რომ მოწმის ჩვენების ანალიზისას მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის თუ რას გადმოსცემს ზეპირად მოწმე, არამედ მისი სხეულის ენაც, რომლის ანალიზიც დისტანციური სასამართლო სხდომის გამართვისას ფაქტობრივად შეუძლებელია.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დისტანციური სასამართლო სხდომებს, ყოველთვის ეყოლება, როგორც მომხრეები ისე მოწინააღმდეგეები, თუმცა ეს არის სიახლე და სამართალწარმოების სისტემის გარდაუვალი მომავალი, რომლის დახვეწაზე და პრაქტიკაში ეფექტურად გამოყენებაზე ზრუნვა სახელმწიფოს და მართლმსაჯულების სისტემის ყველა მონაწილის მოვალეობას წარმოადგენს, რათა უზრუნველყოფილი იქნას და არ შეფერხდეს ეფექტურ, ღია, სწრაფ და ხარისხიან მართლმსაჯულებაზე წვდომა, რაც, თავის მხრივ, სამართლებრივი სახელმწიფოს ქვაკუთხედს წარმოადგენს.

აქვე აღსანიშნავია, რომ დისტანციური სასამართლო სხდომა, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე, სავალდებულო წესით ჩატარებული შეიძლება იქნას მხოლოდ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, ხოლო სხვა დანარჩენ შემთხვევაში კი, მისი ჩატარება მხოლოდ მხარეთა ერთობლივი თანხმობით უნდა იყოს შესაძლებელი.

1 მაგალითისთვის შეიძლება აღინიშნოს, რომ ZOOM-ს, რომელსაც დღეისათვის საქართველოში აქტიურად იყენებენ სხვადასხვა დაწესებულებები, მათ შორის სასწავლო დაწესებულებები, ონლაინ შეხვედრების გამართვის მიზნით, გააჩნია ე.წ. „ოთახები“, რომელთა გამოყენებითაც შეიძლება უზრუნველყოფილი იქნას როგორც ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობის კონფიდენციალურობის დაცვა, ისე მოწმის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა პროცესის მიმდინარეობაზე.

2 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-14 ნაწილი, 188-ე მუხლის მე-3 ნაწილი და 243-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

3 სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 127-ე მუხლის მე-3 ნაწილი და 148-ე მუხლის მე-6 ნაწილი.

4 ელექტრონული პლატფორმებიდან ძირითადად იყენებდნენ Skype for business, Zoom, Microsoft teams და სხვ.

უნივერსიტეტი ევროკული, ულტრათანამედროვე, მაღალტექნოლოგიური სასწავლო ინფრასტრუქტურით



დღეისათვის, კონკურენცია უმაღლესი განათლების სფეროში საკმაოდ მაღალია, თუმცა, არსებობენ უნივერსიტეტები, რომლებიც გამოკვეთილი უპირატესობებით გამოირჩევიან. ერთ-ერთი მათგანია საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU. უნივერსიტეტის შესახებ დეტალურად, SEU-ს რექტორი, ბატონი ვია კავთელიშვილი მოგვიყვება.

ბატონო ვია, გაგვაცანით საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი (SEU).

SEU-მ, 20-წლიანი ისტორიის მანძილზე შეძლო ჩამოყალიბებულიყო საქართველოში ყველაზე დიდ კერძო უნივერსიტეტად, სადაც მრავალი სტუდენტი იღებს განათლებას. უნივერსიტეტი გამოირჩევა ევროპული ულტრათანამედროვე, მაღალტექნოლოგიური სასწავლო ინფრასტრუქტურით, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული საგანმანათლებლო პროგრამებით, კვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლებით, სტუდენტთა წარმატებასა და კარიერულ წინსვლაზე მიმართული ღონისძიებებით და მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრებით, რაც, ერთობლიობაში, საუკეთესო პირობებს ქმნის ხარისხიანი განათლების მისაღებად.

SEU სტუდენტებს სთავაზობს საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმა-

ნათლებლო პროგრამებს ბიზნესის, ტურიზმის, ფინანსების, სამართლის, ჟურნალისტიკის, საერთაშორისო ურთიერთობების, ფსიქოლოგიის, განათლების ადმინისტრირების, სოციალური ფსიქოლოგიის, საბანკო საქმის, ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით, ასევე, მედიცინის ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამას.

SEU-ს სტუდენტებს საშუალება აქვთ ჩაერთონ გაცვლით პროგრამებში და ისწავლონ ევროპის მასშტაბით სხვადასხვა საუკეთესო უნივერსიტეტში.

SEU კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლით ტოპ 5 უნივერსიტეტს შორისაა, რასაც ხელს უწყობს როგორც უმაღლესი აკადემიური სტანდარტები, ისე სტუდენტთა კარიერული წინსვლისათვის მიმართული ღონისძიებები. SEU თავისი სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა ხელშეწყობის მიზნით ყოველწლიურად მართავს მასშტაბურ დასაქმების ფორუმებს. ასეთ ფორუმებში, როგორც წესი, 150-ზე მეტი კომპანიაა ჩართული. სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა წინსვლასა და წარმატებას ასევე უზრუნველყოფს SEU-ს პარტნიორი კომპანიების, სტუდენტებისთვის სასურველი ცნობილი ადამიანების და უცხოელი სპეციალისტების მიერ ჩატარებული საინტერესო შეხვედრები, ვორქშოპები, მასტერკლასები და საჯარო ლექციები.

SEU ყველაზე მოთხოვნი კერძო უნივერსიტეტი საქართველოში, რასაც ადასტურებს ეროვნულ გამოცდებზე აბიტურიენტთა პირველი არჩევანის მაჩვენებელი და SEU-ში მობილობით გადმომსვლელთა რაოდენობა. ბოლო 4 წლის მონაცემებით, SEU-ში მობილობით 4719 სტუდენტი გადმოვიდა, რაც რეკორდული მაჩვენებელია საქართველოში.

SEU-ს დევიზია „გაუსწარი დროს!“, ამიტომ, ჩვენი საქმიანობა დინამიურ,

ინოვაციურ და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაზეა ორიენტირებული, რაც საუკეთესოდ პასუხობს გლობალურ გამოწვევებს და საზოგადოების მოთხოვნებს.

ჩვენი ჟურნალის მკითხველისათვის, ალბათ, განსაკუთრებით საინტერესოა, სამართლის მიმართულებით რას სთავაზობს SEU თავის სტუდენტებს.

SEU-ში სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები შეიქმნა სამართლის სწავლების საუკეთესო პრაქტიკის საფუძველზე, ამასთან, მუდმივად ვითარდება სოციალური გამოწვევებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.

**SEU
კურსდამთავრებულების
დასაქმების მაჩვენებლით
ტოპ 5 უნივერსიტეტს
შორისაა, რასაც ხელს
უწყობს როგორც
უმაღლესი აკადემიური
სტანდარტები, ისე
სტუდენტთა კარიერული
წინსვლისათვის
მიმართული
ღონისძიებები**

ფაკულტეტზე მოღვაწეობენ დარგის წამყვანი პრაქტიკოსი სპეციალისტები და იურიდიული პროფესიის თვალსაჩინო წარმომადგენლები-მოსამართლეები, პროკურორები, ნოტარიუსები, ადვოკატები, დარგის ექსპერტები.

აკადემიური პერსონალი აქტიურადაა ჩართული კანონმდებლობით და საექსპერტო საქმიანობაში. მათ უმრავლესობას განათლება მიღებული აქვს საუკეთესო უცხოურ უნივერსიტეტებში. ჩვენი ლექტორები არი-

ან პარიზის, ლეიდენის, პოტსდამის, ბერლინის, მასტრიხტის, როტერდამის, ტალინის, ტარტუს, ქვინ მერის, ნოტინგემის, მიუნხენის, ბონის, იენის, ზაარლანდის, კიოლის, შპაიერის უნივერსიტეტების მაგისტრები და დოქტორები.

SEU-ში ფუნქციონირებს უფასო იურიდიული დახმარების ოფისი, რომლის მუშაობაშიც ჩართული არიან ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტები, რომლებიც უშუალო ხელმძღვანელთან ერთად, მონაწილეობას იღებენ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადების, კლიენტების კონსულტირებისა და მათ წარმომადგენლობით პროცესში. აქვე მინდა მაღლობა გადავუხადო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას, რომელიც აძლევს ჩვენს სტუდენტებს შანსს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კომისიაში არსებული კლინიკის საშუალებით ღრმად შეისწავლონ შესაბამისი პრაქტიკული საკითხები.

SEU-ს ულტრათანამედროვე იმიტირებულ სასამართლო დარბაზში მუდმივად ტარდება კონფერენციები, სემინარები, იმიტირებული პროცესები და საჯარო ლექციები, მათ შორის, იმიტირებული სასამართლო პროცესები სკოლის მოსწავლეებისათვის, რომელსაც ხელმძღვანელებენ SEU-ს სამართლის პროგრამის მაგისტრანტები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ SEU-ს სივრცეში ტარდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლის, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ ორგანიზებული გამოცდები, ტესტირებები, ტრენინგები, საერთო კრება, არჩევნებიც კი და სხვადასხვა აქტივობები.

სასწავლო პროგრამებისა და სხვა აქტივობების უკეთ დაგეგმვის მიზნით, სამართლის პროგრამის უფროსკურსელი სტუდენტები აქტიურად არიან

ჩართული ტუტორიუმსა და საკონსულტაციო პროცესებში. სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები, სავალდებულო სასწავლო კომპონენტის ფარგლებში, ტრენინგებს უტარებენ სკოლის მოსწავლეებს სამართლის საფუძვლებში. პროექტში ჩართული არიან როგორც თბილისის, ასევე, რეგიონის – ბათუმის, თელავის, ლანჩხუთის, ხონისა და ქუთაისის სკოლები.

SEU მაქსიმალურად უჭერს მხარს წარმატებული სტუდენტების ჩართულობას სხვადასხვა ახალგაზრდულ პროექტებში, ეხმარება მათ დასაქმებაში. ყოველწლიურად სტუდენტთა ინტერესების მიხედვით იმართება საჯარო ლექციები, საზაფხულო სკოლები.

COVID-19-მა თითოეული ადამიანი და დაწესებულება არაერთი გამოწვევის წინაშე დააყენა. რა შეცვალა პანდემიამ SEU-ში და როგორ აუწყო ფეხი უნივერსიტეტმა მსოფლიო პანდემიით გამოწვეულ ცვლილებებს?

დამეთანხმებით, არავის შეეძლო წინასწარ განეჭვრიტა ის სიტუაცია, რაც COVID-19-ის პანდემიამ გამოიწვია. სირთულეების წინაშე აღმოჩნდა ყველა სფერო, მათ შორის განათლების სექტორი. თუმცა, ვფიქრობ, SEU-მ წარმატებით გაართვა თავი პანდემიის შედეგად არსებულ გამოწვევებს.

პირველ რიგში, SEU-მ დაიწყო დისტანციური სწავლების დანერგვა, რისთვისაც შეიძინა ლიცენზირებული ZOOM FOR EDUCATION-ის ულტიმით პრემიუმ პაკეტი. ყველა ლექცია და სემინარი ჩაიწერა და აიტვირთა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ პორტალზე, რათა სტუდენტმა ნებისმიერ დროს და ადგილას შეძლოს სასწავლო მასალის გაცნობა. ამასთან, დავინახეთ საჭიროება და 200-ზე მეტი კომპიუტერი გადავეცით და ინტერნეტ-პაკეტები შევუძინეთ სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს, როგორც თბილისში, ისე რეგიონებში.

არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, ყველა სტუდენტს გაუნულდა ფინანსური დახმობა 1 მარტის მდგომარეობით და 50 დღით გადაუადდა მიმდინარე სემესტრის სწავლის გადასახადი, ხოლო მოგვიანებით, კვლავ გადავადდა სექტემბრამდე.

დისტანციური სწავლების ხარვეზების თავიდან ასარიდებლად, გადავამზადეთ ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი, განვაახლეთ ელექტრონული ბაზები, სრულიად ციფრული გავხადეთ ბიბლიოთეკაში არსებული, პროგრამების სილაბუსებით გათვალისწინებული ლიტერატურა.

ფაკულტეტზე მოღვაწეობენ დარბის ნამყვანი პრაქტიკოსი სპეციალისტები და იურიდიული პროფესიის თვალსაჩინო წარმომადგენლები- მოსამართლეები, პროკურორები, ნოტარიუსები, ადვოკატები, დარბის ექსპერტები

SEU-მ, პანდემიის პერიოდში, პირველად საქართველოში, მსოფლიოს 8 ქვეყნის 17 უნივერსიტეტთან ერთად ჩაატარა საერთაშორისო ონლაინ სამეცნიერო კონფერენცია – „თანამედროვე გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში COVID-19-ის კრიზისისა და გამოწვევის ფონზე“, ასევე, განხორციელდა არაერთი ონლაინ ჩართვა, ტრენინგი და პანელ-დისკუსია მედიცინის, ფსიქოლოგიის და სხვა დარგის უცხოელი სპეციალისტების ჩართულობით.

ჩვენ გაცნობიერებული გვაქვს, რომ მოგვიწევს ვიცხოვროთ ახალ გარე-

მოში, ამიტომ, კოლეგებთან ერთად ვსაუბრობთ და ვფიქრობთ საკითხებზე, როგორ გამოვიყენოთ ეფექტურად დაგროვილი გამოცდილება და მეტი ყურადღება დაუთმოთ დისტანციური სწავლების შესაძლებლობების განვითარებას, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე.

და ბოლოს, რა განსაკუთრებულ სიახლეებს სთავაზობთ SEU 2020 წლის აბიტურიენტებს?

წელს, აბიტურიენტებისთვის, რომლებიც SEU-ელები გახდებიან, უბრუნებენ საჩუქრები გვაქვს. როგორც უკვე აღვნიშნე, COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული ვითარების გათვალისწინებით, SEU-მ დაინახა ის გამოწვევები, რაც დისტანციური სწავლებისას გამოიკვეთა. სტუდენტთა ნაწილი არ არის უზრუნველყოფილი კომპიუტერული ტექნიკით, ასევე, მათ აუცილებლად სჭირდებათ ფინანსური დახმობა.

სწორედ ამიტომ, SEU-ში 2020 წელს ჩარიცხული სტუდენტები, რომლებსაც SEU პირველ ნომრად ჰქონდათ არჩეული და მოიპოვებენ 50, 70 ან 100%-იან სახელმწიფო სასწავლო გრანტს – საჩუქრად მიიღებენ 2020 წლის მოდელ NoteBook „Lenovo ThinkBook“ 15-ს ან ThinkBook 14-ს ან 1500 ლარიან სასწავლო ვაუჩერს. თუმცა, საჩუქრის გარეშე არც ის სტუდენტები დარჩებიან, რომლებსაც SEU პირველ ნომრად ჰქონდათ არჩეული, მაგრამ გრანტი ვერ მოიპოვეს, ისინი, სურვილისამებრ, 2020 წლის მოდელს – „Lenovo“ V15-ს ან 1000 ლარიან სასწავლო ვაუჩერს მიიღებენ.

თუმცა, საჩუქრების გარდა, ასევე გათვალისწინებულია ყოველწლიური 740 ლარიანი „SEU გრანტი“, ყოველთვიური სტიპენდიები და სხვადასხვა ფინანსური შეღავათები.

წარმატებას ვუსურვებ თითოეულ აბიტურიენტს და ველოდებით SEU, რათა ერთად №გავუსწროთდროს!



ადვოკატთა ასოციაცია ახორციელებს კიდევ ერთ პრობონო პროექტს, რომლის ფარგლებშიც სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე, პრობონო სამართლებრივი დახმარება ეწვეათ სოციალურად მოწყვლად მართობელა მშობლებს.

პრობონო პროექტი ამოქმედდა 2020 წლის 10 ივლისიდან და გაგრძელდება 6 თვის განმავლობაში – 2020 წლის 31 დეკემბრამდე.

პროექტის მიზანი:

პროექტის მიზანია, სოციალურად მოწყვლადი მართობელა მშობლის სტატუსის მქონე პირთა პრობონო სამართლებრივი დახმარება სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში შემავალ საქმეებზე (კონსულტაცია და წარმომადგენლობა, როგორც სასამართლოში, ასევე ყველა საჭირო ინსტანციაში).

პროექტის ბენეფიციარები:

პროექტის ბენეფიციარები არიან მართობელა მშობლები, რომლებიც ვერ მოხვდნენ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, თუმცა სოციალური აგენტის მიერ იდენტიფიცირებულნი არიან სიღარიბის ზღვართან ახლოს მყოფ პირებად.

პროექტის განხორციელებასა და სოციალურად მოწყვლადი მართობელა მშობლებისთვის პრობონო სამართლებრივი დახმარების განევაში ჩაერთვებიან ადვოკატთა ასოციაციისა და ევროპის საბჭოს მიერ ღია კონკურსის საფუძველზე შერჩეული ადვოკატები.

ცხელი ხაზი: 599 193344

ISSN 1987-5479



9 771987 547000 >

